საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№03 (379)
25 - 31 იანვარი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ბუჩქებიდან დანახული ინაუგურაცია

„საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა სააკაშვილი, რომელიც, მოწადინების მიუხედავად, საპატიო სტუმრებთან ერთად ცერემონიაზე ვერ მოხვდა და თავი ზეიმის პერიფერიაზე, სადღაც ბუჩქებთან, ფრიად „ბომჟურ“ გარემოში ამოყო. იქ გადაღებული ფოტო საკმაოდ სიმბოლური იყო და ერთდროულად წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე მოგვითხრობდა.“





## სექტანტების ვარამი 4






## სასულიერო პირები გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვას ითხოვენ 2




## ქართული კალათბურთი პერსპექტივის გარეშე 13

მილიონ-ნახევარზე მეტი ხმით ფაჩულია მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ... დარჩა ზაზა ვარსკვლავებს მიღმა. 12
ამერიკამ, ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა, სულ ცალ ფეხზე დაიკიდა «მოძმე ქართველები», კანონი შეცვალა და...

## ტრამპი გვიჩვენა!

8

## «ჩვენი ქვეყნის ბედს ჩანერგილი აგენტები წყვეტენ»

«ზუსტად ვიცი, რომ ივანიშვილმა ნაცებს 27% დაუწერა»



## გარდაუვალ ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოს ელის, ქართველი პოლიტოლოგი წლების წინათ ვარაუდობდა 6

3



ფრანსუა ფიიონი:

## უკრაინა და საქართველო არ განეკუთვნება ევროკავშირსა და ნატოში გასაწევრიანებელ ქვეყნებს

## «რომელ ნატოზე ღნავიხართ, სოროსუმეებო» 9

„ტრამპს საინაუგურაციო სიტყვაში საერთოდ არ უხსენებია ლიბერალური ბიჟუტერია, რომლითაც თვალს გვჭრიდნენ ბოლო 25 წელიწადი“



## უნგრეთში სოროსელებს მოღვაწეობას უკრძალავენ, საქართველოში კი მაღალ თანამდებობებზე ნიშნავენ 3

## ტრამპის თამაში

10



რას ერჩიან ამ ტრამპს? ვინ ერჩის მას? ...ძირითადად, ესენი არიან ლგბტ საზოგადოებები, ფემინისტური დაჯგუფებები და სრულიად გაურკვეველი, საეჭვო წარმომავლობისა და დანიშნულების გრანტებზე ჩამოკიდებული ორგანიზაციების თანამშრომლები

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელები ჭკვიანი ხალხია და მიხვდნენ, მამათმავლობის პროპაგანდა რომ დააქცევდა მათ ქვეყანას, ამიტომ გააკეთეს სწორი არჩევანი და არ მისცეს ხმა იმ კანდიდატს, რომელიც სოდომიის აგიტაციას ეწეოდა. ვფიქრობ, ეს უნდა იყოს მაგალითი ყველასთვის და მათ შორის იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც გარყვნილება და აღვირახსნილობა უკვე ნორმადაა ქცეული.**



# რატომ დაივიწყა სანდრამ, როგორ ფორთხავდა მისი «ძალგულოვანი» მეუღლე გორში

**„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“ — სწორედ ეს ქართული ანდაზა შეეფერება „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც 9 წლის განმავლობაში ტყუილითა და ძალადობით მართავდა ქვეყანას და ამ დანაშაულებრივი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები, როგორც ჩანს, კვლავაც აპირებენ საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრას.**

„იმხელა ძალაა მიშაში, რომ მისი ჩრდილისაც ეშინია ზოგიერთს ამ ქვეყანაზე. მისი თითოეული აშენებული შენობის, ხიდის — ყველაფრის ეშინიათ. რაც უნდა სცადონ, მიშა შეასუსტონ, საპირისპირო შედეგს მიიღებენ. თქვენ იცით, რომ მიშა მობილიზებულია, როცა წინააღმდეგობა შეხვდება. რაც უნდა გაუკეთონ მიშას, გინდა მოქალაქეობა წაართვან, ის მაინც ქართველი რჩება, იმიტომ, რომ მისი გული საქართველოსთვის სცემს. რაც უნდა ქონება წაართვან ან სახლი, დარწმუნებული ვარ, რომ ყველგან, თქვენს ოჯახებში ჩვენი ოჯახისთვის იქნება პატარა მყუდრო ადგილი, ყველი და პური და სითბო. რაც უნდა წაართვან, გინდა თანამდებობა, გინდა თავმჯდომარეობა, ამასაც ამდენი მნიშვნელობა არ აქვს — სადაც მიშა არის, იქ ქმნის ამინდს, არის წამყვანი ძალა და ეს იქნება თქვენი დამსახურება“, — განაცხადა სანდრა რულოვსმა 20 იანვარს „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას.

ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილი და ტერიტორიების დამკარგავი მიხეილ სააკაშვილის მეუღლეს, ეტყობა, ჰგონია, რომ ქართველ ხალხს მოკლე მეხსიერება აქვს და დაავიწყდა, ვის ეშინია ჩრდილის და ვის — არა; დაავიწყდა, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე როგორი შეშინებული ფორთხავდა მიშა გორში 2008 წლის აგვისტოში საფრანგეთის საგარეო საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის — ბერნარ კუშნერისა და უამრავი ტელეკამერის წინ. განა სანდრა რულოვსის ძალგულოვანი მეუღლე არ იყო, კუდამოძუებული რომ გაიქცა საქართველოდან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რათა ქართველი ხალხის მრისხანებას და ქართულ მართლმსაჯულებას დამალვოდა?

**რაც შეეხება „ამინდის შექმნას“ და „წამყვან ძალობას“, არამხოლოდ საქართველოში 9-წლიანი ბოგინის, არამედ ამერიკელი პატრონების მიერ ოდესის გუბერნატორად დასმის შემდეგაც მშვენივრად გამოჩნდა, რისი შემქმნელი და გამკეთებელია სააკაშვილი.** თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც დააჯერეს ან უნდათ, დააჯერონ, რომ მიშა მაგარია, „მიშას ჩრდილისაც კი ეშინია ზოგიერთს“...

ნეტარ არიან მორწმუნენი!..

**ლუკა მაისურაძე**

## რეჯეფ თაიფ ერდოღანი:
# თურქეთი თავდაცვიდან თავდასხმაზე გადადის

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ სახელმწიფოს ყველა მტერი ქვეყნის საზღვრებს მიღმა ეგულება და ამიტომ „ანკარა გადადის თავდაცვიდან მოქმედებაზე — ზედ დააბიჯოს ყველა თავის მტერს“, — ამის შესახებ იუწყება haqqin.az-ის საინფორმაციო პორტალი.**

„არ დავუშვებთ, რომ გარე მხარეთა ზეწოლამ დაასუსტოს თურქეთის ეკონომიკა, სისტემაში მოღალატეების ჩანერგვითა და ტერორისტული თავდასხმებით. ჩვენ მზად ვართ, გაჩენისთანავე გავანადგუროთ ყოველგვარი საფრთხე“, — განაცხადა ქვეყნის მეთაურმა.

პრეზიდენტის თქმით, მტრები ვერ შეძლებენ თურქეთის გატეხვას ვერც ეკონომიკურად და ვერც რელიგიურად. „მათ ვერ შეძლეს ჩვენი ქვეყნისთვის ზიანის მიყენება, ვერ მოახდინეს ეკონომიკაზე ზეწოლა. მათ აღარ შერჩათ არანაირი ბერკეტი ამის განსახორციელებლად. თურქეთი თავდაცვიდან თავდასხმაზე გადადის“, — განაცხადა ერდოღანმა.

# სასულიერო პირები გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვას ითხოვენ

**მას შემდეგ, რაც ამერიკის ახალარჩეული პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, ინაუგურაციიდან რამდენიმე საათში „თეთრი სახლის“ ოფიციალური საიტიდან სექსუალური უმცირესობების უფლებების გვერდი გაქრა, დღის წესრიგში, შესაძლოა, ლგბტ საზოგადოების აგიტაცია-პროპაგანდის ამკრძალავი საკანონმდებლო რეგულაციების მიღება დადგეს. როგორც ზოგი ექსპერტი და უფლებადამცველი ვარაუდობს, მსგავსი ცვლილებები არა მხოლოდ ამერიკაში, მსოფლიოს კიდევ არაერთ ქვეყანაშია მოსალოდნელი, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებშიც, სადაც ულტრანაციონალური ძალები დღითიდღე ძლიერდებიან.
რა გარდაქმნები მოჰყვება საქართველოში ზემოაღნიშნულ ცვლილებებს, საჭიროა თუ არა აქაც შესაბამისი საკანონმდებლო აქტები და აკრძალვები — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიომ“ კომენტარი სასულიერო პირებს სთხოვა.**



### «საქართველოში აკრძალული უნდა იყოს ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება უფლის კანონებს»

**მამა დავითი (ნოზაძე), თემქის წმ. მარკოზ ეფესელის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი:**

— ამერიკაში რომც არ აკრძალონ „სექსუალური უმცირესობების“ აგიტაცია, საქართველოში ეს მაინც უნდა მოხდეს. აქ აუცილებლად უნდა აიკრძალოს ნებისმიერი სახის ქმედება, რომელიც ამ გაუკუღმართებული ცხოვრების წესს პროპაგანდას გაუწევს. ასევე, უნდა აიკრძალოს აბორტი. რაც შეეხება ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზებას, ამაზე მსჯელობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს. საქართველოში აკრძალული უნდა იყოს ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება უფლის კანონებს. ასე რომ, **რა მოხდება და რა ცვლილებებს მიიღებენ სხვა ქვეყნებში, ჩემთვის გადამწყვეტი არ არის, მთავარია, აქ რა ცვლილებები იქნება...**

**— და კონკრეტულად რა სახის ცვლილებებია კანონში საჭირო, როგორ ფიქრობთ?**

— ამაზე მე ვერ გიპასუხებთ, იურისტებს ჰკითხეთ. მე შემიძლია ზოგადი შეფასების გაკეთება, რომ ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება უფლის კანონებს, ასაკრძალია. ჩემი აზრით, პირველ რიგში, გასაუქმებელია ანტიდისკრიმინაციული კანონი და ამის გაკეთება ძალიან მარტივია...



### «საქართველო ისეთი ტრადიციების ქვეყანაა, სოდომიაზე ლაპარაკიც არ უნდა იყოს»

**მამა გიორგი (რაზმაძე), ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი:**

— ამერიკაში მიმდინარე ცვლილებები, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ, რომც არ განხორციელებულიყო ისინი, სოდომიის პროპაგანდა აქ მაინც უნდა აგვეკრძალა, რადგან საქართველო ისეთი ტრადიციების ქვეყანაა, სოდომიაზე ლაპარაკიც არ უნდა იყოს. შემირცხვენია ის დეპუტატები, რომლებმაც თავის დროზე ხელი შეუწყვეს ამ პროპაგანდას, მხედველობაში მაქვს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი.

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში უნდა ველოდოთ თუ არა ამ კანონის გაუქმებას და ისეთი რეგულაციების მიღებას, რომლებიც აკრძალავს ლგბტ საზოგადოების პროპაგანდას?**

— სხვათა შორის, ახლახან ცნობილი გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილი აქტიურად აფინანსებდა ჰილარი კლინტონის წინასაარჩევნო კამპანიას. ეს რას ნიშნავს? — კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ესენი იმ ძალების ყურმოჭრილი მონები იყვნენ და ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც მიიღებოდა პარლამენტში, მთავრობასა თუ სხვა მაღალ ეშელონებში, იქიდან იყო ნაბრძანები და ნაკარნახევი.

რაც შეეხება შეკითხვას, ცხადია, იმას არ უნდა ველოდოთ, რომ ეს ხელისუფლება ერთბაშად შეცვლის პოლიტიკას, მაგრამ, მეორე მხრივ, ვხედავთ, რა ცვლილებები მიმდინარეობს დასავლეთში. მის ფონზე აქაც გარკვეული გარდაქმნები თუ არ მოხდა, ძალიან ცუდად დაამთავრებენ. ეს გარდაუვალია და მათი პოლიტიკური აღსასრული სამარცხვინო იქნება.



### «არც დღეს დევნის მათ ვინმე, მაგრამ საზოგადოება ღიზიანდება, როცა ვიღაც ცდილობს, თავს მოახვიოს გაუკუღმართებული აზროვნება»

**მამა დავითი (ქვლივიძე), თბილისის ვაშლიჯვრის ნათლისღების ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი:**

— საქართველო არასოდეს ყოფილა ვინმეს შემავიწროვებელი და მჩაგვრელი, მაგრამ დღეს ზოგიერთს ადამიანის უფლებები და თავისუფლება ძალიან არასწორად ესმის. მამათმავლები ყოველთვის იყვნენ და მათ არავინ დევნიდა, პირიქით — ვინც ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა, იქნებოდა ეს კულტურის, ხელოვნების თუ სხვა სფეროს წარმომადგენელი, დიდ პატივს სცემდნენ. არც დღეს დევნის მათ ვინმე, მაგრამ საზოგადოება ღიზიანდება, როცა ვიღაც ცდილობს, თავს მოახვიოს გაუკუღმართებული აზროვნება. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ **ქართველი ხალხი არასოდეს მიიღებს სოდომიის პროპაგანდას. ამის უფლება არც აქამდე მიგვიცია და ვერც მომავალში მივცემთ.** ჩემი აზრით, უახლოეს მომავალში უნდა გადაიხედოს ანტიდისკრიმინაციული კანონი და მასში უნდა გაუქმდეს ის ნაწილი, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია...

რაც შეეხება ამერიკას, **ამერიკელები ჭკვიანი ხალხია და მიხვდნენ, მამათმავლობის პროპაგანდა რომ დააქცევდა მათ ქვეყანას, ამიტომ გააკეთეს სწორი არჩევანი და არ მისცეს ხმა იმ კანდიდატს, რომელიც სოდომიის აგიტაციას ეწეოდა. ვფიქრობ, ეს უნდა იყოს მაგალითი ყველასთვის და მათ შორის იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც გარყვნილება და აღვირახსნილობა უკვე ნორმადაა ქცეული.**



### «თუ კი ხელისუფლებას არ სურს, საზოგადოების მწვავე პროტესტი მიიღოს, უნდა დაიწყოს მუშაობა ამ კანონების გაუქმებაზე»

**მამა დავითი (ისაკაძე), წმ. მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი:**

— ის, რაც ვიღაცისთვის ადამიანის უფლებებია, საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილისთვის ცოდვა და გარყვნილებაა. საბედნიეროდ, ამას დღითიდღე უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს მსოფლიოში და კაცობრიობა ნელნელა გონს მოდის. ვფიქრობ, აქ, პირველ რიგში, კანონმდებლობაა გადასახედი და რიგი ცვლილებებისა, რომლებიც თავის დროზე პარლამენტმა მიიღო, საერთოდ უნდა გაუქმდეს. მაგალითად, ანტიდისკრიმინაციული კანონი და ასევე გასაუქმებელია არსებული იუვენალური კანონმდებლობაც. ჩემი აზრით, ორივე დიდი ბოროტებაა და, თუ კი ხელისუფლებას არ სურს, საზოგადოების მწვავე პროტესტი მიიღოს, უნდა დაიწყოს მუშაობა ამ კანონების გაუქმებაზე. კიდევ ვიმეორებ, საქართველო არ მიიღებს მამათმავლობას და მსგავს გარყვნილებებს, საქართველო და ქართველი ხალხი ამას არ შეეგუება...

## «პირველ რიგში, გასაუქმებელია ანტიდისკრიმინაციული კანონი და ამის გაკეთება ძალიან მარტივია»

**მოამზადა ჯაბა ჟვანია**

**სოროსის ფონდის დახმარებით შეიქმნა საქართველოში ანტიეროვნული ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომლის ზოგი წევრი ახლაც პარლამენტშია (გიგა ბოკერია, აკაკი მინაშვილი, გივი თარგამაძე, თამარ კინწურაშვილი კი საზოგადოებრივ მაუწყებელს ხელმძღვანელობდა), ზოგიც — ხელისუფლებაში (სოზარ სუბარი).**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პუტინის საჩუქარმა კიევსა და ბუქარესტს თავზარი დასცა

**გაზეთ „ჟურნალისტური სიმართლეს“ რედაქცია აქვეყნებს სტატიას, რომელიც მიეძღვნა მოლდოვის პრეზიდენტის ვიზიტს მოსკოვში, რომლის დროსაც მხარეებმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. პუტინი და დოდონი ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ.**



„ჭკვიანი ადამიანები ყოველთვის გაურბიან არასასურველ კონფლიქტებს, სწორედ ამიტომ ზოგჯერ უკეთესიცაა, უბიძგო მეორე მხარეს მოქმედებისკენ, ვიდრე შენსავე პრობლემებში მარტომ იძრომიალო. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა, თუ საქმეს დაიჭერ აგრესიულ ნაციონალისტებთან და სხვა რუსოფობ-შოვინისტებთან“ (ამონაროდი „Журналистская правда“-დან).

სწორედ ასე მოიქცა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. მან თავის მოლდოველ კოლეგას, პრეზიდენტ იგორ დოდონს, მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გადასცა XVIII საუკუნის მოლდოვის სამთავროს რუკა. დოდონი საჩუქარმა გააკვირვა, პუტინმა ნამდვილად მოახერხა მისი გაოცება.

შესაძლოა, ამ მოკრძალებულმა საჩუქარმა განმუხტოს ის დაძაბული ვითარება, რომელიც მათ ურთიერთობაშია და რაც ბოლო დროს შეიმჩნევა დუნაისპირა ქვეყნებს შორის, რადგან უკრაინისა და რუმინეთის მთავრობები საერთოდ არ არიან კმაყოფილი დოდონის პრეზიდენტად არჩევით. უნდა აღინიშნოს, რომ რუკა მართლაც დამაინტრიგებლად გამოიყურება, რადგან მოლდოვის სამთავროს შემადგენლობაში იმ პერიოდში შედიოდა ტერიტორია: მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ რუმინეთი, თანამედროვე უკრაინის ტერიტორიის ნაწილი (ჩერნოვეცკის რეგიონი და ოდესის რეგიონის ნაწილი, კერძოდ, სამხრეთ ბესარაბია). რუკაზე არ არის გამოსახული თანამედროვე დნესტრისპირეთი და ქალაქ ოდესის მიმდებარე ტერიტორია. შესაძლოა, მომდევნო შეხვედრაზე პუტინმა დოდონს სხვა რუკაც აჩუქოს.

# ვაგინისკოსტიუმიანი სექსუალური უმცირესობები და ლაბრადორიანი ჯონ კერი ტრამპის საწინააღმდეგო აქციაზე

**აშშ-ში, ვაშიგნტონის ქუჩებში მასშტაბური საპროტესტო აქცია გაიმართა — „ქალები ტრამპის წინააღმდეგ“. აქციის მონაწილეები ლგბტ საზოგადოების მიმართ ტრამპის პოლიტიკურ შეხედულებებს აპროტესტებდნენ.**



აქციაზე სექსუალური უმცირესობები და მათი მხარდამჭერები ორიგინალური კოსტიუმებით გამოცხადდნენ: ქალებს ქალის სასქესო ორგანოს ფორმის კოსტიუმები ეცვათ. ჯონ კერიმ კი იმით მიიქცია ყურადღება, რომ აქციაზე თავის ძაღლთან ერთად მივიდა. პროტესტის მონაწილეები აქციაზე ასევე გამოცხადდნენ pussy-ქუდებით. pussy-ის ინგლისურ ენაში ორი მნიშვნელობა აქვს, იგი **კატასაც** ნიშნავს და **ვაგინასაც**, სწორედ ამიტომ აქციის მონაწილეთა უმრავლესობას თავზე კატის ფორმის ვარდისფერი ქუდები ეხურათ. მათი მიზანი ტრამპის პროვოცირებაც იყო, რადგან ტრამპმა თქვა, რომ ყველას ყურებით დაიჭერდა, ვინც მათი ქალების ყურადღებას მიიქცევდა, თუმცა რამდენად ავთენტურია ტრამპის ეს სიტყვები, ამის გარკვევა შეუძლებელია.




აქციის მონაწილეებს ხელში ეკავათ პლაკატები: „ჩვენი რისხვა გამართლებულია“, „ჩვენ ხმაურიანი უმრავლესობა ვართ“, „მმართველი და ქურდი“, „დავიჭერთ მათ ვაგინით“, „მოექეცით ტრამპს ისე, როგორც ის ექცევა ქალებს, ანუ როგორც ნაგავს“, „შორს შენი პატარა ხელები ჩვენი თავისუფლებისგან“. პლაკატებზე აღნიშნული იყო, რომ მათი 85% უფროა მამაკაცი, ვიდრე ტრამპი.

ამერიკელი თინეიჯერები კი ტრამპს პუტინის თოჯინას, სექსუალურ აგრესორს უწოდებდნენ.

არჩევნებამდე პოპულარული იყო ფრაზა: „ჩუმი უმრავლესობა ტრამპისთვის“. ამ უმრავლესობაში ისინი იგულისხმება, ვინც არჩევნებამდე თავს იკავებდა, ღიად ეთქვა, რომ მხარს, კლინტონს კი არა, ტრამპს უჭერდა. ლოზუნგი მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც ნათელი გახდა, ელიტა და ე. წ. სელებრეითები ხმას სწორედ ტრამპს რომ აძლევდნენ.

# ფრანსუა ფიიონი: უკრაინა და საქართველო არ განეკუთვნება ევროკავშირსა და ნატოში გასაწევრიანებელ ქვეყნებს



**საფრანგეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა, რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა და პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ფრანსუა ფიიონმა ფრანგულ Le Monde-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე პოლიტიკოსები უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებდნენ.**

„დასავლეთი ყოველთვის იმსახურებდა ნდობას? რუსეთი არასდროს შეგვიყვანია შეცდომაში ლიბიის, კოსოვოს, ევროკავშირთან ეკონომიკური პარტნიორობის საკითხებზე? რუსეთს პასუხისმგებლობები აკისრია, თუმცა არა მხოლოდ მას. შეგახსენებთ მათ უპასუხისმგებლო განცხადებებს, ვისაც საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანება სურდა“, — განცხადა ფიიონმა.

მისი თქმით, „უბრალოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ უკრაინა და საქართველო არ განეკუთვნება ევროკავშირსა და ნატოში გასაწევრიანებელ ქვეყნებს“. ფიიონის თქმით, რუსეთის მიმართ ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული. ფიიონი გამოთქვამს მზაობას და იმედს, რომ ქვეყნებს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობები უფრო მეტად მეგობრული გახდება.

საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნები გაზაფხულზე ორ ეტაპად — 23 აპრილსა და 7 მაისს ჩატარდება. აქამდე გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევების თანახმად, მეორე ტურში გავლენ „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერი მარინ ლე პენი და რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი ფრანსუა ფიიონი.



# უნგრეთში სოროსელებს მოღვაწეობას უკრძალავენ, საქართველოში კი მაღალ თანამდებობებზე ნიშნავენ

**უნგრეთის მმართველი პარტია „ფიდესის“ (უნგრეთის მოქალაქეთა კავშირი) თავმჯდომარის მოადგილის — ზილარდ ნემეტის განცხადებით, ქვეყნის ხელისუფლებას განზრახული აქვს ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის ლიკვიდაცია, რომლებსაც მილიარდერი ჯორჯ სოროსი აფინანსებს“, — იუწყება უნგრული გამოცემა Budapest Business Journal-ი.**

ზილარდ ნემეტის განცხადებით, ქვეყნის მთავრობა მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს გამოიყენებს მილიარდერთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების უნგრეთიდან გასაძევებლად.

„სოროსის იმპერიის ყალბი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფულს იღებენ იმისათვის, რომ ემსახურონ გლობალურ კაპიტალიზმს და მხარს უჭერენ პოლიტკორექტულობის პრინციპის უპირატესობას ეროვნულ ინტერესებზე“, — განაცხადა ნემეტმა და დასძინა, რომ აშშ-ის ხელისუფლების სათავეში დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ შეიქმნება სათანადო პირობები იმისათვის, რომ უნგრეთი ამერიკელი ფინანსისტის არასამთავრობო ორგანიზაციებისგან გათავისუფლდეს.

ამა წლის მარტში უნგრეთის ხელისუფლებას განზრახული აქვს, პარლამენტში განსახილველად შეიტანოს პროექტი, რომლის მიღების შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები ვალდებულნი იქნებიან, ანგარიშები გამოაქვეყნონ პირადი აქტივების შესახებ.

უნგრეთის ხელისუფლებამ არაერთხელ გააკრიტიკა სოროსის ფონდი „ღია საზოგადოება“ და მისი მოღვაწეობა, განსაკუთრებით ლტოლვილთა კრიზისის კონტექსტში. თვით ჯორჯ სოროსმაც აღიარა არასამთავრობო ორგანიზაციების ბრალი კრიზისში, რომელიც გამოწვეულია მასობრივი მიგრაციით. შარშან ინტერნეტში გავრცელდა დოკუმენტი, რომლის მიხედვით **სოროსი, როდესაც მან ლტოლვილების მიღებას დაუჭირა მხარი, მხოლოდ ალტრუისტული მოსაზრებებით არ ხელმძღვანელობდა — ფონდმა „ღია საზოგადოებამ“ მიგრაციული კრიზისი თანხების მოსაპოვებლად გამოიყენა.**

უნგრეთის პრემიერმინისტრმა ვიქტორ ორბანმაც არ დაიშურა კრიტიკა სოროსის არასამთავრობო ორგანიზაციების მისამართით. მისი განცხადებით, ასეთი არასამთავრობოების გაძევება ევროპიდან 2017 წელს დაიწყება.

„ყველაფერი ცხადი შეიქნება — საიდან იღებენ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ფულს, რომელ საიდუმლო სამსახურებთან არიან დაკავშირებულნი და ვის ინტერესებს ემსახურებიან“, — განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

აღსანიშნავია, რომ **სოროსის მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს პოლონეთში ანტისამთავრობო გამოსვლების მოწყობაში ადანაშაულებენ, აგრეთვე, არჩეული თანამდებობის პირების ავტორიტეტის შელახვაში რუმინეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთსა და იმავე უნგრეთში. ამას სოროსელები კორუფციასთან ბრძოლის საბაბით აკეთებდნენ.**

აი ასეთი პროცესები მიმდინარეობს უნგრეთსა და სრულიად ევროპაში, საქართველოში კი სოროსის ფონდს, არათუ კრძალავენ, მის წარმომადგენლებს მაღალ თანამდებობებზე ნიშნავენ. მაგალითად, სოროსის ფონდის „ღია საზოგადოება საქართველოს“ მმართველი საბჭოს წევრები იყვნენ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და მისი მეუღლე, თავდაცვის ყოფილი მინისტრი თინა ხიდაშელი. **სოროსის ფონდის დახმარებით შეიქმნა საქართველოში ანტიეროვნული ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომლის ზოგი წევრი ახლაც პარლამენტშია (გიგა ბოკერია, აკაკი მინაშვილი, გივი თარგამაძე, თამარ კინწურაშვილი კი საზოგადოებრივ მაუწყებელს ხელმძღვანელობდა), ზოგიც — ხელისუფლებაში (სოზარ სუბარი).**

აღსანიშნავია, რომ ახალარჩეული პარლამენტის თავმჯდომარე, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძეც, თავის დროზე სოროსის ფონდის თანამშრომელი იყო.

**ნიკა კორინთელი**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ფაქტია, რომ საპარლამენტო არჩევნების პერიოდში თავისი რევოლუციური რიტორიკით, რომელშიც რეაქტიული ფსიქოზის ყველა ნიშანი გამოვლინდა, სააკაშვილმა 2007-08 წლების ოპოზიციონერების ყველა რეკორდი მოხსნა. ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომლის გამოც „ნაცმოძრაობის“ ძველი ამომრჩევლებისა და პარტიის ლიდერების დიდმა ნაწილმა მას ზურგი შეაქცია. ხოლო ის, რაც სააკაშვილს დარჩა, სექტასთან გაცილებით ახლოსაა, ვიდრე პარტიასთან.**

# სექტანტების ვარამი და ბუჩქებიდან დანახული ინაუგურაცია

**გასულ კვირას მთელი პლანეტა დონალდ ტრამპის ინაუგურაციის დეტალებზე მსჯელობდა — ახალი პრეზიდენტის გამოსვლაზე, მისი მეუღლის ჩაცმულობაზე და ა.შ. საქართველოში ამას ერთობ კომიკური, მეტიც, ფსიქიატრიული ელფერი დაჰკრავდა, რადგან საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა მიხეილ სააკაშვილი, რომელიც, მოწადინების მიუხედავად, საპატიო სტუმრებთან ერთად ცერემონიაზე ვერ მოხვდა და თავი ზეიმის პერიფერიაზე, სადღაც ბუჩქებთან, ფრიად „ბომჟურ“ გარემოში ამოყო. იქ გადაღებული ფოტო საკმაოდ სიმბოლური იყო და ერთდროულად წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე მოგვითხრობდა.**







„გაივლის წლები და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, როდესაც...“ თუმცა წლებმა უკვე გაიარა და ვაშინგტონში, ბუჩქებში ჩასაფრებული მიხეილ სააკაშვილი ელოდებოდა, თუ როდის მიაქცევდა ყურადღებას შვეიცარი თუ არა მეეზოვე მაინც და, შესაძლოა, 9 წლის წინანდელ მოვლენებს იხსენებდა, რადგან სწორედ ამ დღეს, 2008 წლის 20 იანვარს, რუსთაველზე მისი მეორე და (მადლობა ღმერთს) უკანასკნელი ინაუგურაციის ცერემონია ჩატარდა. მაშინ საქართველო ორად გახლეჩილი იყო, იპოდრომზე იმავე დღეს ოპოზიციის უზარმაზარი მიტინგი გაიმართა. სააკაშვილმა წინასწარ იცოდა, რომ უნიათო ოპოზიციონერი ლიდერები გამწვავებაზე არ წავიდოდნენ და ხალხის მასის გამოყენებით თბილისის ცენტრის პარალიზებას არ მოახდენდნენ, მითუმეტეს რომ ეს 13 იანვარს, გაცილებით ხელსაყრელ პირობებში არ გააკეთეს (იმ დღეს საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიტინგი ჩატარდა). თუმცა ის, სავარაუდოდ, აცნობიერებდა, რომ არჩევნების გაყალბების შემდეგ მისი ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და რეჟიმმა წონასწორობა დაკარგა. ამ ვითარების გამოსწორების სურვილმა ხელისუფლება პოპულისტურ ეფექტზე ორიენტირებული იმპულსური ნაბიჯების სერიამდე მიიყვანა, რომელთა ერთ-ერთი შედეგი აგვისტოს ომი იყო.

2008 წლის დეკემბერ-იანვარში ოპოზიციამ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როდესაც მხადამჭერებში ხელისუფლების შეცვლაზე გადაჭარბებული მოლოდინები შექმნა, ხოლო შემდგომ შესთავაზა მთელი ენერგია 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებისკენ მიემართა. ამან იმედგაცრუება გამოიწვია, გაერთიანებულმა ოპოზიციამ ბევრი ხმა დაკარგა — მათი ნაწილი „ქრისტიან-დემოკრატებთან“ წავიდა. ვისაც ახსოვს ატმოსფერო, რომელიც იმ დღეებში თბილისში სუფევდა, იოლად მიხდება, რომ მაშინ არავინ მოუსმენდა პოლიტიკოსს, რომელიც იტყოდა, რომ ოპოზიციას გამარჯვებას არათუ ხუთი წელი (როგორც ეს რეალურად მოხდა), არამედ თუნდაც რამდენიმე თვე აშორებს. ყველას სურდა, რეჟიმი რაც შეიძლება მალე ჩამოშლილიყო.

**ახლახან იგივე თვით სააკაშვილს მოუვიდა — მან მხარდამჭერები საქართველოში მისი დაბრუნებისა და ხელისუფლების შეცვლის დაპირებებით აღაგზნო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერც ზღვა გადაცურა და ვერც გვირაბი გათხარა. ამან ნეგატიურად იმოქმედა „ნაცმოძრაობის“ რეიტინგზე, რაც აისახა „ენდიაის“ გამოკითხვებშიც კი, რომელშიც ამ პარტიის მაჩვენებლები ტრადიციულად მაღალია (2012 წლის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, რეალობისა და ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ „ენდიაიმ“ შემდეგი მონაცემები გამოაქვეყნა: „ნაციონალური მოძრაობა“ — 37%, „ქართული ოცნება“ — 12%).**

გასულ კვირას ამ ორგანიზაციამ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა: „გამოკითხულთა 40%-ის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს „ქართული ოცნება“ დგას, ხოლო 10%-ის შეხედულებებთან — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ეს, ალბათ, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სააკაშვილის პარტიას საკუთარ მხარდამჭერებთან სერიოზული პრობლემები შეექმნა. გასათვალისწინებელია, რომ ეს გამოკითხვა ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა, ანუ „ნაცმოძრაობის“ გაყოფამდე.

**ფაქტია, რომ საპარლამენტო არჩევნების პერიოდში თავისი რევოლუციური რიტორიკით, რომელშიც რეაქტიული ფსიქოზის ყველა ნიშანი გამოვლინდა** (მათ შორის ექსპრესიული ქცევა, საკუთარი თავისადმი ყურადღების მიპყრობის, სიბრალულის გამოწვევის სურვილი და ა. შ.), **სააკაშვილმა 2007-08 წლების ოპოზიციონერების ყველა რეკორდი მოხსნა. ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომლის გამოც „ნაცმოძრაობის“ ძველი ამომრჩევლებისა და პარტიის ლიდერების დიდმა ნაწილმა მას ზურგი შეაქცია. ხოლო ის, რაც სააკაშვილს დარჩა, სექტასთან გაცილებით ახლოსაა, ვიდრე პარტიასთან.** დღეს ამ პარალელს ბევრი ავლებს, თუმცა, ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ ფრაზა „ნაციონალური მოძრაობა“ უცნაურად ჩამოჰგავს „ტოტალიტარულ სექტას“ თანმდევი დასაბუთებით „საქართველო და მსოფლიომ“ ჯერ კიდევ 2012 წლის 6 ივნისს გამოაქვეყნა.

## 20 იანვარს «ადამიანმა ბუჩქებიდან» არა განახლებული პარტია, არამედ კვაზირელიგიური კულტი დააფუძნა, რომელშიც ალფა, ომეგა და ყველა დანარჩენი იფსილონი თვითონ იქნება

პრინციპში, **20 იანვარს „ადამიანმა ბუჩქებიდან“ არა განახლებული პარტია, არამედ კვაზირელიგიური კულტი დააფუძნა, რომელშიც ალფა, ომეგა და ყველა დანარჩენი იფსილონი თვითონ იქნება.** მან საჭიროდ არ ჩათვალა, პოლიტსაბჭოს არჩევის პროცესში თუნდაც მოჩვენებითი დემოკრატიული პროცედურა დაეცვა და სპორტის სასახლეში შეკრებილები მხოლოდ ფონის შესაქმნელად გამოიყენა. მან მიაღწია საწადელს — **პარტიის თავმჯდომარის სავარძელი კვლავინდებურად ვაკანტურია, იგულისხმება, რომ მასში უხილავად თავად სააკაშვილი ზის. პოლიტიკურ მდივნად ვანო მერაბიშვილი აირჩიეს, თანაც ისე, რომ მისგან თანხმობა არ მიუღიათ, რაც ფიგურანტმა საკუთარ „ფეისბუქ“-გვერდზე დააფიქსირა. ამ ცირკს მხოლოდ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ დალაი-ლამას არჩევაღა აკლდა.**

კულმინაციურ მომენტში სააკაშვილმა დროებით დატოვა ბუჩქები და ვაშინგტონიდან თბილისში შეკრებილ მხარდამჭერებს მიმართა. ყველაფერი, ასე თუ ისე, კარგად მიდიოდა, ვიდრე არ დაიწყო საუბარი იმაზე, რომ 2012-სა და 2016-ში კრემლმა ნაციონალებს არჩევნებზე იგივე სპეცოპერაცია ჩაუტარა, რომელსაც ახლა ამერიკაში ატარებს. შესაძლოა, ამ მომენტში „უმცროს ქურუმებს“ გაუჩნდათ ეჭვი, რომ სააკაშვილი რამდენიმე წამში აშშ-ის ახალი პრეზიდენტს რუსეთის აგენტად გამოაცხადებდა და ტრანსლაცია შეწყდა (ცხადია, არც დამთხვევა უნდა გამოვრიცხოთ). სააკაშვილმა მხოლოდ ერთი რეპლიკის წარმოთქმა მოასწრო: „მოიცა, გავიდა კადრი? გავიდა კადრი, რა ხდება?!“, რითაც კვაზირელიგიურ ექსტაზს დარბაზში გარკვეული ზიანი მიაყენა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სააკაშვილის მრევლმა მისი „მეორედ მოსვლის“ იდეა უარყო. მეტიც, ტოტალიტარული სექტების ისტორია ცხადყოფს, რომ სექტანტები ყოველთვის ცდილობენ, დააჩქარონ „აპოკალიფსი“, რომელიც წინ უძღვის „მეორედ მოსვლას“ და ამის გამო შეიძლება ძალადობრივ ქმედებებს მიმართონ. ამ ეტაპზე ჩვენ ვერ შევადარებთ „ნაცმოძრაობას“ „აუმ სინრიკეს“, რომელმაც ტოკიოს მეტროში გაზი გაუშვა, თუმცა, ალბათ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ხოლო ტოტალიტარული სექტების წევრები ყოველთვის მიდიან ამ გზით, თუ მათ დროზე არ შეაჩერებენ და ჭარბი რაოდენობის გალოპერიდოლს არ მიაწვდიან.

რაოდენ მრისხანეც უნდა ყოფილიყო განცხადებები სპორტის სასახლეში, კომენტატორების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ **არჩევნებში მარცხისა და პარტიის გაყოფის გამო, „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი მნიშვნელოვნად დაეცემა. ის, სავარაუდოდ, დაკარგავს სრულფასოვანი პროაქტიური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას და შეეცდება, გამოიყენოს წინააღმდეგობები სახელისუფლო პარტიის შიგნით.** უკვე დღეს შეგვიძლია ვიხილოთ მომავლის ერთგვარი „წინა სახე“ იმ სკანდალის მიღმა, რომელიც „გაზპრომის“ კონტრაქტის გარშემო განვითარდა. ამ შემთხვევაში „ნაცმოძრაობა“ კახი კალაძეს უტევს, რაც სავსებით შეესაბამება იმ სახელისუფლო ჯგუფების ინტერესებს, რომლებიც ცდილობენ, დაბლოკონ კალაძის კანდიდატურის წამოყენება თბილისის მერის პოსტზე — მთავარი თემა ამ შემთხვევაში სწორედ თბილისის მერობაა და არა გაზი, ნავთობი ან მაზუთი.

ამ სკანდალში გიორგი მარგველაშვილიც ჩაერთო, სწორედ იმ დროს, როდესაც ფრიად უსიამოვნო ინფორმაციის გადაფარვა სჭირდებოდა. **„ინტერპრესნიუსის“ ცნობით, მისი სამდღიანი ვიზიტი პარიზში ბიუჯეტს 110 ათას ლარზე მეტი დაუჯდა. რიო-დე-ჟანეიროში გაწეულმა ხარჯებმა კი, „აიპრესის“ ინფორმაციით, 173 ათას ლარს გადააჭარბა. ორივე შემთხვევაში ხარჯების გონივრულობა და მიდგომა დელეგაციის დაკომპლექტების მიმართ ძალიან სერიოზულ ეჭვს იწვევს. ამავე დროს, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სხვა უწყებებისგან განსხვავებით, უარს ამბობს ხარჯების შემცირებაზე** (პრეზიდენტის პრესსპიკერის 13 დეკემბრის განცხადება). შესაძლოა, ამის გამო, გიორგი მარგველაშვილმა საჭიროდ ჩათვალა იმის დემონსტრირება, რომ ის არა ბიუჯეტის წურბელა, არამედ „გაზპრომის“ ექსპანსიასთან მებრძოლი რაინდია, ასე ვთქვათ, რიჩარდ ლომგული და ელ სიდ კამპეადორი ერთ ფლაკონში. თუმცა ეს, სავარაუდოდ, არ არის მისი გააქტიურების ერთადერთი მიზეზი.

**ფორმალურად, ის, რასაც მარგველაშვილი და მისი გარემოცვა „პაეზდკებთან“ დაკავშირებით აკეთებენ, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც დანაშაული, ვიდრე ამ დასკვნამდე სასამართლო არ მივა. მაგრამ, ალბათ, არ არსებობს უფრო დიდი სირცხვილი პოლიტიკოსისთვის, როდესაც მისი საქმიანობის შეფასებისას, უპირველესად, იყენებენ ფრაზას „უნახავმა რა ნახაო“. ეს გზა უკვე გაიარა „ადამიანმა ბუჩქებიდან“ და ძალიან დასანანი იქნება, თუ გიორგი მარგველაშვილი იმავე მარშრუტს გაუყვება.**

პრეზიდენტის გააქტიურების კიდევ ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, ისაა, რომ საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა უკვე დაიწყო და ცვლილებების პროექტი 30 აპრილამდე უნდა მოამზადოს, მათ შორის პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლაზე. ამ ცვლილების გაპროტესტება მარგველაშვილს აძლევს ხელს, რადგან შესაძლებლობა ეძლევა პირდაპირი წესით არჩევის დაცვა დემოკრატიის დაცვად წარმოაჩინოს. ეს, რუსეთის გავლენასთან მებრძოლის იმიჯის დამკვიდრების პარალელურად, შესაძლებლობას მისცემს, გადადგომის შემდეგ მოიზიდოს ის „პროდასავლელი“ ამომრჩეველი, რომელიც დღეს, „თავისუფალი დემოკრატების“, რესპუბლიკური პარტიისა და „ნაცმოძრაობის“ დაშლის შემდეგ ესოდენ დაბნეულია. **პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მარგველაშვილი, ალბათ, ვერასოდეს გახდება პირველი რანგის ლიდერი, თუმცა, სავარაუდოდ, შეძლებს, ივანიშვილის მიერ შექმნილ სისტემაში „კონსტრუქციული ოპოზიციის“ ნიშაში კომფორტული ადგილი დაიკავოს.**

ამ პროცესის დეტალებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია, მაგრამ სტატუსიდან გამომდინარე, მარგველაშვილს აქვს იმის პოტენციალი, გახდეს გამაერთიანებელი ფიგურა პროდასავლური ძალების კოალიციისთვის, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება უგულავა-ბოკერიას „ევროპული საქართველო“ იქნეს. მსგავსი ალიანსი ძალზე მნიშვნელოვანია „ევროქართველებისთვის“, რადგან მხოლოდ ამ გზით თუ მოახერხებენ იზოლაციის გარღვევას, რომელიც „ნაცმოძრაობისგან“ „მემკვიდრეობით“ ერგოთ. დაეხმარება თუ არა ამ პრობლემის გადაწყვეტაში მარგველაშვილი თავის ძველ მეგობარ ბოკერიას? დადგებიან თუ არა დანაშაულებრივი რეჟიმის ყოფილი მაღალჩინოსნების გვერდით სხვა პარტიების ლიდერები? ნებისმიერ შემთხვევაში ეს იქნება ახალი, საინტერესო ისტორია, შესაძლოა, ახალი სეზონის მთავარი ინტრიგა, რომელთანაც საერთო არაფერი ექნება ადამიანს, რომელიც ყველასგან მიტოვებული გასულ კვირას ვაშინგტონში ბუჩქებში იჯდა.

**ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოს“ პრობლემის გადაწყვეტა აშშ-ისა და რუსეთის ძალისხმევის კოორდინაციის გარეშე წარმოუდგენელია. რაც შეეხება დაპირისპირებას ჩინეთთან, ამ მიმართულებით ტრამპს, როგორც მინიმუმი, რუსეთის ნეიტრალიტეტი დასჭირდება, იმის გარანტია, რომ კრიტიკულ მომენტში ორი ევრაზიული გიგანტი სტრატეგიულ ალიანსს არ შექმნის. ამ ორი წინაპირობიდან გამომდინარეობს აშშ-რუსეთის ურთიერთობების მოსალოდნელი ნორმალიზაცია, რომლის ერთ-ერთი შედეგი შეიძლება გახდეს რუსეთის გავლენის ზრდა პოსტსაბჭოთა სივრცეში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ახალი მსოფლიო წესრიგი და საქართველო

**ინაუგურაციამ წარმატებით ჩაიარა — დონალდ ტრამპი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტია. მთელი მსოფლიო ყურადღებით აკვირდება აშშ-ის ახალი ლიდერის თითოეულ ნაბიჯს და ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი.**



**აშშ-რუსეთის «დიდი გარიგების» ფარგლებში, რომელზეც ბევრს საუბრობენ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ, საქართველოსა და უკრაინის «ფინლანდიზაცია» სავსებით ლოგიკურია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტას ურჩევნია, მიიღოს ის, როგორც ზესახელმწიფოების მიერ თავს მოხვეული სცენარი და არა როგორც საზოგადოების არჩევანი, რომელიც შექმნილი სიტუაციისა თუ ისტორიული გამოცდილების ანალიზს ეფუძნება**

საინაუგურაციო სიტყვის საფუძველზე შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება, ცხადია, არ შეიძლება, მაგრამ რამდენიმე ნიუანსი ნამდვილად ყურადსაღებია. არსებული მდგომარეობის დახასიათების თვალსაზრისით, ეს უდავოდ ყველაზე კრიტიკული საინაუგურაციო სიტყვაა აშშ-ის ისტორიაში. ტრამპი ძალიან ხისტი იყო ვაშინგტონური ისტებლიშმენტის მიმართ, როცა ის ამერიკელი ხალხის მტრად წარმოაჩინა. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ტრამპმა დაადასტურა პროტექციონისტული იდეების ერთგულება, რომელთა რეალიზება, ექსპერტთა ვარაუდით, გარანტირებულად მიიყვანს აშშ-ს ეკონომიკურ ომამდე ჩინეთთან. ამასთანავე, **ახალმა პრეზიდენტმა თქვა, რომ აშშ თავის ცხოვრების წესს უცხო ქვეყნებს ძალით თავს არ მოახვევს. რა მოხდება რეალურად, სხვა საქმეა, თუმცა პირდაპირი გაგებით ეს დეკლარაცია შტატების საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედზე – ლიბერალურ ინტერვენციონიზმზე უარის თქმას ნიშნავს. სხვათა შორის, ტრამპმა თავის გამოსვლაში არც ერთხელ არ ახსენა დემოკრატია და თავისუფლება, მით უფრო მათი ექსპორტი უცხო ქვეყნებში. და ბოლოს – დონალდ ტრამპმა დაადასტურა, რომ მისი მთავარი სამიზნე ისლამისტური ტერორიზმია.**

**ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოს“ პრობლემის გადაწყვეტა აშშ-ისა და რუსეთის ძალისხმევის კოორდინაციის გარეშე წარმოუდგენელია.** რაც შეეხება დაპირისპირებას ჩინეთთან, ამ მიმართულებით ტრამპს, როგორც მინიმუმი, რუსეთის ნეიტრალიტეტი დასჭირდება, იმის გარანტია, რომ კრიტიკულ მომენტში ორი ევრაზიული გიგანტი სტრატეგიულ ალიანსს არ შექმნის. ამ ორი წინაპირობიდან გამომდინარეობს აშშ-რუსეთის ურთიერთობების მოსალოდნელი ნორმალიზაცია, რომლის ერთ-ერთი შედეგი შეიძლება გახდეს რუსეთის გავლენის ზრდა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

პეკინის რეაქცია ტრამპის განცხადებებზე ნათლად გამოვლინდა მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე დავოსში, სადაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ **სი ძინპინმა** მკაცრად დაგმო პროტექციონიზმი, რომლის აპოლოგეტები, მისი თქმით, „სირთულეების შიშით მზად არიან, ჩაიკეტონ ბნელ ოთახში, ჰაერსა და სინათლეზე უარი თქვან“. ნიშანდობლივია, რომ ამ გამოსვლაში ჩინეთის ლიდერმა გლობალიზაციის პროცესის დაცვის აუცილებლობაზე ისაუბრა; ადრე ეს აშშ-ის „საფირმო“ თემა იყო.

ზოგადად, ჩინეთის ხელისუფლებაში შეიძლება ორი პირობითი „ბანაკი“ გამოვყოთ. ერთ-ერთის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ჩინური პროდუქციის ექსპორტი შეერთებულ შტატებში ქვეყნის ძლიერების მთავარი საწინდარია. შესაბამისად, ჩინეთმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვას უარი ინდუსტრიული ცენტრის როლზე ეკონომიკურ სიმბიოზში აშშ-თან, ხოლო საგარეო პოლიტიკაში ჰენრი კისინჯერის „დიდი ორეულის“ კონცეფციის ერთგულება შეინარჩუნოს, რომლის ფარგლებში გლობალური უსაფრთხოება და ეკონომიკური განვითარება აშშ-ჩინეთის სტრატეგიულ პარტნიორობას ეფუძნება. ამ ჯგუფს შედარებით ლიბერალური შეხედულებები ახასიათებს. მათი ოპონენტები, რომელთა რიცხვს სი ძინპინიც მიეკუთვნება, მიიჩნევენ, რომ **აშშ-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობის დღევანდელი მოდელი მარადიული არაა და ქვეყანას ალტერნატიული სტრატეგია სჭირდება. თუმცა ისინი აცნობიერებენ, რომ „გადაწყობისთვის“ ჩინეთს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება და ეს აიძულებს პეკინს, დრო მაქსიმალურად გაწელოს. ტრამპის ბოლოდროინდელი ნაბიჯები თითქოს ადასტურებს მეორე ჯგუფის წინდახედულობას – კურსი ამერიკის რეინდუსტრიალიზაციაზე, აგრეთვე, საბაჟო ბარიერების აღმართვა ჩინურ ექსპორტს, სავარაუდოდ, უდიდეს ზიანს მიაყენებს.**

ამგვარ „გაორებას“ ჩინეთის ხელისუფლებაში განაპირობებს არა მხოლოდ იდეური ბრძოლა პოლიტბიუროს წიაღში, არამედ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობაც. აშშ-ს, ისევე, როგორც თავის დროზე ბრიტანეთსა და იაპონიას, გეოგრაფია უბიძგებს, საზღვაო სავაჭრო მარშრუტებზე კონტროლი დაამყაროს და შექმნას საზღავო იმპერია. რუსეთის, ისევე, როგორც ადრე გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის, ძლიერება კონტინენტის შიდა სივრცის კონტროლს ეფუძნება. ჩინეთის გეოპოლიტიკური ბუნება კი „გაორებულია“ — მას შეუძლია რესურსები, როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო იმპერიის შექმნისკენ მიმართოს. მსგავსი „გაორება“ წინა საუკუნეებში ახასიათებდა საფრანგეთის, უფრო ადრე კი ესპანეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკას. გასაკვირი არაა, რომ ჩინეთის დღევანდელი სტრატეგია „ერთი სარტყელი — ერთი გზა“ ორივე მიდგომას აერთიანებს და ითვალისწინებს, როგორც საზღვაო, ისე შიდაევრაზიული სავაჭრო მარშრუტების პრიორიტეტულ განვითარებას.

საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დავოსში გამოსვლისას ისაუბრა იმაზე, რომ „ერთი სარტყელი — ერთი გზა“ ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და განვითარების უდიდეს შესაძლებლობას აძლევს: „ესაა ალტერნატივების ქსელი — თითოეული მათგანი თანაბრად მნიშვნელოვანია ევრაზიაში ეკონომიკის ზრდისა და ჯანსაღი ეკონომიკის შესაქმნელად... ჩვენ ვიწყებთ შავი ზღვის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პორტის — ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას შავი ზღვის სანაპიროზე. ამ მიზნით შეიქმნა ქართულ-ამერიკული კონსორციუმი. ამჟამად რეგიონის მასშტაბით ვეძებთ პორტის ოპერატორებს. ინვესტიციების დიდი რაოდენობაა მიმართული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლების მიზნისკენ. ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ჩინეთთან. ამას გარდა, დასრულდა მოლაპარაკებები ჩინეთთან თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით. შესაბამის ხელშეკრულებას უახლოეს მომავალში მოეწერება ხელი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს გულისხმობს თანამშრომლობას არა მხოლოდ ტრანსპორტირების, არამედ წარმოების პროცესშიც და ლოჯისტიკის კუთხითაც“ (ინტერპრესნიუსი).

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რომ მომავალმა გლობალურმა ეკონომიკურმა ომმა არ დააკნინოს მისი სატრანზიტო ფუნქცია, ხოლო მასზე გამავალი სავაჭრო ნაკადი წლიდან წლამდე ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელეურად იზრდებოდეს. პრობლემა ისაა, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის შესაძლო ზრდა და ძალთა ბალანსის შეცვლა დღის წესრიგში დამატებითი პოლიტიკური გარანტიების შექმნის აუცილებლობას დააყენებს, რომელთა გარეშე ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია. მარტივად რომ ვთქვათ, **საქართველო არ უნდა იქცეს ზესახელმწიფოების დაპირისპირების არენად, 2008 წლის აგვისტო არ უნდა განმეორდეს.**

მართალია, ქართული საზოგადოება „ენდიაის“ გამოკითხვებს ეჭვის თვალით უყურებს და ვერ ივიწყებს 2012 წლის „ბოდვით რეიტინგებს“, რომელიც „ნაცმოძრაობას“ ტრიუმფალურ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ზოგიერთი სხვა თემის მიმართ ის შედარებით ადეკვატურია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ეჭვი, რომ ამერიკული ორგანიზაცია ცდილობს საქართველოს მოსახლეობა უფრო პროდასავლურად წარმოაჩინოს, ვიდრე ის სინამდვილეში არის. ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, **გამოკითხულთა 12% მიიჩნევს, რომ საქართველომ „პროდასავლური“ საგარეო პოლიტიკა უნდა გაატაროს, 54% თვლის, რომ — „პროდასავლური, მაგრამ უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა რუსეთთან“, 18%-ის აზრით — „პრორუსული, მაგრამ უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა ნატოსთან და ევროკავშირთან“, 9%-ს კი „პრორუსული“ საგარეო პოლიტიკის გატარება სურს. ამასთანავე, გამოკითხულთა 53% ფიქრობს, რომ საქართველო მეტ სარგებელს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისგან მიიღებს, ხოლო 31%-ის აზრით, საქართველო უფრო მეტ სარგებელს ნახავს, თუ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის უარს იტყვის ევროკავშირისა და ნატოს წევრობაზე** (ეს ძალზე მაღალი მაჩვენებელია „ენდიაის“ გამოკითხვებისთვის).

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, მედიასა და სოციალურ ქსელებში დაიწყო დისკუსია. საუბრობდნენ პროდასავლელებისა და პრორუსების რაოდენობის კლებასა თუ მატებაზე. არავის დაუჯამებია დაბალანსებული, კონფრონტაციისგან თავისუფალი საგარეო პოლიტიკის გატარების მსურველთა პროცენტები:

**54% — „პროდასავლური, მაგრამ უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა რუსეთთან“,**

**18% — „პრორუსული, მაგრამ უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა ნატოსთან და ევროკავშირთან“**

**ჯამში 72% — თავისუფალი საგარეო პოლიტიკის გატარების მსურველები აშკარად უმრავლესობაში არიან.**

რუსეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების პირობებში პროდასავლური პოლიტიკის გატარება მხოლოდ ნატოში შესვლაზე უარის თქმის შემთხვევაშია შესაძლებელი – ამ პრინციპს ეფუძნება ისეთი ცალსახად პროდასავლური (უფრო სწორად — არსებითად დასავლური) ქვეყნის პოლიტიკა, როგორიცაა ფინეთი. **აშშ-რუსეთის „დიდი გარიგების“ ფარგლებში, რომელზეც ბევრს საუბრობენ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ, საქართველოსა და უკრაინის „ფინლანდიზაცია“ სავსებით ლოგიკურია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტას ურჩევნია, მიიღოს ის, როგორც ზესახელმწიფოების მიერ თავს მოხვეული სცენარი და არა როგორც საზოგადოების არჩევანი, რომელიც შექმნილი სიტუაციისა თუ ისტორიული გამოცდილების ანალიზს ეფუძნება.** წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევს აღიარება, რომ არსებითად მცდარი იყო ის რადიკალური კურსი, რომელსაც წლების განმავლობაში ატარებდა, რომლის შედეგად დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ხოლო უამრავი ადამიანი დაიღუპა და ქვეყნიდან გაიქცა. ქართულ ელიტას ეშინია, რომ ამ შეცდომის აღიარება მის ავტორიტეტს მიწასთან გაასწორებს. ამასთანავე, საზოგადოებას გაუჩნდება ეჭვი, რომ ქვეყნის ხელმძღვანელები აცნობიერებდნენ საფრთხეებს, რომლებიც ამ კურსის გატარებას უკავშირდებოდა, თუმცა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები არაფრად ჩააგდეს და ამ გზით ამერიკელების, კერძოდ კი — უმცროსი ბუშის, ადმინისტრაციის მხარდაჭერა მოიპოვეს, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის და მისი შენარჩუნების მთავარ წინაპირობად მიაჩნდათ.

**ლუკა ნემსაძე**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალიზაციის ამჟამინდელი პროექტი არა მხოლოდ გლობალური კონფრონტაციის გამომწვევია, არამედ შეუსრულებადიცაა. ის აუცილებლად კრახით დამთავრდება, ისევე, როგორც დამთავრდა კრახით გლობალიზაციის წინა პროექტები — ადრინდელი ბოლშევიკური, მისი „მსოფლიო მთავრობით“, და ფაშისტური, მისი გერმანული ჰეგემონიით მსოფლიოში...**

# გარდაუვალ ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოს ელის, ქართველი პოლიტოლოგი წლების წინათ ვარაუდობდა

**20 იანვარს გამართულ ინაუგურაციაზე აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამერიკელ საზოგადოებას ერთიანობისკენ მოუწოდა. ტრამპს სურს, შექმნას კოალიცია სხვადასხვა ჯგუფის, კლასისა და თემისა, რომლებიც მდიდრების, გავლენიანი მაგნატებისა და ხელისუფლებაში მოკალათებული მაღალჩინოსნების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. როგორც ახალარჩეულმა პრეზიდენტმა განაცხადა, მათ ბედის ანაბარა მიატოვეს სოციალურად სუსტი ფენა, შედეგად მოიმატა სიღარიბემ და დანაშაულმა, რომელიც ობამას ეპოქაში დამღად დაედო ამერიკის ბევრ რაიონსა და ქალაქს.**

ტრამპი არა მხოლოდ ინაუგურაციაზე სიტყვით გამოსვლისას, არამედ წინასაარჩევნო პერიოდშიც ჰპირდებოდა ამერიკელებს, რომ რადიკალურად შეცვლიდა წესრიგს ხელისუფლებაში, შეცვლიდა მის ჩვევებს, პრიორიტეტებს, აგრეთვე, ვაშინგტონისა და ნიუ იორკის ელიტების მოქმედების მოდელს. დონალდ ტრამპი დაუპირისპირდა იმ პრინციპებსა და აზროვნებას, რომელიც განსაზღვრავდა მისი წინამორბედი პოლიტიკური ლიდერების ქცევას.

ცვლილებებია მოსალოდნელი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში: ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა და ახლა იქ მთავარი მოთამაშეები რუსეთი, ირანი და თურქეთი არიან, რომლებმაც აშშ მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ მიიწვიეს ასტანაში გასამართ მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის. ნიშანდობლივია, რომ მოწვევა გაუგზავნეს არა ბარაკ ობამას, არამედ დონალდ ტრამპს.

ტრამპის გაპრეზიდენტებამ, რასაც ყველა ხერხით უშლიდნენ ხელს არა მხოლოდ ამერიკის, არამედ მსოფლიოს პოლიტიკისა და ეკონომიკის გავლენიანი ძალები, შოკი გამოიწვია იმ ადამიანებში, რომლებსაც სჯეროდათ, რომ გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადია, რომ გარდაუვალია ქრისტიანული ღირებულებების დევალვაცია, რომ ყველა ქვეყანაში უნდა დაკანონდეს ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება და, რაც მთავარია, მსოფლიოს ჰეგემონი უნდა იყოს „განსაკუთრებული სახელმწიფო“ — ამერიკის შეერთებული შტატები.

მაგრამ, თუ ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებს გულდასმით გავაანალიზებთ, აშკარად ჩანს, რომ ცვლილებები, რომლებიც ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ უნდა დაიწყოს, გარდაუვალი იყო. ამ ცვლილებების გარდაუვალობაზე კი არაერთხელ ულაპარაკია ცნობილ ქართველ პოლიტოლოგს — **ალექსანდრე ჭაჭიას.** ამაში იოლად დარწმუნდებით, თუ გავეცნობით ტრამპის მიერ წინასაარჩევნოდ გაცემულ დაპირებებსა და ინაუგურაციისას გამოთქმულ თეზისებს.

**„ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ადამიანთა მცირე ჯგუფი სარგებლობდა ხელისუფლების სიკეთეებით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში და ამის საფასურს მოსახლეობა იხდიდა. ვაშინგტონი აყვავდა, მაგრამ ადამიანებმა ეს ვერ იგრძნეს თავიანთ ქონებაზე. პოლიტიკოსებიც გაიფურჩქნენ, მაგრამ ქარხნები დაიხურა და სამუშაო ადგილები გაქრა. ისტებლიშმენტი იცავდა საკუთარ თავს, მაგრამ არა — ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს. მათი გამარჯვება არ იყო თქვენი გამარჯვება, მათი ტრიუმფი არ იყო თქვენი ტრიუმფი და, როცა ისინი ზეიმობდნენ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, სულაც არ ეზეიმებოდათ ოჯახებს ჩვენს ქვეყანაში...**

**დედები და შვილები სიღარიბეში ცხოვრობენ ჩვენს ქალაქებში; დაჟანგული ქარხნები საფლავის ქვებივითაა მიმოფანტული ჩვენი ქვეყნის მიწაზე; ფულით სავსე განათლების სისტემა, რომელიც შესანიშნავ სტუდენტებს ცოდნის გარეშე ტოვებს; კრიმინალმა, განგსტერებმა და ნარკოტიკმა ძალიან ბევრი სიცოცხლე წაგვართვა და ჩვენი ქვეყანა გაძარცვა არარეალიზებული პოტენციალისგან. ჩვენ გვექნება ორი მთავარი წესი — იყიდე ამერიკული და დაიქირავე ამერიკელი“.**

ინაუგურაციაზე წარმოთქმული სიტყვის ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ აშშ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტს სურს, **ძირფესვიანად შეცვალოს საშინაო პოლიტიკა** და ამერიკა, უწინარესად, ამერიკელი ხალხის ინტერესების გამტარებელ ქვეყნად გადააქციოს.

აი როგორ აფასებდა **ალექსანდრე ჭაჭია** აშშ-ის როლს მსოფლიოში თითქმის 16 წლის წინათ, 2001 წლის სექტემბერში „დილის გაზეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში:

**„ეს ის ქვეყანაა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იქცა ერთადერთ ზესახელმწიფოდ. მის ისტებლიშმენტში გაიმარჯვა კონცეფციამ, რომლის თანახმადაც, აშშ უნდა იყოს მსოფლიოს ხელმძღვანელი, მსოფლიოს მმართველი... აშშ ქმნის ვითარებას, რომლის მსხვერპლიც თვითონ ხდება. მოვა დრო, როცა ამერიკას იმპერიალისტური პოლიტიკა უკან შეუბრუნდება და ტრაგიკულ შედეგამდე მივა...**

**ამერიკამ უნდა შეცვალოს საგარეო პოლიტიკა და შეეგუოს იმ ამბავს, რომ მსოფლიოში არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, თავისუფალი ერები, რომლებსაც აქვთ ეროვნული თვითმყოფადობა, განვითარების საკუთარი გზა და ტრაექტორია“.**

ქვემოთ მოყვანილი ტექსტები კი ამონარიდებია **გაზეთ „**საქართველო და მსოფლიოსთვის“ **2013 წელს მიცემული ინტერვიუდან:**

„თუ იმასაც დავუმატებთ, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც ფულს ბეჭდავს და ამერიკას და მთელ მსოფლიოს დოლარებით ამარაგებს, კერძო საწარმოს წარმოადგენს, რომელიც 100 წლის წინათ იმავე როკფელერებმა და როტშილდებმა მორგანებთან, ლემანებთან, დიუპონებთან ერთად ჩამოაყალიბეს, მაშინ ნათელი გახდება, რომ **შეერთებული შტატები, უბრალოდ, პლანეტის უმდიდრესი ადამიანების კერძო კორპორაციაა, ხოლო აშშ-ის მთელი პოლიტიკური კლასი ამ კერძო კორპორაციის თანამშრომლები არიან. და აქ არანაირი სახალხო დემოკრატიის სიოც კი არ ქრის** („საქართველო და მსოფლიო“ №31(218), 2013წ).

**„მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების მორჩილებაში საყოლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში, მას სჭირდება „ყველას ყველასთან“ დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომლებსაც აქვთ განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია“** (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ 34 (221), 2013წ).

*აშშ-ის ახალ პრეზიდენტს განზრახული აქვს ურთიერთობის გაუმჯობესება **რუსეთთან**, რომელსაც მისი წინამორბედი სანქციებს სანქციაზე უწესებდა. ტრამპი, აგრეთვე, შეცვლის დამოკიდებულებას **ევროკავშირისა** და **ნატოს** მიმართ, რომლებსაც ბევრი ექსპერტი დაშლას უწინასწარმეტყველებს მემარჯვენე ნაციონალისტური განწყობების მატების გამო.



**„დეკადების განმავლობაში ჩვენ ვამდიდრებდით უცხოურ ინდუსტრიებს ამერიკული ინდუსტრიების ხარჯზე; ვაფინანსებდით სხვა ქვეყნის არმიებს მაშინ, როცა ჩვენს არმიას ვაძლევდით გამოფიტვის საშუალებას; ჩვენ ვიცავდით სხვა ქვეყნის საზღვრებს, როცა არ ვიცავდით საკუთარს; ოკეანის გადაღმა ვხარჯავდით ტრილიონობით დოლარს მაშინ, როცა ჩვენი ინფრასტრუქტურა მოშლილი და დასუსტებულია. ჩვენ ვამდიდრებდით სხვა ქვეყნებს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, სიძლიერე და თავდაჯერებულობა ჰორიზონტიდან გაქრა“,** — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

აი **ალექსანდრე ჭაჭიას** თვალსაზრისი ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებისკენ საქართველოს სწრაფვაზე:

**„შევარდნაძემ და სააკაშვილმა ჩვენს საზოგადოებას თავს მოახვიეს ცრუ მიზნები — ნატო და ევროკავშირი. ხალხმა არაფერი იცოდა არც ერთის და არც მეორის შესახებ, მაგრამ პროპაგანდის ზეგავლენით ეს ცრუ მიზნები ყველა უბედურების პანაცეად, სამოთხისკენ მიმავალ გზად აღიქვა. ნებისმიერ ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯს ხელისუფლება სწორედ ამ ცრუ მიზნების — ნატოსა და ევროკავშირისკენ ხელის გაშვერით ამართლებდა — აქაოდა, ნატოსა და ევროკავშირში შესასვლელად არისო საჭირო... ორივე რეჟიმი, შევარდნაძისა და სააკაშვილის, იყო მარიონეტული. მათ სჭირდებოდათ, როგორმე აეხსნათ ხალხისთვის, რატომ იქცეოდნენ არა საკუთარი სახელმწიფოს, არამედ გარე ძალების ინტერესების შესაბამისად. ახსნა კი იყო შემდეგი: „ასეა საჭირო ნატოში შესასვლელად“. ჩვენი მმართველების ზურგს უკან ნატოს რომ არ ეციმციმა, განა ქართველი ხალხი დაანებებდა მათ ომის დაწყებას აფხაზეთსა და ცხინვალში, რუსეთთან თვითმკვლელობის ტოლფას კონფრონტაციაზე წასვლას ან ავღანეთში უცხო ინტერესებისთვის სასაკლაოზე საკუთარი შვილების გაგზავნას? განა დაანებებდა ვინმე ხელისუფლებას ახალგაზრდობის გარყვნას, ეკლესიის დამცირებას, უცხოელებზე მიწის გაყიდვას? განა ქართველი ხალხი შეეგუებოდა იმას, რომ საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი, აგერ უკვე 20 წელია, არის აშშ-ის ელჩი? ამ ყველაფერს სჭირდებოდა გამართლება და ისიც მოიძებნა ნატოსა და ევროკავშირის სახით. ქვეყნის მმართველებმა კარგად იცოდნენ, რომ ატყუებენ ხალხს, მაგრამ, როგორც მარიონეტებს, საზოგადოებისთვის სხვა არაფრის შეთავაზება არ შეეძლოთ, მათთვის ნებადართული იყო მხოლოდ იმ პოლიტიკის გატარება, რომელსაც კარნახობდნენ და რომლისთვისაც ისინი ხელისუფლებაში დასვეს** (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ №20 (207), 2013 წ).

***ევროპა**, რომელიც უამრავი პრობლემის წინაშე (მიგრაციული კრიზისი, ფინანსური თუ ეკონომიკური პრობლემები) დგას, შიშით შეჰყურებს მოვლენების განვითარებას აშშ-ის ხელისუფლების სათავეში ტრამპის მოსვლის შემდეგ, რადგან ამერიკაში დაწყებული ცვლილებების სიო აუცილებლად დაუბერავს ბებერ კონტინენტზეც, გამოიწვევს ნაციონალისტური განწყობილების კიდევ უფრო ზრდას და ნეოლიბერალი პოლიტიკოსების კარიერის დასასრულს.

ევროკავშირში საქართველოს შესვლის ოცნების უტოპიურობაზე, რაც ახლახან საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა **ფრანსუა ფიიონმაც** დაადასტურა (არა მხოლოდ მან), **ალექსანდრე ჭაჭია** 4 წლის წინათ ლაპარაკობდა „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში:

**„ჯერ ერთი, ევროკავშირმა დაასრულა გაფართოების პროცესი და ახალ წევრებს აღარ მიიღებს; მეორე — წამყვანი ევროპული ქვეყნები არ მიიჩნევენ საქართველოს ევროპის ნაწილად; მესამე — ევროკავშირი რომც ფართოვდებოდეს, მასში სამხრეთკავკასიური სახელმწიფოს გაწევრიანება მხოლოდ თურქეთის გაწევრიანე-** ▶

**«დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ძალიან სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური, ცივილიზაციური, რელიგიურ-ეთნიკური პროცესები, რომლებიც, ალბათ, მსოფლიოს ახალი გადანაწილებით, გლობალური ძალების ახალი კონფიგურაციით დასრულდება, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს აიძულებს უარი თქვას ეროვნული სახელმწიფოების განადგურებასა და საკვანძო ადგილებში კონფლიქტების გაჩაღებაზე. ასეთ შემთხვევაში მისთვის საქართველო საჭირო აღარ იქნება და არ არის გამორიცხული, რაღაც პერიოდში საკუთარი თავი «ჩვენადვე გვეყუდნოდეს»**

**(«ასავალ-დასავალი». ივნისი. 2016 წ.)**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრამპმა პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველი, რაც გააკეთა საგარეო ურთიერთობების სფეროში, იყო ის, რომ 80 ქვეყანაში ბარაკ ობამას მიერ დანიშნული აშშ-ის ელჩები დაითხოვა და, როგორც ჩანს, წასვლა მოუწევს აშშ-ის ელჩს საქართველოში — იან კელისაც, რომელსაც თვალებში შესციცინებდა საქართველოს წინა ხელისუფლება და მის მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდა ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ.**

**«აშშ ქმნის ვითარებას, რომლის მსხვერპლიც თვითონ ხდება. მოვა დრო, როცა ამერიკას იმპერიალისტური პოლიტიკა უკან შეუბრუნდება და ტრაგიკულ შედეგამდე მივა... ამერიკამ უნდა შეცვალოს საგარეო პოლიტიკა და შეეგუოს იმ ამბავს, რომ მსოფლიოში არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, თავისუფალი ერები, რომლებსაც აქვთ ეროვნული თვითმყოფადობა, განვითარების საკუთარი გზა და ტრაექტორია»**

◀ **ბის შემდეგ იქნება შესაძლებელი. თურქეთი, მოგეხსენებათ, უკვე წლებია, დაჟინებით ითხოვს ევროკავშირში მიღებას და, რამდენიც უნდა მოითხოვოს, მას იქ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ; და მეოთხე — ევროკავშირი თავად არის დაშლის ზღვარზე და უახლოესი 5-7 წლის განმავლობაში ჩვენ მისი დაშლის უშუალო მოწმეები გავხდებით“.**

 აი მისი კიდევ ერთი შეფასება:

**„მულტიკულტურიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებულები არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ „უმცირესობათა უფლებების“ დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას საკუთარ ნორმებსა და ქცევის წესებს. ორ მილიონ მუსლიმანს შეშინებული ჰყავს მრავალმილიონიანი ინგლისი. საქმე აბსურდამდე მივიდა: ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის რეკომენდებულია, არ იარონ ლონდონის ქუჩებში სამხედრო ფორმით, რათა არ მოახდინონ ძალადობის პროვოცირება მუსლიმანი ექსტრემისტების მხრიდან! წყნარ შვედეთში ყოველ ღამე იწვის ავტომანქანები, ორი წლის წინათ იგივე ხდებოდა პარიზში. ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები. ეს პროცესი ძალიან მძიმე და, ალბათ, სისხლიანი იქნება, ფაშისტური უკიდურესობებითურთ, როგორც ეს ევროპას ისტორიულად სჩვევია, მაგრამ ის გარდაუვალია. ევროპის ერებს ჯერ კიდევ აქვთ პოტენციალი, რომელიც საკმარისია აღზევებისთვის. საქართველოს კი ასეთი პოტენციალი არ აქვს. თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით“** („საქართველო და მსოფლიო“ №10 (206), 2013 წელი).

*უპრეცედენტოდ დაძაბულ საარჩევნო რბოლაში დონალდ ტრამპის გამარჯვება განაპირობა ე. წ. საშუალო კლასის მხარდაჭერამ თეთრკანიანი ამერიკელებისა, რომლებსაც ყელში ამოუვიდათ თეთრკანიანი ჰეტეროსექსუალური ქრისტიანების უფლებების შელახვა, დაცინვა და ე. წ. ელგბტ-პირების უფლებების გაფართოება, თანამშრომელი შავკანიანისა და ჰომოსექსუალის სამსახურიდან გაგდების შემთხვევაში რასიზმსა და ჰომოფობიაში დადანაშაულება და ა.შ. **ჰილარი კლინტონის** წარუმატებლობის მიზეზი კი აგრესიული ლიბერალიზმის ქადაგება იყო, რომლის სიმბოლოც თვითონ არის. ტრამპის არჩევამ დაადასტურა, რომ ჰომოსექსუალიზმი მიუღებელია ტრადიციული ფასეულობებისა და ღირებულებების მქონე ამერიკელი ამომრჩევლისთვის.

ნიშანდობლივია, რომ აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე თეთრი სახლის ვებგვერდიდან გაქრა ყველა მასალა ლგბტ-თა უფლებების შესახებ. ყველასთვის ცნობილია, რომ პრესვიტერიანელი დონალდ ტრამპი, ბარაკ ობამასგან განსხვავებით, რომლის ადმინისტრაცია მსოფლიოს ემუქრებოდა ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებით, ჰომოსექსუალიზმის სასტიკი წინააღმდეგია.

აი როგორ შეაფასა **ალექსანდრე ჭაჭიამ** ჰომოსექსუალიზმის საშინელი საფრთხე, რომელიც კაცობრიობას განადგურებით ემუქრება:

**„ერები, რომლებიც ამ „დასავლური ღირებულებების“ კულტივირებას მიჰყოფენ ხელს, დეგრადირდებიან და დაიღუპებიან. ამერიკასა და ევროპაში უკვე აღარ არის საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტები, რომელთაც ძალუძთ, წინააღმდეგობა გაუწიონ ამ დეგრადაციას. პროტესტანტიზმის თითქმის ყველა შტო მხარს უჭერს ამ „თავისუფლებებს“ და ისინი სინამდვილეში გადაიქცნენ ფსევდორელიგიურ სექტებად. ისინი ჯვარს სწერენ ჰომოსექსუალებს, ანუ მათ ქორწინებას ღვთის სახელით აკურთხებენ! მათვე დაიწყეს ბიბლიის რედაქტირება — იმ ადგილების ამოღება, რომლებიც ჰომოსექსუალების იდეოლოგიისთვის მიუღებელია. აშშ-ში უკვე შეიქმნა ასეთი ბიბლია. კათოლიკურმა ეკლესიამაც ვერ შეძლო სახელმწიფო პროპაგანდისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობისთვის წინააღმდეგობა გაეწია და იმის შიშით, რომ არ დაეკარგა მრევლი, ასევე მიდის გარკვეულ დათმობებზე. ევროპელი ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის — ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილებების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა. ნორმალური ხალხი ხვდება, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნება“** („საქართველო და მსოფლიო“ № 21 (208), 2013 წ.).

*ტრამპის გამარჯვებამ დაამწუხრა საქართველოში მოქმედი ე.წ. **არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები**, რადგან აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი არ აპირებს „ფერადი“ რევოლუციების დაფინანსებას, შესაბამისად, ამ „ფერადი“ რევოლუციების ძირითად საყრდენს, ანტისახელმწიფოებრივად მოქმედ გრანტიჭამია არასამთავრობოებს, დიდი ალბათობით, დაფინანსება შეუწყდება:

**„პატარა, ღარიბ ქვეყანაში ასობით არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს, რომელთა წარმომადგენლებიც არ ჩამოდიან ტელეეკრანებიდან და გამუდმებით გვასწავლიან სწორად ცხოვრებას. ისინი მოვლილი და მაძღრები ჩანან, ქირაობენ ოფისებს, მოძრაობენ მანქანებით. რა ფულით არსებობენ და შესაბამისად, როგორ „ფასეულობებს“ უწევენ პროპაგანდას და როგორი „სწორი“ ცხოვრების დანერგვა უნდათ მათ საქართველოში?... რაც შეეხება ევროპული სტრუქტურების ზეწოლას, ჩვენი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს მათ წინაშე მონური თაყვანისცემისგან. სასაცილო და ამაზრზენი სანახავია, როგორ ჩამოდის თბილისში თაღლითების ჯგუფი ევროპარლამენტიდან და გვასწავლის მათი კანონებით ცხოვრებას. მცოდნე ხალხმა იცის, რომ ევროპარლამენტის ნახევარი მაინც დაკომპლექტებულია ავანტიურისტებით, მექრთამეებით, ჰომოსექსუალებით, ლესბოსელებით, რომლებმაც საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებში პოზიტიური საქმიანობით თავი ვერ წარმოაჩინეს“,** — ამბობდა ალექსანდრე ჭაჭია 4 წლის წინათ („საქართველო და მსოფლიო“ № 21 (208), 2013 წ.).

***ცვლილებები, რომლებიც დაიწყება სრულიად მსოფლიოში, გამოწვეულია გლობალიზაციის კრახით, აგრეთვე, რუსეთის და რიგი სხვა სუვერენული ქვეყნების გავლენის გაძლიერებით.** სწორედ ამიტომ ტრამპმა პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველი, რაც გააკეთა საგარეო ურთიერთობების სფეროში, იყო ის, რომ 80 ქვეყანაში **ბარაკ ობამას** მიერ დანიშნული აშშ-ის ელჩები დაითხოვა და, როგორც ჩანს, წასვლა მოუწევს აშშ-ის ელჩს საქართველოში — **იან კელისაც**, რომელსაც თვალებში შესციცინებდა საქართველოს წინა ხელისუფლება და მის მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდა ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამასთანავე, ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპი ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში შეხვდება რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს.**

აი რას ამბობდა მოსალოდნელი გეოპოლიტიკური ძვრებისა და გლობალიზაციის პროექტის კრახის შედეგად შექმნილ ახალ ვითარებაში საქართველოს ადგილსა და როლზე, მის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე **ალექსანდრე ჭაჭია** 2000 წელს გაზეთ „შანსში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში:

**„გლობალიზაციის ახლანდელი პროექტის ჭეშმარიტ მიზანს წარმოადგენს მსოფლიოს ყველა რეგიონის ინტელექტუალურ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება, იმისათვის, რომ მსოფლიო რესურსების გადანაწილების ჩამოყალიბებული პროპორციები არ შეიცვალოს. მიზეზი მარტივია და გასაგები: იმისათვის, რომ განვითარებული ქვეყნების ჯგუფმა, ე.წ. ოქროს მილიარდმა ისევ მდიდრულად იცხოვროს, დანარჩენი მსოფლიო სილატაკეში უნდა იმყოფებოდეს... მიმაჩნია, რომ გლობალიზაციის ამჟამინდელი პროექტი არა მხოლოდ გლობალური კონფრონტაციის გამომწვევია, არამედ შეუსრულებადიცაა. ის აუცილებლად კრახით დამთავრდება, ისევე, როგორც დამთავრდა კრახით გლობალიზაციის წინა პროექტები — ადრინდელი ბოლშევიკური, მისი „მსოფლიო მთავრობით“, და ფაშისტური, მისი გერმანული ჰეგემონიით მსოფლიოში...**

**საგარეო პოლიტიკაში ჩვენ ორი აქსიომა უნდა გავითვალისწინოთ: პირველი — მტკიცებები „თანასწორუფლებიან ურთიერთობებზე“ საქართველოსა და ამერიკას, საქართველოსა და რუსეთს, საქართველოსა და თურქეთს შორის სისულელეა, რომლითაც ხალხის მოტყუებას ცდილობენ. შეუძლებელია, თანასწორუფლებიანი იყოს ურთიერთობები დიდს, ძლიერსა და პატარა, სუსტს შორის. ისევე, როგორც წინა საუკუნეების განმავლობაში, ძალა დღესაც რჩება მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად და მთავარ არგუმენტად. ძლიერი ყოველთვის მართალია, ხოლო უფრო ძლიერი — უფრო მართალი. საქართველო ვერ გაუძლებს კონფრონტაციას ვერც რუსეთთან, ვერც თურქეთთან, მაგრამ საქართველოს შეუძლია თავისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, თუ საგარეო პოლიტიკაში გაითვალისწინებს, რომ რუსეთი და თურქეთი, მის უკან მდგომ ნატოსთან ერთად, ცდილობენ, არ დაუშვან ერთმანეთის გაძლიერება კავკასიის რეგიონზე ერთპიროვნული კონტროლის ხარჯზე, მათ შორის საქართველოს ხარჯზეც. ორივე მხარის ეს ინტერესი უნდა გახდეს ჩვენი უსაფრთხოების გარანტია. მეორე აქსიომა: არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა იმ გეოპოლიტიკურ პროექტებში, რომლებიც ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, მაშინაც კი, როდესაც დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებაც არის მიღწეული (აფხაზეთის საკითხში დასავლეთსა და რუსეთს შორის კონსენსუსმა მშობლიური მიწა დაგვაკარგინა; მათ შორის არსებული შეთანხმება თურქ-მესხების საქართველოში შემოსახლებასთან დაკავშირებით, მოგვიტანს ახალ ომს და ისევ ტერიტორიის დაკარგვას; ორივე ამ პროექტში საქართველოს ხელისუფლება საკუთარი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა)... ქვეყნის ახლანდელ პოლიტიკურ ელიტას (ზოგს — ნებსით, ზოგს — უნებლიეთ) საქართველო მიჰყავს საყოველთაო კატასტროფისკენ, რომლის შედეგად ქართველი ერი, როგორც კომპაქტურად მცხოვრები კულტურულ-ისტორიული ერთობა, შეწყვეტს თავის არსებობას (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვისა და მასობრივი ემიგრაციის შედეგად ნაწილობრივ ეს უკვე მოხდა)“,** — აი ამას ამბობდა **ალექსანდრე ჭაჭია** ჯერ კიდევ 16 წლის წინათ, ამას იმეორებდა ის შემდეგი წლების განმავლობაში მიცემულ უამრავ ინტერვიუში, მაგრამ საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას ამერიკელების შიშით ყური არ შეუბერტყავს — ყველა ხელისუფლება მხოლოდ აშშ-ის ინტერესების გატარებაზე ფიქრობდა და დღესაც ასეა — **საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არც კი იმჩნევს, რომ დგება პოლიტიკური ცვლილებების პერიოდი და, თუ დროზე არ გადავდგით სწორი ნაბიჯები და არ გავაუმჯობესეთ რუსეთთან ურთიერთობა, ვერასოდეს მოვაგვარებთ იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა.**

ახლა, მთავარია, არ დავკარგოთ შანსი, არ წავუყრუოთ ჩვენს გარშემო მიმდინარე გლობალურ მოვლენებს, რომელთა მნიშვნელობაზეც **ალექსანდრე ჭაჭია** ღიად მიანიშნებდა ხელისუფალთ:

**„დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ძალიან სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური, ცივილიზაციური, რელიგიურ-ეთნიკური პროცესები, რომლებიც, ალბათ, მსოფლიოს ახალი გადანაწილებით, გლობალური ძალების ახალი კონფიგურაციით დასრულდება, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს აიძულებს უარი თქვას ეროვნული სახელმწიფოების განადგურებასა და საკვანძო ადგილებში კონფლიქტების გაჩაღებაზე. ასეთ შემთხვევაში მისთვის საქართველო საჭირო აღარ იქნება და არ არის გამორიცხული, რაღაც პერიოდში საკუთარი თავი „ჩვენადვე გვეყუდნოდეს“.** („ასავალ-დასავალი“. ივნისი. 2016 წ.)

**როგორც ვხედავთ, მსოფლიოში დიდი ცვლილებების ეპოქა დაიწყო. ისინი, ვისაც ამის აღიარება არ სურს, ებრძვის ცვლილებებს და, მოგვარების ნაცვლად, კვლავაც ცდილობს პრობლემების მიჩქმალვას, ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდებიან...**

დროა, საქართველოს ხელისუფლებამ თავი დაანებოს ფუჭ ლაპარაკს ნატო-ევროკავშირში შესვლაზე და დაიწყოს მოლაპარაკებები რუსეთთან, რომლის პირველმა პირებმა, მათ შორის, პრეზიდენტმა პუტინმაც, არაერთხელ გამოთქვეს მზადყოფნა საქართველოსთან დიალოგის გამართვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებაში არავინ ჩანს ისეთი კვალიფიკაციისა და სულისკვეთების, ვინც ჯეროვნად, უმაღლეს დონეზე წარმართავს მოლაპარაკებებს რუსეთის ხელმძღვანელობასთან, საქართველოს ჰყავს ადამიანები, რომლებსაც კავშირებიც აქვთ და უნარიც შესწევთ, ეს მოლაპარაკებები წარმატებით აწარმოონ.

**მოამზადა**
**გიორგი გახეხილაძე**

**საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არც კი იმჩნევს, რომ დგება პოლიტიკური ცვლილებების პერიოდი და, თუ დროზე არ გადავდგით სწორი ნაბიჯები და არ გავაუმჯობესეთ რუსეთთან ურთიერთობა, ვერასოდეს მოვაგვარებთ იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა... მსოფლიოში დიდი ცვლილებების ეპოქა დაიწყო. ისინი, ვისაც ამის აღიარება არ სურს, ებრძვის ცვლილებებს და კვლავაც ცდილობს პრობლემების მიჩქმალვას, ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდებიან**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამერიკელებს სურთ, საქართველოში ორი პარტია არსებობდეს, ადვილად სამართავი, ეს გააკეთებინეს კიდეც ივანიშვილს. ბიძინას მართავენ და, თუ ეს არ იცის, მაშინ პრიმიტიული პიროვნებაა ან, უბრალოდ, ჩვეულებრივი ვაზელინისტი. ვაზელინისტობა ახალი მიმდევრობაა საქართველოში. წინათ ვაზელინს ჯერ ხელზე ისვამდნენ, შემდეგ — თავზე, ახლა, როგორც კი სასურველ კანდიდატს დაინახავენ, ვაზელინი თავზე თავისით ესმევათ, ბუნებრივად გამოყოფენ და ეგრევე მიექანებიან, „საქმეზე“ მიდიან“.

# გია კორკოტაშვილი: ჩვენი ქვეყნის ბედს ჩანერგილი აგენტები წყვეტენ

**გასული კვირის დასაწყისში საზოგადოების ყურადღება ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის (ენ-დი-აი-ს) კვლევის შედეგებმა მიიპყრო. აღმოჩნდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი მხოლოდ 10% ყოფილა. ამ ინფორმაციამ თავიდანვე გაჩენილი ეჭვი, რომ ხელისუფლებამ „ნაცმოძრაობა“ გადაარჩინა, გაამძაფრა. მართალია, ეს თემა კვირის ბოლოს ამერიკის 45-ე პრეზიდენტის — დონალდ ტრამპის ინაუგურაციამ გადაფარა, მაგრამ მაინც დარჩა კითხვა: აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე ადრე რომ ჩატარებულიყო, ნეტავ, რა მოხდებოდა? დონალდ ტრამპის ინაუგურაციის პერიპეტიებს კი, რომლითაც დიდად არც დაინტერესებულან ქართული ტელეარხები (მათ მხოლოდ პრეზიდენტის მეუღლის ჩაცმულობაზე ისაუბრეს), მოჰყვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის — დიმიტრი ქუმსიშვილის ქონებრივი დეკლარაციის მონაცემების გამომზეურება და... ქართველი საზოგადოების გაოგნება. ზემოხსენებულ საკითხებზე კომენტარი ცნობილ მომღერალს — გია კორკოტაშვილს ვთხოვეთ.**



## ზუსტად ვიცი, რომ ივანიშვილმა «ნაცებს 27% დაუწერა»

**— ბატონო გია, რა გვჭირს, რა ჰქვია ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას?**

— რა გვჭირს და რა ჰქვია ჩვენს მდგომარეობას? ამას ჩვენზე დიდი ადამიანები იკვლევდნენ და ვერაფერს გახდნენ, ამას დიდმა **ილია ჭავჭავაძემ** ვერ დაარქვა სახელი. მთელი ცხოვრება ველით სამშობლოსთვის თავდადებულ ადამიანს, ველით თავგანწირვას, მაგრამ ასეთი ადამიანი ჯერ არ დაბადებულა. ქართველმა თავი ცუდისთვის გაწირა... ორი დიდი სახელმწიფო — ამერიკა და რუსეთი — იკვლევს ქართველთა ფენომენს და ჯერაც ვერ გაუგიათ, რა ხალხი ვართ — სიკეთისკენ ვართ მიმართული თუ ფლიდობისკენ, თუმცა ფლიდობაში მართლა ნიჭიერები აღმოვჩნდით.

**ქართველები ყოველთვის ელოდებიან თეთრ ცხენზე ამხედრებულ რაინდს, რომელიც გადაგვარჩენს და ჩვენ მაგივრად გააკეთებს საქმეს.**

ქართველმა ერმა 9-წლიანი ტანჯვა-წამება გამოიარა ნაცების ხელში, მას შემდეგ ბიძინა მართლაც თეთრ ცხენზე ამხედრებულ გადამრჩენელ რაინდად ჩავთვალეთ, მოგვევლინა კიდეც ასეთად. **ქართველმა კაცმა ივანიშვილს იმედის ბოლო რესურსი მისცა, მან კი ამით ძალიან ცუდად ისარგებლა.**

**არადა, ჰქონდა რესურსი, ამ ქვეყანაში დიდძალი ფული ჩაედოთ უმდიდრეს ადამიანებს...**

**— ბიძინა ივანიშვილი ქველმოქმედია, რომელმაც წიგნი გამოსცა თავისი ქველმოქმედების შესახებ...**

— სიმართლე გითხრათ, ამ წიგნის შესახებ არ ვიცოდი. თუ ეს მართალია, დიდ უბედურებაში ვყოფილვართ, თუ ვინმემ წააქეზა და ეს გააკეთებინა, მაშინ იმ ვიღაცამ ფული იშოვა და ეს კიდევ უფრო დიდი უბედურებაა...

**ბიძინა წავიდა კიდეც პოლიტიკიდან, მაგრამ დარჩა რუხ კარდინალად, მის გარეშე ფოთოლიც არ შრიალებს. ოღონდ ის უფალი არ არის და მკრეხელობაც ცუდი საქმეა.**

ბიძინა ცდება, მაგრამ შეცდომებზე მითითებას არ იღებს. ხშირად მეუბნებიან, ბიძინამ არ იცის, თორემ ამას როგორ დაუშვებდაო... ეს, იცით, როგორი „რიჟა“ ბაზარია? რას ჰქვია, ბიძინამ არ იცის?! ივანიშვილმა ყველაფერი იცის, თანაც წვრილმანებამდე.

სიმართლე გითხრათ, როდესაც დამპალი თესლიდან აღმოცენებული ავადმყოფი ნაციონალი ბიძინას აგინებს, ვგიჟდები... მინდა, ბიძინა იყოს მაგარი, მაგრამ არ გამოდის.

**— რა არის მიზეზი? ვერ აღმოჩნდა სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანი? არადა, გვეუბნებოდა, — ჩემი ოჯახი სასწორზე დავდე, როდესაც პოლიტიკაში წავედიო...**

— სამშობლოსთვის თავს წირავს ადამიანი, რომლისთვისაც პატრიოტიზმია პრიორიტეტი. კერძო, ვიწრო თვალსაზრისის მქონე კაცი ამ საქმისთვის არ გამოდგება. პატრიოტად უნდა დაიბადო.

**— ჩვენ ბიძინასგან ასეთ პატრიოტიზმს ველოდით...**

— უფრო მეტიც, ქართველებმა ბიძინას სული ვანდეთ, მან კი სულში ჩაგვაფურთხა, ხოლო **სულში ჩაფურთხებულ ადამიანს ვერანაირი ძალა ვეღარ აჩერებს. ქართველი შიმშილის გამო ქუჩაში არ გამოვა, მაგრამ რაღაც მომენტში მიხვდება, შიმშილობის მიზეზი სულში ჩაფურთხება რომ არის და მერე ვეღარაფერი გააჩერებს.** ახლა ხალხს ნაპერწკალი არ აქვს, მაგრამ ეს ნაპერკალი გაჩნდება, კუჭი იქნება ეს თუ რაც იქნება, აუცილებლად გაჩნდება საჭირო ნაპერწკალი.

ბოლო არჩევნებს გადახედეთ და მიხვდებით, ვართ თუ არა ჩვენ სულში ჩაფურთხებულები. მე ეს ჩემს თავზე ვიწვნიე. ყველაფერი გააკეთა ხელისუფლებამ იმისთვის, რომ არჩევნები წამეგო, 1200 ხმა ავიღე. ქოც-ნაცები ერთობლივად მუშაობდნენ იმაზე, რომ არჩევნებში დავმარცხებულიყავი. ასე მოხდა ბევრგან.

ამჟამინდელ მთავრობას ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელსაც ღირსება, თავმოყვარეობა არ აქვს. მათ სჭირდებათ უღირსი, ვაზელინწასმული, უთავმოყვარეო ადამიანები, რომლებსაც ადვილად მართვენ და ასეთები ჰყავთ კიდეც. პარლამენტარებს პირდაპირ ვეტყვი თქვენი გაზეთის მეშვეობით: თქვენ კაცის კაცები ხართ!

ვწუხვარ, რომ საზოგადოებას ხმის ამოღება არ სურს. რატომ ხდება ეს, არ ვიცი — ნიჰილიზმის გამო თუ, უბრალოდ, ვის დაუჭირონ მხარი, არ იციან. ასეთებად ჩამოგვაყალიბეს. ნიჰილიზმამდე მიგვიყვანეს და ვგიჟდები, რომ ჩვენ ვიქეცით ასეთებად.

**— ბატონო გია, რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის (ენ-დი-აის) კვლევა, რომელიც 8 ოქტომბრის არჩევნებიდან ერთ თვეში ჩატარდა და ნათლად ჩანს, რომ ნაციონალებს სულ რაღაც, 10% ჰქონიათ რეიტინგი, არადა, პარლამენტში ელექტორატის ხმების 27 პროცენტით შევიდნენ. როგორ ფიქრობთ, „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლების სატელიტია და მათ დანარჩენი 17% ივანიშვილმა აჩუქა?**

— კი არ ვფიქრობ, ზუსტად ვიცი, რომ ივანიშვილმა „ნაცმოძრაობას“ 27% დაუწერა. მივყვეთ ყველაფერს თანმიმდევრობით. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, თუ გახსოვთ, ამერიკელი სენატორების ერთი ჯგუფი ივანიშვილს დაემუქრა, რომ მის აქტივებს გაყინავდნენ, თუ მათ დაკვეთას არ შეასრულებდა. ბიძინას აქვს უზარმაზარი კაპიტალი და ამის დათმობა ძნელია. შესაძლოა, მან არც კი იცოდა, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა, როდესაც ხელისუფლებას იღებდა ხელში, არ ეგონა, რომ დიდძალი ფულის დათმობა-არ დათმობაზე მიდგებოდა საქმე.

**სამწუხაროა, რომ, ქართველი გლეხის ნაცვლად, ჩვენი ქვეყნის ბედს ჩანერგილი აგენტები წყვეტენ. ივანიშვილი ჩვენს დამცველად ვერ გამოდგა.**

ბიძინას ფული სასწორზე დადეს. მე ვიცი **გიორგი საააკაძე**, რომელმაც შვილი შესწირა ქვეყანას, **სტალინიც** ვიცი, მაგრამ ამის გაკეთება ყველას არ შეუძლია. ივანიშვილმა სამშობლოსთვის უარი ვერ თქვა მატერიალურ კეთილდღეობაზე.

**ამერიკელებს სურთ, საქართველოში ორი პარტია არსებობდეს, ადვილად სამართავი, ეს გააკეთებინეს კიდეც ივანიშვილს. ბიძინას მართავენ და, თუ ეს არ იცის, მაშინ პრიმიტიული პიროვნებაა ან, უბრალოდ, ჩვეულებრივი ვაზელინისტი. ვაზელინისტობა ახალი მიმდევრობაა საქართველოში. წინათ ვაზელინს ჯერ ხელზე ისვამდნენ, შემდეგ — თავზე, ახლა, როგორც კი სასურველ კანდიდატს დაინახავენ, ვაზელინი თავზე თავისით ესმევათ, ბუნებრივად გამოყოფენ და ეგრევე მიექანებიან, „საქმეზე“ მიდიან.**

**— იქნებოდა თუ არა სხვა რეალობა, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ რომ ყოფილიყო?**

— გვიან ახლაც არ არის. ხელახალი არჩევნების ხელახლა ჩატარება ახლაც შეიძლება.

**პლანეტას ორი ზესახელმწიფო მართავს — რუსეთი და ამერიკა, რომლებმა ერთმანეთთან ლაპარაკი დაიწყეს, ინაწილებენ ყველაფერს და ქართველი პოლიტიკოსები უკანალებს უფრთხილდებიან, სკამებს ებღაუჭებიან. სასაცილოები არიან. ტრამპი ამბობს, ნატო გაუქმდებაო, ქართველები კი ისევ ნატოში მიდიან. მაინტერესებს — სად პაპაჩემის პაპასთან მიდიან?** ! ისე, პაპაჩემის პაპა, ვიცი, სადაც არის, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები სად მიდიან, ნამდვილად არ ვიცი.

ქართველებს ვურჩევ: ცოტა ხანს, სანამ ვითარება გაირკვევა, პაუზა აიღონ. პირი არ გააღონ, ნუ აჟრიალებთ, რაა... ქართველები აქამდე დიდი მეფეების პოლიტიკური ლავირების უნარმა და ელასტიკურობამ მოგვიყვანა. ჩვენი პოლიტიკოსები ან შეეწირონ, ან გაჩუმდნენ.

წლებია, ველი, რომ ჩემი სახელმწიფოს სათავეში ვიხილო ადამიანი, რომელსაც სამშობლოს ხსენებაზე თვალზე ცრემლი მოადგება, მაგრამ ამაოდ... ასეთი ადამიანი თუ გამოჩნდება, ძაღლივით ერთგულად ვემსახურები.

**— თქვენ „ჟრიალი“ ახსენეთ. რას იტყვით, ფინანსთა მინისტრის აქტივებსა და ქონებაზე? რამდენიმე დღეა, მისი ქონებრივი დეკლარაცია საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა...**

— „ბლუჯაზე“ მეკითხებით? რა უნდა ვთქვა... გამოქვეყნდა ფინანსთა მინისტრის დეკლარაცია, რომელშიც აღწერილია მისი ქონება. ღმერთმა შეარგოს, ხელფასიც, ბინაც, ურთიერთობებიც, მაგრამ ფასიანი ქაღალდები, სახელწოდებით — თამასუქი, უკვე ძალიან ცუდია. ფინანსთა მინისტრი თამასუქის მფლობელი რომ ხარ, ინფორმაციას ინფლაციაზე ხუთიათი წუთით ადრე მაინც ხომ აკონტროლებ? საშიშია ასეთი კაცი, ცუდი კაცია, თანაც, ბრიყვი. ან რა სინდისია ფინანსთა მინისტრის თამასუქებზე საუბარი... ამის შეგუებას გვაიძულებენ?

**— ერთმა რესპონდენტმა მითხრა, შევყურებთ, როგორ ილუპება ჩვენი ქვეყანა, მაგრამ, სამწუხაროდ, უძლურნი ვართო... თვლით, რომ ვილუპებით?**

— ვიბრძვი, ყოველთვის ვიბრძოდი, ოჯახი საფრთხის ქვეშ მყავდა... სამწუხაროდ, ქართველმა კაცმა, რაც ყველაზე კარგად ისწავლა, სიტუაციიდან გამოძრომაა. რომ ჰკითხავ, სად იყავიო, გიპასუხებს, — შვილი მყავდა ავადო. ამ პასუხზე პასუხს ვეღარ მოსთხოვ. კაცი მაშინ ხარ, სამშობლოს რომ უჭირს და ოჯახს დატოვებ. რამდენჯერ გული დამწყვეტია, რამდენჯერ მომისმენია, — კორკოტას შევაკვდე? მაგას მოსკოვი ფულს აძლევს და რა უჭირსო...

სანამ სამშობლოს სიყვარულს არ შევიგრძნობთ, სანამ სოლიდარული, ერთგული და მოსიყვარულე არ გავხდებით, არაფერი გვეშველება.

ყველანი დავდგეთ იქ, სადაც სიმართლეა!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«ქართველებმა ბიძინას სული ვანდეთ, მან კი სულში ჩაგვაფურთხა, ხოლო სულში ჩაფურთხებულ ადამიანს ვერანაირი ძალა ვეღარ აჩერებს. ქართველი შიმშილის გამო ქუჩაში არ გამოვა, მაგრამ რაღაც მომენტში მიხვდება, შიმშილობის მიზეზი სულში ჩაფურთხება რომ არის, და მერე ვეღარაფერი გააჩერებს»**

**იმედია, აშშ-ში სალი აზრი გაიმარჯვებს, რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგის სურვილს კრემლის აგენტობად არ ჩაუთვლიან დონალდ ტრამპს და ორი ზესახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, ერთად აღგვის პირისაგან მიწისა ისლამურ ტერორიზმს და სხვა საკითხებშიც ითანამშრომლებს. ბუნებრივად იბადება კითხვა: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ვის მივმართოთ, რომ გადავრჩეთ, როგორც ერი, და კიდევ ერთხელ არ გავიჭყლიტოთ აქლემებს შორის?**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რომელ ნატოზე ღნავიხართ, სოროსუმეებო...

**როგორც იქნა, ამოიწურა ბარაკ ობამას „კოჭლი იხვობის“ პერიოდი და დონალდ ტრამპი 20 იანვრის ინაუგურაციის შემდეგ, ოფიციალურად გახდა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი. დიახ, როგორც იქნა, რადგან პირველად აშშ-ის ისტორიაში პრეზიდენტად არჩევიდან ინაუგურაციამდე პერიოდში აქტიური მუშაობა მიდიოდა, დონალდ ტრამპს თეთრი სახლის ოვალური კაბინეტი არ დაეკავებინა.**



## ესეც, ალბათ, პირველად მოხდა, რომ ახალმა პრეზიდენტმა წინამორბედი ასე უმოწყალოდ «ჩადო კუბოში»

ბევრი სხვა რამეც მოხდა **პირველად.**

მაგალითად, ის, რომ **წინასაარჩევნო პერიოდში ევროკავშირის ნეოლობერალური მმართველი წრეები აშკარად უჭერდნენ მხარს ჰილარი კლინტონს და იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი მის გამარჯვებაში, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნების (საფრანგეთი, გერმანია) ლიდერები დონალდ ტრამპის პირად შეურაცხყოფასაც არ ერიდებოდნენ.**

მაგრამ დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა და ზემოთ ნახსენები ლიდერები, ალბათ, უხერხულად გრძნობენ თავს; ლიდერები, რომელთაგან ერთს, გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელს**, ტრამპმა უკვე „დაუბრუნა ხურდა“, უწოდა რა მის მიერ გერმანიაში მილიონობით მუსლიმი მიგრანტის შეშვებას კატასტროფული შეცდომა; ხოლო გაერთიანებული სამეფოს პრემიერს, ქალბატონ **ტერეზა მეის,** როგორც ოვალური კაბინეტის პირველ უცხოელ სტუმარს, აშშ-ის პრეზიდენტი ამ თვის ბოლომდე უმასპინძლებს. რაც შეეხება ევროპის ლგბტ-საზოგადოების მთავარ მედროშე **ფრანსუა ოლანდს**, როგორც ჩანს, დონალდ ტრამპი მას „ძაღლადაც არ აგდებს“ და საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებს ელოდება, რომელიც გაზაფხულზე გაიმართება, შემდეგ კი ახალ პრეზიდენტთან დაიჭერს საქმეს. ის ან მარი ლეპენი იქნება, ან ფრანსუა პიიონი. მსოფლიო ნეოლიბერალებისთვის კი პირველი ვაია და მეორე — უი, რადგანაც ორივე ევროკავშირიდან გასვლის მომხრე და ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების წინააღმდეგია.

**პირველად** იყო აშშ-ის ისტორიაში ისიც, რომ რესპუბლიკელთა საპრეზიდენტო კანდიდატს დემოკრატებზე არანაკლები კრიტიკოსები საკუთარ პარტიაშიც ჰყავდა, მაგალითად, რუსოფობი სენატორი ჯონ მაკკეინი.

ტრამპს საინაუგურაციო სიტყვაში საერთოდ არ უხსენებია დემოკრატია, ნატო, ევროკავშირი, ადამიანის უფლებები და სხვა ლიბერალური ბიჟუტერია, რომლითაც თვალს გვჭრიდნენ ბოლო 25 წელიწადი. სამაგიეროდ **მკაცრად ისაუბრა ერთი მუჭა ხალხის უბრალო ამერიკელთა ხარჯზე ფუფუნებაში ცხოვრებაზე და იქვე განაცხადა, რომ ეს დამთავრდა აქ და ახლავე!** მართალია, მას კონკრეტულად არავინ დაუსახელებია, მაგრამ, ერთი კახური ანეკდოტისა არ იყოს, გვარს არ დავასახელებ, მაგრამ ჩვენი თავმჯდომარე რო არის, იმაზე ვამბობო, და ის თავმჯდომარეებიც — **ბილ** და **ჰილარი** კლინტონები, განსაკუთრებით ახლა გაფარჩაკებული ყოფილი პრეზიდენტი **ობამა** და ასევე ყოფილი პირველი ლედი არიან. ესეც, ალბათ, პირველად მოხდა, რომ ახალმა პრეზიდენტმა წინამორბედი ასე უმოწყალოდ „ჩადო კუბოში“.

უბრალო ამერიკელების ყურისთვის სასიამოვნო სხვა რამეც საკმარისად თქვა ტრამპმა:

* **იყიდეთ ყველაფერი ამერიკული და პირველ რიგში დაასაქმეთ ამერიკელები!**

* **ამერიკა ეცდება, ყველასთან იმეგობროს, მაგრამ ჩვენ ძალით თავს აღარ მოვახვევთ სხვა ქვეყნებს ჩვენი ცხოვრების წესს.**

* **ამერიკა კვლავ უნდა გავხადოთ დიადი, უნდა გავხდეთ პირველები ყველაფერში და მაშინ სხვებიც მოგვბაძავენ და ა.შ**.

ინაუგურაციის დღესვე აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა თეთრი სახლის საიტიდან გააქრო ლგბტ-საზოგადოების გვერდები, რამაც აშშ-ის ნეოლიბერალთა ნამდვილი ისტერიკა გამოიწვია, ნეოლიბერალებისა, რომლებიც დღეს ამერიკაში (ერთ დროს კი პურიტანულ-ქრისტიანულში), სამწუხაროდ, მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენენ. მეტიც, **აშშ-ის სენატსა თუ კონგრესში 70-მდე გაცხადებული პედერასტია, ხოლო ჯარში** (მსოფლიოში ყველაზე მაგარში — ჰა, ჰა, ჰა!), **ბარაკ ობამას წყალობით, 65 ათასამდე გეი და ლესბოსელი მსახურობს.** ამას დავუმატოთ ჰოლივუდი, ეს ფინანსური მონსტრი და გარყვნილების მთავარი ცენტრი, და ცხადი გახდება, თუ რა ძალასთან აქვს საქმე აშშ-ის ახალ პრეზიდენტს.

ამიტომ გასაკვირი სულაც არ არის, რომ აშშ და ევროპის რიგი ქვეყნების დედაქალაქები ტრამპის მოწინააღმდეგეთა საპროტესტო მსვლელობებითაა მოცული, ამ არეულობებს აშკარად ეტყობა ვიღაცის ხელწერა და, როგორც „ბოროტი ენები“ ამბობენ, ეს ვიღაც ავადსახსენებელი **ჯორჯ სოროსია.**

აქედან გამომდინარე, სულაც არ მგონია უსაფუძვლო „სიენენის“ მიერ ინაუგურაციის დღეს გავრცელებული, ერთი შეხედვით უწყინარი(?) შავი იუმორი, რომელიც წაქეზებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ხუმრობას — დონალდ ტრამპი ინაუგურაციის დღეს რომ მოკლან, მაშინ რა მოხდება?

ხუმრობა გვერდზე გადავდოთ და, სამწუხაროდ, მსგავსი რამ არც აწია გამორიცხული (რა, ერთი და ორი პრეზიდენტი გაუგორებიათ?!). ასეთ შემთხვევაში აშშ-ს სამოქალაქო ომი ხელში უჭირავს.

იმედია, საქმე აქამდე არ მივა, აშშ-ში სალი აზრი გაიმარჯვებს, რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგის სურვილს კრემლის აგენტობად არ ჩაუთვლიან დონალდ ტრამპს და ორი ზესახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, ერთად აღგვის პირისაგან მიწისა ისლამურ ტერორიზმს და სხვა საკითხებშიც ითანამშრომლებს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: **ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ვის მივმართოთ, რომ გადავრჩეთ, როგორც ერი, და კიდევ ერთხელ არ გავიჭყლიტოთ აქლემებს შორის?**

ჩვენი ხელისუფლების შემხედვარეს, ამ მხრივ ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს, რადგან კვლავ ისმის ნატო-ევროკავშირში გაწევრიანების უტოპიაზე ღნავილი, თუმცა შეიძლება უტოპისტები ვუწოდოთ ასეთ ხალხს ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგაც?

არა, ბატონებო! ეს უკვე ის შემთხვევაა, როცა, **ავლიპ ზურაბიშვილი** კი არა, შერეკილი ნოშრევან კუჭუხიძეც ვერას გახდება ბროწეულის წვენის ოყნებითა და უებარი აბი გლუკოზით.

**რომელ ნატოზე ღნავიან ესენი, რომელსაც ტრამპმა მოძველებული უწოდა და რომლის დაშლა გარდაუვალია?**

რაც შეეხება ევროკავშირს, ტრამპის დამოკიდებულებასაც თავი რომ დავანებოთ, ახლახან გერმანიის ქალაქ კობლენცში გაიმართა ე.წ. ევროსკეპტიკოსთა შეხვედრა ფრანგი მარინ ლე პენის, ინგლისელი **ნაიჯელ ფარაჯის**, გერმანელი **ფრაუკე პეტრისა** და ბელგიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების მსგავსი იდეოლოგიის პარტიათა ლიდერების შეხვედრა, რომელზეც ღიად დაუჭირეს მხარი ევროკავშირის დაშლის იდეას.

კიდევ ვიმეორებ ჩვენი ხელისუფლების გასაგონად: **რომელი ნატოსა თუ ევროკავშირისკენ მიგყავთ საქართველო, პირველს მამა რომ არა ჰყავს და მეორეს — დედა?**

საყურადღებოა ისიც, რომ ტრამპის ინაუგურაციის წინა დღეებში მოსკოვს ეწვია მოლდოვის ახალი პრეზიდენტი **იგორ დოდონი**, რომელმაც **პუტინთან** ღიად განაცხადა, რომ ევროპასთან ასოცირების გამო მოლდოვამ ჩვეული რუსული ბაზარი დაკარგა, სამაგიეროდ კი ევროპისგან ვერაფერი მიიღო და იმედი გამოთქვა, რომ, როდესაც მისი სოციალისტური პარტია მომავალ არჩევნებში უმრავლესობით მოვა პარლამენტში, მოლდოვა გააუქმებს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და 180 გრადუსით შეტრიალდება რუსეთის ბაზრისკენ!

ნიშანდობლივია ისიც, რომ მოლდოვის პრეზიდენტი დნესტრისპირეთში კონფლიქტის შემდეგ პირველად ეწვია რეგიონს, მოლაპარაკებები დაიწყო სეპარატისტებთან და ამის შემდეგ ეწვია ვლადიმერ პუტინს.

**მოლდოვას მსგავსად იქნებ ჩვენც მივხვდეთ, რომ გაეროს, ევროკავშირის, აშშ-ის მიერ გაკეთებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ არაფრისმაქნის განცხადებებს, სჯობს, აფხაზებსა და ოსებს პირდაპირ დაველაპარაკოთ?**

მაგრამ არა! ჩვენი ხელისუფლება კონსტიტუციაში აპირებს საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანის შეუვალობის ჩაწერას, რაც კრეტინიზმი და იდიოტობაა. რაც შეეხება ქართულ ტელევიზიებს, ხელისუფლების მსგავსად, ისინიც სხვა პლანეტაზე არიან და ერთადერთი, რასაც ბედავენ, **მელანია ტრამპის** კაბებსა და ტუალეტებზე საუბარია.

ერთი სიტყვით, წინ საინტერესო დღეები გველის. ჩინური წყევლაა — საინტერესო დროში გეცხოვროსო!..

ჰოდა, ვნახოთ, რა მოხდება.

**დავით მხეიძე**



## «შეეგუეთ იმას, რომ ველარ მიიღებთ გრანტებს, ველარ მოწამლავთ და მოუხამავთ საქართველოს»

**„ფსევდოლიბერალებო, შეეგუეთ იმას რომ ამერიკაში თქვენი პატრონები დამარცხდნენ“, — აცხადებს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე,** — შეეგუეთ იმას რომ ვეღარ ივლით ნიუ ორკში ტრეინინგებზე, ვერ მიიღებთ გრანტებს სექსუალური უმცირესობების დაცვისთვის, ვეღარ მიიღებთ მხარდაჭერას საქართველოს მოსახლეობის მოწამვლასა და მოშხამვაში. ეჰ, რა მოულოდნელად ჩამოკრა თქვენთვის უბედურების ზარმა“.

უფლებადამცველის თქმით, „გუშინ და დღეს ქართული ტელევიზიებისთვის რომ გედევნებინა თვალი, იფიქრებდი, ტრამპის ინაუგურაცია კი არა, სახელმწიფო გადატრიალება მოხდა ამერიკაშიო“, რადგან მხოლოდ დემონსტრატები და ტრამპის მოწინააღმდეგები მოხვდნენ ტელევიზიების ეთერში. „ის ერთი მილიონი კაცი, რომელიც ინაუგურაციაზე მივიდა ტრამპის მხარდასაჭერად, ვერც ერთი ტელევიზიის ობიექტივში ვერ მოხვდა“, — აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

## ქალთა წინდაცვეთა სისხლის სამართლის წესით დაისჯება

**ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მთავრობამ ამ დღეებში დაამტკიცა. აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი 20-მდე კანონს შეეხება, მათ შორის, „სისხლის სამართლის კოდექსს“ დაემატება ახალი — 1332 მუხლი, რომელიც ქალთა წინდაცვეთის კრიმინალიზაციას ითვალისწინებს.**

ცვლილებების თანახმად, ქალთა წინდაცვეთა ან ქალის იძულება-დაყოლიება ამ რიტუალის ჩასატარებლად რელიგიური, რიტუალური, ეროვნული, ეთნიკური ან სხვა ტრადიციების გავლენით ან მის გარეშე სისხლის სამართლის წესით დაისჯება. იმავე დანაშაულის ჩადენა ორსული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან არასრულწლოვანის მიმართ დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა.

როგორც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, ამ სახის ქმედებათა სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოცხადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი მსგავსი შემთხვევა გამოვლინდა.

## ტრამპის გინებაზე გადასულ სააკაშვილს ცისკარიშვილმა ეთერი გაუთიშა

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზე პეტრე ცისკარიშვილმა მანამდე გაუთიშა მიშას ეთერი, სანამ ნერვიულ ფონზე მაკომპრომიტებელ ინფორმაციას გასცემდა.** „მოიცა, გავიდა კადრი? გავიდა კადრი... რა ხდება?!“ — გაჟღერებისთანავე ცისკარისვილმა იმარჯვა და მიხეილ სააკაშვილს ტრანსლაცია გაუთიშა, მომხდარი კი იმით ახსნა, რომ სიგნალი ხარვეზებით მოდიოდა და თავისი მხარდამჭერებისთვის მთავარი სათქმელის თქმა მიშამ მოასწრო.

„2008 წელს, როცა ყველას ეგონა საქართველო დამთავრებული, მილიონი ქართველი ჩადგა ცოცხალ ჯაჭვში, მსოფლიო ტელევიზიების პირდაპირ ეთერში გადავარჩინეთ ქართული სახელმწიფოებრიობა. როგორც 2012 წლის არჩევნებში, ასევე 2016 წლის არჩევნებში ისეთივე სპეცოპერაცია განხორციელდა, როგორსაც ახლა რუსები უტარებენ ამერიკელებსაც კი. ახლა ვაშინგტონში ვიმყოფები და გაირკვა, რომ თურმე არჩევნებში პროვოკაციების მოწყობით, ყალბი ჭორებით, სპეცოპერაციებით, დადგმული კადრებით, მონტაჟებით იგივე რაღაც გააკეთეს... და 2013 წელს, როდესაც ყველას ეგონა, რომ ჩვენ ჩამოვიშალეთ... მოიცა, გავიდა კადრი? გავიდა კადრი... რა ხდება?!“

სწორედ ამ მომენტში გაუთიშა პეტრე ცისკარიშვილმა მიშას ეთერი.

ბაკურ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოში დამკვიდრებულია ძალიან კომიკური სიტუაცია — ნებისმიერი ქვეყნის პირველი პირის არჩევას თუ დანიშვნას ისეთი აჟიოტაჟით ვეხმაურებით, ისე ვლანძღავთ და მოვითხოვთ რუსეთის, საფრანგეთის, იტალიის პრეზიდენტებისა თუ პრემიერების გადადგომას, გეგონება, ყველა ქვეყანამ ჩვენ უნდა გვკითხოს ჭკუა, ვის აირჩევს თავის ლიდერად.**

# ტრამპის თამაში, ანუ მწარე «ტრამპეზი» ზედმეტად «ლიბერასტებისთვის»

**ამერიკის 45-ე პრეზიდენტს „ძალიან ცუდად“ აქვს საქმე, რადგან ქართველი „ძაან პატრიოტების“ სექტა დაუპირისპირდა. გასულ კვირაში ქართული ტელევიზიები და ინტერნეტმედია წალეკა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ „ქართველი ქალები დონალდ ტრამპის წინააღმდეგ გამოდიან“. ვიდეო და ფოტომასალა მოწმობდა, რომ თბილისის ცენტრში დაახლოებით ორასამდე ადამიანი შეიკრიბა, რომლებიც საკუთარ თავს არა მხოლოდ „ტრამპის მოწინააღმდეგეებად“, არამედ რატომღაც ხაზგასმით ქალებადაც მოიხსენიებდნენ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ყველა განცხადება მათ ქართველი ქალების სახელით გააკეთეს...**

რა თქმა უნდა, ამერიკისთვის როგორი პრეზიდენტი იქნება დონალდ ტრამპი, მსოფლიოსაც აინტერესებს, რადგან გარკვეულწილად ამერიკის შეერთებულ შტატებში შეცვლილი პოლიტიკური კლიმატი მთელ მსოფლიოზე ახდენს გავლენას და ამდენად, საქართველოს მოქალაქეებიც უნდა ვიყოთ დიანტერესებული, თუ რას იზამს და იტყვის ამერიკელთა ახალარჩეული პრეზიდენტი, მაგრამ ასეთი ჭარბი დოზით ჩარევა ამერიკის მოქალაქეთა საქმეში, სხვას რომ თავი დავანებოთ, ელემენტარულად, სასაცილოა.

მით უფრო გაუგებარია, რატომ აკეთებენ განცხადებებს ეს გაურკვეველი სქესის, ცნობიერებისა და იდეოლოგიის ადამიანები სრულიად საქალეთის სახელით.

„ჩვენ — ქალები მოვითხოვთ ამას“, „ჩვენ — ქალები მოვითხოვთ იმას“ — ისმოდა წიკვინი ხსენებული აქცია-მარშის მონაწილეთა მხრიდან. დამაინტერესა და 100-მდე ნაცნობ თუ უცნობ ქალბატონს პირადად გავესაუბრე. ჰოი, საოცრებავ, არც ერთი არ მოითხოვდა რაიმე მსგავსს, რასაც აი ეს „ანტიტრამპისტების“ ჯგუფი.

მაინტერესებს: **შეიძლება ქალთა მოთხოვნებს გამოხატავდეს, ქალთა უფლებებს იცავდეს და ქალების სახელით ლაპარაკობდეს ჯგუფი, რომელსაც ქვეყანაში მცხოვრები ქალების 99 პროცენტი არათუ მხოლოდ არ ეთანხმება, არამედ ვერც იტანს?**

ქალების უმეტესობას მიაჩნია, რომ ეს ადამიანები სულაც არ არიან ქალები და მათ **ანტიქალებს** უწოდებენ. ეს იგივეა, ჰომოსექსუალების გაერთიანებამ მამაკაცების სახელით რომ დაიწყოს საუბარი და მამაკაცთა უფლებების დაცვა მოითხოვოს.

ალბათ, უფრო ლოგიკური და სამართლიანი იქნებოდა, ამ ჯგუფს, რომელიც მსოფლიოს ე.წ. ქალთა მარშს შეუერთდა, გარკვეული ტიპის „ტუტუცი დედაკაცების“ სახელით ელაპარაკა და თავიანთი ძალიან ვიწრო წრის უფლებების დაცვა მოეთხოვა, მაგრამ ასეთ ჯგუფებს ყოველთვის ახასიათებთ თავიანთი მისწრაფებების ფართო მასების მოთხოვნებად გასაღება. ეგ კი არა, ხშირად ისინი თავიანთ სრულიად უაზრო აზრებს მთელი საქართველოსა და მთელი მსოფლიოს აზრებადაც კი ასაღებენ.

ასე მაგალითად, ყველას გვახსოვს, როგორ საღდებოდა გარკვეული ჯგუფის მიერ რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, უშვერი გინება „მთელი მსოფლიოს განწყობად“. არადა, ის „მთელი მსოფლიო“ მომდევნო დღეს პუტინს გულში იხუტებდა და სხვადასხვა სახის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა მასთან.

**საერთოდაც, საქართველოში დამკვიდრებულია ძალიან კომიკური სიტუაცია — ნებისმიერი ქვეყნის პირველი პირის არჩევას თუ დანიშვნას ისეთი აჟიოტაჟით ვეხმაურებით, ისე ვლანძღავთ და მოვითხოვთ რუსეთის, საფრანგეთის, იტალიის პრეზიდენტებისა თუ პრემიერების გადადგომას, გეგონება, ყველა ქვეყანამ ჩვენ უნდა გვკითხოს ჭკუა, ვის აირჩევს თავის ლიდერად.**

ჯერ იყო და პუტინს „დავუფრთხეთ“ ძილი. საწყალ კაცს ლუკმა არ გადასდიოდა თურმე ყელში — არიქა, ქართველები მაგინებენ და რა მეშველებაო. ახლა უკვე ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორის“, ამერიკის შეერთებული შტატების, პრეზიდენტიც არ „გვევასება“ და ისეთი დაცხეს ჩვენმა „ძაან პატრიოტებმა“, მგონი, ამ 70 წლის ტრამპს მალე გულის კორონარული შუნტირებაც დასჭირდება.

ჰო, მართლა, მოსკოვის აღებას რომ ვაპირებდით ჩვენი „სახელოვანი არმიით“ და გადავიფიქრეთ, მაგის იმედი ნუ ექნება მისტერ დონალდს. დარწმუნებული ვარ, ვაშინგტონის აღების სტრატეგიული გეგმა უკვე შემუშავებული ექნებათ „ქართველებს“ და, თუ ტრამპი ჭკუას არ ისწავლის, არც დაახანებენ!

ისე, ნეტავ, **რას ერჩიან ამ ტრამპს?**

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ უნდა ვუპასუხოთ ასეთ ელემენტარულ კითხვას: **ვინ ერჩის მას?** იმისათვის კი, რომ გავიგოთ, ვინ ერჩის, საკმარისია, გადავხედოთ იმ ადამიანებს, რომლებიც „ანტიტრამპულ“ აქციებში მონაწილეობდა.

**ძირითადად, ესენი არიან ლგბტ საზოგადოებები, ფემინისტური დაჯგუფებები და სრულიად გაურკვეველი, საეჭვო წარმომავლობისა და დანიშნულების გრანტებზე ჩამოკიდებული ორგანიზაციების თანამშრომლები.** არავის ეგონოს, გრანტებს მხოლოდ საქართველოს მსგავს განვითარებად ქვეყნებში „ჭამენ“. გრანტების გემო იმანაც კარგად იცის, ვინც მათ აგზავნის და ანაწილებს, ანუ ჩვენნაირ ქვეყნებში გამოგზავნილი ფულადი გრანტების მოზრდილი „წილი“ უკანვე უბრუნდება გამომგზავნს და კონკრეტულ პირთა ჯიბეში ილექება.

ბიძია ტრამპმა კი, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავის სიტყვაში იმდენჯერ ახსენა **ღმერთი, ზნეობა, სამართლიანობა, ოჯახი** და სხვა მათთვის მიუღებელი სიტყვები, რომ ჯერ მხოლოდ ამის გამოც შეშფოთდებოდა სრულიად „ლიბერასტული“ საზოგადოება.



**რას ერჩიან ამ ტრამპს? ვინ ერჩის მას? ...ძირითადად, ესენი არიან ლგბტ საზოგადოებები, ფემინისტური დაჯგუფებები და სრულიად გაურკვეველი, საეჭვო წარმომავლობისა და დანიშნულების გრანტებზე ჩამოკიდებული ორგანიზაციების თანამშრომლები**

**ყურადსაღებია ამერიკის 45-ე პრეზიდენტის ფრაზა: „წარმატებას მხოლოდ მაშინ აქვს გემო, როდესაც დინების საწინააღმდეგოდ მიცურავ“.**

**დღეს საით მიედინება „მსოფლიო პოლიტიკის მდინარე“, ყველა კარგად ვხედავთ და, თუკი ტრამპი ამ დინების საწინააღმდეგოდ ცურვას აპირებს, მაშინ მართლაც ჰქონიათ შესაშფოთებლად საქმე სრულიად „ლიბერასტებს“.**

**შეიძლება ითქვას, ტრამპმა უკვე დაიწყო თავისი თამაში, როდესაც, ბარაკ ობამას ჯანდაცვის პროგრამის გაუქმებასთან ერთად, თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში შესვლისთანავე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური ვებგვერდის პრიორიტეტებიდან „განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის პირების დაცვა“ საერთოდ ამოიღო.**

აქედანვე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, როგორ არ მოეწონება „ტრამპის თამაში“ ბევრს ჩვენს ქვეყანაშიც. ლაპარაკია იმ ადამიანებზე, რომლებიც უკვე მიეჩვივნენ ათწლეულების განმავლობაში უსაქმურობას და არარსებული პრობლემების გამოგონებას, მერე კი ვითომ მათ მოგვარებაში დიდი ხელფასების აღებას.

ერთ-ერთი ასეთი „პრობლემაა“, მაგალითად, „რუსული პროპაგანდის აყვავება“ საქართველოში, რომელიც სინამდვილეში აბსოლუტური ბლეფია და რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად ობამას ადმინისტრაციამ მილიონები გამოყო.

სხვათა შორის, მთელი იმ ტერმინებისა და წინადადებების გამო, რომლებიც დონალდ ტრაპმა თავის საინაუგურაციო სიტყვაში წარმოთქვა, ჩვენებური უსაქმური არასამთავრობოები ნებისმიერს უმალ დაადანაშაულებდნენ სწორედ „რუსულ პროპაგანდაში“.

არადა, როგორ გინდა, ასეთი აბსურდული ბრალდება პირდაპირ ამერიკის შეერთებული შტატების პირველ პირს წაუყენო?!

გამოდის, ტრამპმა თუკი, ძველი ადმინისტრაციის მსგავსად, ისევ გამოყო მილიონები რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაშინ, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა ებრძოლოს?!

მთელი ეს აჟიოტაჟი, რაც ამ დღეებში დონალდ ტრამპის გარშემო ატყდა, ნათლად მიუთითებს, რომ მსოფლიო „ლიბერასტების“ ყველაზე მაღალი რანგის ბელადებიც კი დიდ საგონებელში არიან ჩავარდნილი, ხოლო შედარებით დაბალი რანგის ლიდერების აქეთ-იქით უაზრო სირბილი და „ლიბერასტთა“ საშუალო ფენის სრულიად არაორგანიზებული ვითომ-მარშები და აქციები მათ „კუჭის აშლილობაზე“ პირდაპირ მეტყველებს.

ფაქტია, მსოფლიოს საზოგადოების ამ კონკრეტულ ჯგუფებს ამერიკის 45-ე პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მირთმეულმა „ტრამპეზმა“ აწყინა და ახლა ასეთი კომიკური ხუნტრუცით ცდილობენ მის მონელებას.

არადა, ფაქტს ვერსად წაუხვალ — ამერიკის 45-ე პრეზიდენტად ოფიციალურად არჩეულია და უკვე დამტკიცებულიცაა მილიარდერი დონალდ ტრამპი. აშშ კი ის ქვეყანა არ არის, რომლის საზოგადოება ეგრე იოლად ჭამდეს „ფერადფერად“ რევოლუციებს.

სხვათა შორის, ზოგიერთმა ქართველმა ვაიანალიტიკოსმა ეგ ვარაუდიც გამოთქვა — ტრამპის არჩევა ამერიკაში ე.წ. ფერად რევოლუციას გამოიწვევსო, მაგრამ ეს სასურველის რეალობად გასაღების უსუსური მცდელობა იყო მხოლოდ.

**მსოფლიოში „ფერადი“ რევოლუციების მომწყობები ვინც არიან, ყველამ კარგად ვიცით და როგორ ფიქრობთ, როგორადაც არ უნდა ეხატებოდეთ მათ გულზე ტრამპი, ხელს აძლევთ საკუთარ ქვეყანაში იმის გაკეთება, რასაც, ზუსტად იციან, რა დამანგრეველი შედეგებიც მოჰყვა სხვა ქვეყნებში?**

ამერიკული სპეცსამსახურები, დარწმუნებული ვარ, ამდენს ხვდებიან და არანაირ „ფერად“ სისულელეს არ ჩაიდენენ, თუმცა საკითხავია, საერთოდ აზროვნებენ თუ არა ჩვენი, ქართული, სპეცსამსახურები. არაერთმა ქართულმა ტელევიზიამ უკვე დაიწყო „ჩვენი ძირითადი სტრატეგიული პარტინიორი“ ქვეყნის პრეზიდენტის აშკარად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი სიუჟეტების ეთერში გაშვება.

„ჩვენებური“ იან კელი, რომელიც არჩევნების წინ არც კი მალავდა, რომ ჰილარი კლინტონს უჭერდა მხარს, ახლა დაბნეულია, თუმცა ამის გამო, მაქსიმუმ, შეიძლება საქართველოს ელჩის სავარძელს დაემშვიდობოს.

საკითხავი უფრო ისაა, რას აპირებენ ის ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებსაც მართლა არ ჰყოფნით ჭკუა, მიხვდნენ, რომ ასე ხელაღებით არ უნდა თათხონ არც ერთი ზე სახელმწიფოს პირველი პირები.

**არა, ისე, ქართველ საზოგადოებაში მოღრეცილი ტვინის პატრონთა საგრძნობლად მაღალი პროცენტის არსებობის გამო, არც ის გამიკვირდება, რომ ბევრი მართლა აპირებდეს დონალდ ტრამპისთვის „წყლის შეყენებას“. აკი, ეს ის საზოგადოებაა, რომლის ნაწილს მართლა გულით სჯეროდა, რომ მათი აქტიურობა დიდ დისკომფორტს უქმნიდა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს. ასე რომ, სრულიად მოსალოდნელია, ქართველების ნაწილი მართლაც სერიოზულად ფიქრობდეს ტრამპის ხელისუფლებიდან ჩამოშორებაზე.**

ისე, ხო არ მიგვემართა გაეროსთვის და ხომ არ მოგვეთხოვა, რომ მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ქვეყნის პირველი პირის არჩევნები საქართველოში ჩატარდეს, რათა ყველა სახელმწიფოს ჩვენ, ქართველებმა, დავუდგინოთ, ვინ უნდა იყოს მათი პრეზიდენტი ან პრემიერი?

ასეთ შემთხვევაში მსოფლიოც, ალბათ, დაწყნარდება და ჩვენც დავიკმაყოფილებთ ჩვენს წარმოუდგენლად სულელურ ამბიციებს.

**ტრამპი რადიკალურად სხვა მიდგომას სთავაზობს მსოფლიოს, კერძოდ, ტერორიზმს საერთო საფრთხედ აღიქვამს და მსოფლიოს ხალხებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობისკენ მოუწოდებს: „გავაძლიერებთ ჩვენს ძველ ალიანსებს და ახლებსაც შევქმნით და ცივილიზებულ სამყაროს გავაერთიანებთ რადიკალური ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ, რომელსაც აღვგვით პირისაგან მიწისა“.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკა უარს ამბობს საკუთარი მსოფლმხედველობის ექსპორტსა და იდეოლოგიურ ექსპანსიაზე

**დონალდ ტრამპის საინაუგურაციო გამოსვლა უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ დოკუმენტად დარჩება მსოფლიოს, ისევე, როგორც, მაგალითად, უინსტონ ჩერჩილის „ფულტონის სიტყვა“ ან ჯონ ფ. კენედის მიმართვა გერმანელი ხალხისადმი ბერლინში.**



**«ვეცდებით, მსოფლიოს ერების მეგობრობა და კეთილგანწყობა მოვიპოვოთ, მაგრამ, ამასთანავე, გავაცნობიერებთ, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება, პრიორიტეტი საკუთარ ინტერესებს მიანიჭოს. ჩვენ არ ვისწრაფვით, ვინმეს თავს მოვახვიოთ ჩვენი ცხოვრების წესი; მხოლოდ გვინდა, ვიყოთ მაგალითი, გავბრწყინდებით, რათა სხვები გამოგვყვნენ»**

მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებას ტრამპის პრეზიდენტად არჩევამ საფუძვლიანი იმედი გაუჩინა, რომ ამერიკა, ნაცვლად ომისა და შფოთვის თესვისა მსოფლიოში, ახალ, სამართლიან და მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას განახორციელებს. თუმცა ბევრი ექსპერტი გადაჭარბებული მოლოდინისგან თავის დაზღვევას გვირჩევს და არც ეს სიფრთხილეა უსაფუძვლო. წინა პუბლიკაციებში ამის შესახებ მეც ვწერდი, აშშ-ის პრეზიდენტი არ არის იმდენად ძლიერი ფიგურა ამერიკულ ოლიგოკრატიულ სისტემაში, რომ მან თავისი ხედვა წინააღმდეგობების გარეშე განახორციელოს, სისტემა მას უწესებს შეზღუდვებს. ყველაზე დიდი მტრები კი მას საკუთარ რესპუბლიკურ პარტიაში ჰყავს, ეს კიდევ უფრო ზღუდავს ტრამპის შესაძლებლობებს. მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, არც ტრამპია ის პიროვნება, რომელიც დიდი ხანია, რაც ახალ მსოფლიო წესრიგზე ფიქრობს. თუნდაც მისი საქართველოში ვიზიტი გავიხსენოთ სააკაშვილის პერიოდში. რა თქმა უნდა, დღეს ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, „მიშამ“ ტყუილად ატვირთა ტრამპთან ერთად გადაღებული თავისი სურათი ინტერნეტში ტრამპის გამარჯვების შემდეგ, რადგან ახლა იგი ტრამპს საერთოდ არ აინტერესებს.

**ბუნებრივია, ინაუგურაციის დღეს ვაშინგტონში ჩასულ სააკაშვილს ამერიკული ოფიციოზიდან არავინ დახვედრია და მარტოდმარტო, რიგით გამვლელებთან ერთად იდგა საინაუგურაციო ცერემონიის ადგილიდან მოშორებით, თავის საყვარელ ბუჩქებთან.**

მაგრამ, მეორე მხრივ, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ 2012 წელს საქართველოს ამერიკელი მილიარდერი ეწვია, შეხვდა სააკაშვილს და „ტრამპ ტაუერის“ მშენებლობაც დააანონსა. ჩნდება კითხვები: **რესპექტაბელურ ბიზნესმენს და მით უმეტეს პოლიტიკოსს რა ესაქმებოდა სააკაშვილთან? რაღა მაინცდამაინც საქართველოში მოინდომა ტრამპმა პროექტის განხორციელება? სხვაგვარად თავის მილიარდებს ვერ გაამრავლებდა?**

რა თქმა უნდა, ეს ვიზიტი „ჩაწყობით“, ამერიკაში ლობიზმს რომ ეძახიან, მოხდა. შესაბამისად, გამოჩნდა ტრამპის ერთგვარი ავანტიურისტული ბუნება და, რაც მთავარია, დამოკიდებულება გარემოცვაზე, რომელმაც ურჩია საქართველოში ჩამოსვლა. არანაირი საფუძველი არ მაქვს, ვივარაუდო, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დაზღვეული იქნება ასეთი მრჩეველების გავლენისგან.

მაგრამ ამჯერად დავეყრდნოთ დღევანდელ მოცემულობას და თავი მოვუყაროთ აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის — დონალდ ტრამპის საინაუგურაციო სიტყვაში დასმულ საგარეო-პოლიტიკურ აქცენტებს და ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტი მათ გარკვეულწილად განახორციელებს კიდეც.

## 1. ამერიკა საგარეო პოლიტიკას საშინაო ეკონომიკურ მოთხოვნებს დაუქვემდებარებს

„ოთხი ათწლეულის მანძილზე ჩვენ უცხოურ წარმოებებს ვამდიდრებდით ამერიკული ინდუსტრიის ხარჯზე. ფინანსურად ვუჭერდით მხარს უცხო ქვეყნების ჯარებს, მაშინ, როდესაც ჩვენი საკუთარი არმია დავამშიეთ. ჩვენ სხვა ქვეყნების საზღვრებს ვიცავდით, მაგრამ უარი ვთქვით ჩვენივე საზღვრების დაცვაზე. ჩვენ მილიარდობით და ტრილიონობით დოლარი დავხარჯეთ უცხოეთში, მაშინ, როდესაც ჩვენი ამერიკული ინფრასტრუქტურა მოიშალა. ჩვენ სხვა ქვეყნები გავამდიდრეთ, ამ დროს კი ჩვენი სიმდიდრე, ძლიერება და საკუთარ თავში რწმენა ჰაერში გაქრა“... „ჩვენ დღეს აქ შევიკრიბეთ, რათა გამოვცეთ ახალი დეკრეტი, რომელიც ყველა უცხოურ დედაქალაქში, ყველა პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრში უნდა გაიგონ. დღევანდელი დღიდან მხოლოდ ერთი პრინციპი იმოქმედებს: ამერიკა უპირველეს ყოვლისა!“

**ტრამპი, ფაქტობრივად, უარს ამბობს გლობალისტურ ეკონომიკაზე და პრიორიტეტად პროტექციონიზმს აცხადებს.** ამერიკის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად აღარ ემსახურებოდა უბრალო ამერიკელების ინტერესებს, იგი გახდა გლობალისტური პოლიტიკური ისტებლიშმენტის ინტერესების განხორციელების იარაღი. **ტრამპისთვის კი გეოსტრატეგიაში სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი აღარ არის უგულებელსაყოფი. ამოსავალი წერტილი აშშ-ის ეროვნული ინტერესი (როგორც ხალხის ინტერესი) იქნება და არა ელიტური „ტრანსატლანტიკური ფასეულობები“.**

## 2. ამერიკა უარს ამბობს საკუთარი მსოფლმხედველობის ექსპორტსა და იდეოლოგიურ ექსპანსიაზე

**„ჩვენ ვეცდებით, მსოფლიოს ერების მეგობრობა და კეთილგანწყობა მოვიპოვოთ, მაგრამ, ამასთანავე, გავაცნობიერებთ, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება, პრიორიტეტი საკუთარ ინტერესებს მიანიჭოს. ჩვენ არ ვისწრაფვით, ვინმეს თავს მოვახვიოთ ჩვენი ცხოვრების წესი; მხოლოდ გვინდა, ვიყოთ მაგალითი, გავბრწყინდებით, რათა სხვები გამოგვყვნენ“.**

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიტყვებია და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპის გადახედვას ნიშნავს. ამერიკა აქამდე დემოკრატიას ადამიანის უფლებების ინსტრუმენტად იყენებდა სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩასარევად. ამასთანავე, არც თუ ისე მისაბაძი დემოკრატიის მქონე აშშ საკუთარ თავს ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნად აცხადებდა. ტრამპმა საკუთარ თავზე გამოსცადა ამ დემოკრატიის ნაკლოვანებები უმძაფრეს წინასაარჩევნო მარათონში და ახლაც, პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც, ხედავს, რაოდენ დიდია პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიერ შექმნილი წნეხი ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტზე.

მისასალმებელია, რომ აშშ-ს სურს, ნაცვლად სხვათა საქმეებში ჩარევისა, მაგალითი გახდეს სხვებისთვის და საკუთარ სრულყოფაზე იმუშაოს. ამერიკელი ავტორი რ. სტილი ჟურნალში Foreign Affairs (2000 წელს) წერდა: „არა საბჭოთა კავშირი, არამედ შეერთებული შტატები იყო ყოველთვის რევოლუციური სახელმწიფო... ჩვენ შევქმენით კულტურა, რომელიც ეფუძნება მასობრივ გართობას და მასობრივ თვითდაკმაყოფილებას... კულტურული სიგნალები გადაიცემა ჰოლივუდისა და „მაკდონალდსის“ საშუალებით მთელ მსოფლიოში და ისინი არღვევს სხვა საზოგადოებების საფუძვლებს... ჩვეულებრივი დამპყრობლებისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვკმაყოფილდებით სხვათა დამორჩილებით: ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოგვბაძონ“. ტრამპის სიტყვები კი სწორედ ამ პრინციპის უარყოფას ნიშნავს, პრინციპისა, რომელზეც იყო აგებული ამერიკული საგარეო პოლიტიკა მე-20 საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული. ეს ნიშნავს, რომ **აშშ, ახალი მიდგომის შემთხვევაში, ნაკლებად იქნება დაძაბულობის გამომწვევი მსოფლიოში**.

## 3. ბრძოლა რადიკალური ისლამისტური ტერორიზმის წინააღმდეგ

ტრამპს გულწრფელად არ ესმის და მისთვის მიუღებელია ამერიკული სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდები და მიზნები, იმ სპეცსამსახურებისა, რომლებმაც გამოზარდეს ისლამისტი ტერორისტები ჯერ კიდევ ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის პერიოდიდან. ამერიკელებმა და ბრიტანელებმა შექმნეს „ალ ქაიდა“, „თალიბანი“ და „ისლამური სახელმწიფო“, ყოველ შემთხვევაში, მათი სპეცსამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ ხდებოდა ამ ტერორისტული დაჯგუფებების ზრდა და გაძლიერება, ოღონდაც რუსეთი დასუსტებულიყო.

მაგრამ ამერიკას ასეთი პოლიტიკა ცუდად შემოუბრუნდა, ბოთლიდან გამოსული ჯინი მათ აღარ დაემორჩილა. მართალია, სპეცსამსახურებს ტერორისტებზე ზეგავლენის კიდევ მრავალი ბერკეტი აქვთ და ისინი მართლაც იყენებენ ტერორისტებს (სირიაში და არა მხოლოდ იქ), მაგრამ ეს გავლენა აღარ არის უპირობო და სრულფასოვანი. პრაგმატიკოსი ტრამპისთვის ასეთი ავანტიურისტული პოლიტიკა მიუღებელია (აქვე აღვნიშნავთ, რომ სპეცსამსახურებთან ურთიერთობის განმუხტვის მიზნით, ინაუგურაციიდან მეორე დღეს ტრამპი ეწვია აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტაბ-ბინას და ქათინაურები არ დაიშურა მზვერავების მიმართ). **ტრამპი რადიკალურად სხვა მიდგომას სთავაზობს მსოფლიოს, კერძოდ, ტერორიზმს საერთო საფრთხედ აღიქვამს და მსოფლიოს ხალხებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობისკენ მოუწოდებს:**

**„გავაძლიერებთ ჩვენს ძველ ალიანსებს და ახლებსაც შევქმნით და ცივილიზებულ სამყაროს გავაერთიანებთ რადიკალური ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ, რომელსაც აღვგვით პირისაგან მიწისა“.**

ალიანსების თვისებაა, იყოს მიმართული რაიმე საფრთხის წინააღმდეგ. სამხედრო კავშირი ყოველთვის რაღაცის წინააღმდეგ იქმნება. ტერორიზმი ერთგვარ დადებით როლსაც შეასრულებს ახალი სტრატეგიული კავშირების შექმნაში. აშშ-რუსეთის ძალისხმევის გაერთიანება ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ისლამისტურ ტერორს ეხება (მხოლოდ ისლამისტური ტერორიზმი წარმოადგენს გლობალურ საფრთხეს და, უპირველესად, ისლამურ სამყაროს ემუქრება), ამერიკელი რეალპოლიტიკოსების იდეა იყო (თუნდაც სემუელ ჰანტინგტონის თეორია გავიხსენოთ), რომელიც მალევე მიეცა დავიწყებას 1990-იან წლებში. **აშშ-მა კურსი მსოფლიო ჰეგემონობისკენ აიღო და ასპარეზიდან რუსეთის საბოლოოდ ჩამოშორება გადაწყვიტა. ბილ კლინტონის შემდეგ ეს პოლიტიკა ჯორჯ ბუშმა-უმცროსმა აიყვანა აღმატებულ ხარისხში და ბარაკ ობამამაც განაგრძო, მაგრამ რუსეთი დღეს შეუდარებლად ძლიერია, ვიდრე გასული ორი ათწლეულის მანძილზე იყო. ეს რეალობა დაინახა ტრამპმა და აღიარა კიდეც.**

ტრამპი ამერიკას ქრისტიანული სამყაროს ნაწილად მოიაზრებს, რაც ისლამთან კონფრონტაციასკი არ გულისხმობს, არამედ ერთგვარ დისტანციას. დღეს ტრამპი თავისი ანტიისლამური განცხადებებისგან, რომლებიც მან წინასაარჩევნო პერიოდში გააკეთა, შორს დგას და მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისგან ისლამს, ერთი მხრივ, და ისლამურ რადიკალიზმს, ისლამიზმს, ტერორიზმს, მეორე მხრივ.

## 4. ამერიკის მოწოდება, დაეხმაროს მსოფლიოს

ტრამპის ბევრი მოწინააღმდეგე ლიბერალური ბანაკიდან ღიზიანდება ტრამპის „ნაციონალიზმზე“, მაგრამ **ამერიკის ინტერესის წინა პლანზე დაყენება არ ნიშნავს ეროვნულ ეგოიზმს. მთელი მსოფლიოსთვის სავსებით პროგრესულია და მისაღებია ტრამპის ხედვა, რომელიც სხვათა საშინაო საქმეებში ჩაურევლობაში გამოიხატება.**

გარდა ამისა, ტრამპი აცხადებს, რომ ამერიკამ თავისი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი მსოფლიოს სასიკეთოდ უნდა განავითაროს:

„ჩვენ ვდგავართ ახალი ათასწლეულის დასაბამთან, მზად ვართ, ამოვხსნათ კოსმოსის საიდუმლოებანი, მსოფლიო გავათავისუფლოთ სნეულებებით ტანჯვისგან და გამოვიყენოთ მომავლის ენერგეტიკა, ინდუსტრია და ტექნოლოგიები. ახალი ეროვნული სიამაყე აგვამოძრავებს, აღმართავს ჩვენს მზერას და ამოავსებს ჩვენს ნაპრალებს“.

ai აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ის ძირითადი პოსტულატები, რომლებიც ტრამპის ეპოქალურ საინაუგურაციო გამოსვლაში გამოიკვეთა. თუმცა, რა თქმა უნდა, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები მხოლოდ ამ გამოსვლის მიხედვით ვერ შეფასდება. არის კიდევ მრავალი მომენტი, რომლებიც აუცილებლად უნდა გაანალიზდეს. ამაზე მომავალ საგაზეთო პუბლიკაციებში ვისაუბრებთ.

**გულბაათ რცხილაძე**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინვესტორის განაწყენება არ შეიძლება, ხო, ბატონო ბიძინა? და სულში ჩაფურთხებული, მიწასთან გასწორებული, ცხვარივით გაკრეჭილი, ღირსებააყრილი, შეურაცხყოფილი და დამონებული ქართველი კაცი შეიძლება? ინვესტორთმოყვარეობა მაზოხიზმში ხომ არ გადაგვეზარდა, ბატონო ბიძინა?**

**სალამი, ბატონო ბიძინა! კი მეტყვით ახლა, ვიცი, რაზეც უნდა მომწერო, აქეთ ნაციონალების ყრილობაზე და იქეთ კიდევ პრეზიდენტის ინაუგურაციაზეო, მაგრამ არა — ზაზა ფაჩულიათი უნდა დავიწყო.**

# სტრატეგიულმა პარტნიორმა ტრა...მპი გვიჩვენა

გაგიკვირდებათ, ზაზა პოლიტიკასთან რა შუაშიაო, მაგრამ საქმემ ისე მოიტანა, თავშია, თავში. მოგეხსენებათ, ქართველ კალათბურთელს აშშ-ის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩში უნდა ეთამაშა და ხმების გარკვეული რაოდენობა სჭირდებოდა. **მოიქაჩლა თავი ქართველობამ, ეცადა და, მილიონ-ნახევარზე მეტი ხმით ზაზა მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ ამერიკელებმა კანონი შეცვალეს, მილიონ-ნახევარი ქართველის აზრი არ გაითვალისწინეს და დარჩა ზაზა ვარსკვლავებს მიღმა. მილიონ-ნახევარი, იცით, რამდენია? კი იცით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: ამდენი ხმა 2012 წელსაც კი ვერ აიღეთ, ხელისუფლებაში რომ მოხვედით, ანუ თქვენ ხელისუფლებაში იმაზე ნაკლები ხმებით მოხვედით, ვიდრე ფაჩულიამ მიიღო. 2016 წელს ხომ, საერთოდ, მილიონამდეც ვერ ახვედით. და ამერიკამ, ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა, ჩვენმა მოძმემ, სულ ცალ ფეხზე დაიკიდა ქართველების აზრი, კანონი შეცვალა და... ტრამპი გვიჩვენა!**

რა გამოდის? ამერიკელებს სჯერათ, რომ ქართველებს ნატოს წევრობა სურთ და ეს, იმის მიუხედავად, რეფერენდუმი რომ ჩატარდეს ამ თემაზე, მილიონ-ნახევარი კაცი საარჩევნო ყუთთან არ მივა, მაგრამ, ასი კაციც რომ მივიდეს და მათგან 55-მა თქვას, ნატო გვინდაო, ამერიკელები დაგვიჯერებენ, ანუ მათ სჯერათ ის, რაც უნდათ და არა ის, რაც რეალურად გვსურს. ჰოდა, სულ იმას ვუხსნიდი ჩემს ცხვრებს, ჩვენი სურვილები არაფერ შუაშია, მთავარი ამერიკის სურვილებია-მეთქი და აგერ მაგალითიც. ახლა თქვენც აუხსენით თქვენს ცხვრებს, ზებრებსაც, პინგვინებსაც და ზვიგენსაც, რომ ასე ხდება და ზაზას მაგალითმა სარკეში ჩაგვახედა.

ტრამპი და ნაცების ყრილობა ცოტას მოითმენს და **თამარ ჟვანიაზე** უნდა გითხრათ. მესმის, რომ მუშაობს ქალი, მესმის, რომ დატვირთული წელი ჰქონდა, მაგრამ რა უბედურებაა, წლიურად ასი ათასი ლარის პრემია?! აგერ, უხეშად გადავთვალე და ამ თანხას წელიწადში 46 პენსიონერი ვერ იღებს ერთად. ლამაზი არ ჩანს, თორემ ჟვანიას არაფერს ვერჩი! თან ეგ მარტო მაგის პრემიები დაგითვალე და, მოადგილე-მდივანს რომ მივყვე, ეგებ საპენსიო ფონდის ერთი თვის მარაგიც არ ეყოს.

ნაციონალებს რაც შეეხება — კი ნახავდით თქვენც, პირდაპირ ეთერში აჩვენა „რუსთავი 2“-მა მაგათი ხორხოცი. მერე, განხილვები რომ დაიწყეს, ამან ეს თქვა, იმან — ისო... ეგ კი არ უნდა დაეწყოთ, კითხვა უნდა დაესვათ მარტივი — „ობიექტური ტელევიზიის სტატუსზე რომ აქვს პრეტენზია „რუსთავი 2“-ს, რატომ გაუშვა კონკრეტული პარტიის საარჩევნო ყრილობა პირდაპირ ეთერში? ვალდებულება აქვს ამ პარტიასთან თუ, უბრალოდ, ჩათვალა, რომ საინტერესო იქნებოდა? ეს ყრილობა, პირველ რიგში, ამ ტელეკომპანიის კიდევ ერთი და საფუძვლიანი ლუსტრაცია იყო და მერე სხვა დანარჩენი. რაც შეეხება უშუალოდ ყრილობას, განათლების მინისტრ **ჟეჟელავას** ჩემი სამი ცხვარი უკვირს და, ალბათ, ნაციონალები მოსწონს. ამდენი ცხვარი ერთად, კარგა ხანია, არ მინახავს. დაიპეტელებდა მიშა პირდაპირ ეთერში და აბლავლდებოდნენ აქედან. ბედნიერებას ასხივებდა ყველა და ბოლოს დაიშალნენ იმ იმედით, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან, პირველ რიგში, ტყავს თქვენ გაგაძრობენ, მერე — დანარჩენებს.

ტყავის გაძრობა იყო ერთ-ერთი მთავარი თემა **დონალდ ტრამპის** ინაუგურაციაზეც. არ მოეწონათ ახალარჩეული პრეზიდენტის მკაცრი ტონი ლგბტ-აქტივისტებს, შავკანიანებს, ქალებსა და ცხოველთა დამცველებს. აქციებიც კი გაიმართა ტრამპის გადადგომის მოთხოვნით, მაგრამ მეეჭვება, ეგ კაცი სადმე წავიდეს. ჯერ ერთი, ბიზნესმენია და კარგად იცის დროის ფასი; მეორე — რა თქვა ტყუილი? ამერიკელებს მოუწოდა, ამერიკული პროდუქცია იყიდეთ და ამერიკელები დაასაქმეთო, ქალს ქალი უნდა ერქვას და კაცს — კაციო, ეს ნატო მოძველებულია და რეალურად არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლიაო, აქეთ ევროკავშირს მიდგა და... ნატოს რამის გადაწყვეტა რომ შეეძლოს, სირიაში ექვსი წელი ომი კი არ იქნებოდა, ორ თვეში დაამთავრებდნენ ნატოს წევრები, მაგრამ ხელს აძლევს ეს ვილაცას და იმ ვილაცის ბოსტანში ისროლა კენჭი ტრამპმა. ჰოდა, რომ ეგონა ყველას, მსოფლიო ლიდერები მისდგებიან წითურ პრეზიდენტსო, პირიქით მოხდა — **საფრანგეთში პრეზიდენტობის კანდიდატმა მარინ ლე პენმა განაცხადა, მე ამირჩიეთ და გპირდებით, ისეთივე პატრიოტი ვიქნები, როგორიც ტრამპიაო. გესმით? ისეთი პატრიოტიო, ანუ მისი განცხადებები, ქსენოფობიურ გამოხდომებად კი არა, პატრიოტიზმად შეფასდა.** ამას რომ ვამბობ, ჩვენს პოლიტიკოსებს ვიხსენებ და... დამავიწყდა, პატრიოტიზმზე, სულისკვეთებაზე, ქართველობაზე ვინ გააკეთა ბოლოს განცხადება. ვინ თქვა ბოლოს, მხოლოდ ქართველები დაასაქმეთ და ის უცხოური კომპანიები, ქართველ მუშებს მონებივით რომ ექცევიან, ქვეყნიდან გააძევეთო? **ააა, ინვესტორის განაწყენება არ შეიძლება, ხო, ბატონო ბიძინა? და სულში ჩაფურთხებული, მიწასთან გასწორებული, ცხვარივით გაკრეჭილი, ღირსებააყრილი, შეურაცხყოფილი და დამონებული ქართველი კაცი შეიძლება? ინვესტორთმოყვარეობა მაზოხიზმში ხომ არ გადაგვეზარდა, ბატონო ბიძინა?** ნუ გაგიკვირდებათ ჩემგან უცხო სიტყვები, ეს ჟეჟელავას ვგონივარ სულით მეცხვარე, თორემ, მე რომ წიგნები მაქვს წაკითხული, ჟეჟელავას ეგებ ნანახიც არ ჰქონდეს ერთად. ტყუილად არ მიხსენებია ეგ მინისტრი, მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოაცხადა: ის მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებს არ ეყვარება, სამსახურს ვეღარ განაგრძობსო. გესმით, ბატონო ბიძინა? მოსწავლეებს შეუძლიათ, მარტივად გადაწყვიტონ, მოდი, ეს მასწავლებელი უმუშევარი დავტოვოთ, ძალიან მკაცრიაო და პატარა აქცია მოუწყონ, რაც ჟეჟელავასთვის საკმარისი იქნება, სკოლიდან დაითხოვოს მასწავლებელი... ისე, **ის თუ იცით, ბატონი ჟეჟელავა მინისტრობამდე ააიპ მართვის აკადემიის თავმჯდომარე რომ იყო და წლიურ ხელფასად 200 ათას ლარზე მეტი რომ აქვს აღებული? ამას შურით კი არ ვამბობ, მაგრამ მაღალი ხელფასებია მანდ, ააიპ მართვის აკადემიაშიო და, ალბათ, ამიტომ. როცა ჟეჟელავა თავმჯდომარე იყო, მისი ცოლი ნატალია მუხადგვერდელი, ადმინისტრაციის უფროსად მუშაობდა და ამას ნეპოტიზმი ჰქვია!** ჰოდა, ეს ყველაფერი იმიტომ მოვყევი, ვინმემ თუ მოგცათ გარანტია, ჟეჟელავა ნეპოტიზმს სამინისტროშიც არ დანერგავს?!



**ის თუ იცით, ბატონი ჟეჟელავა მინისტრობამდე ააიპ მართვის აკადემიის თავმჯდომარე რომ იყო და წლიურ ხელფასად 200 ათას ლარზე მეტი რომ აქვს აღებული? ამას შურით კი არ ვამბობ, მაგრამ მაღალი ხელფასებია მანდ, ააიპ მართვის აკადემიაშიო და, ალბათ, ამიტომ. როცა ჟეჟელავა თავმჯდომარე იყო, მისი ცოლი ნატალია მუხადგვერდელი, ადმინისტრაციის უფროსად მუშაობდა და ამას ნეპოტიზმი ჰქვია!**

სხვა, აბა, რა გითხრა... ყინვების მოლოდინში ვარ და, ცოტა არ იყოს, ვწუხვარ ხალხზე. მოსახლეობას ეჭვი აქვს,— ბუნებრივი აირის კომპანიები მამაძაღლობენ, უხარისხო აირს უშვებენ, მეტი რომ გადავიხადოთო. მე ჩემი ცხვრების მატყლი მათბობს და, კარგი იქნება, ქართულ, ნატურალურ პროდუქციას მეტ ყურადღებას თუ მიაქცევთ, თორემ გაზიდეს თურქეთში, არაბეთსა და ირანში ქართული ცხვარიც, პირუტყვიც, მატყლიც და... ის ღამის კლუბები, **კვირიკაშვილი** რომ საუბრობდა ამას წინათ, მხოლოდ ქართველ ქალებს უშვებენ და კაცებს არაო, სწორედ თურქების, არაბებისა და ირანელების მფლობელობაშია. არ დამიწყოთ ახლა, ქსენოფობი ხარო... როგორც აგული ერისთავი იტყოდა, ეგოისტი ვარ მე!

**მილიონ-ნახევარზე მეტი ხმით ზაზა მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ ამერიკელებმა კანონი შეცვალეს, მილიონ-ნახევარი ქართველის აზრი არ გაითვალისწინეს და დარჩა ზაზა ვარსკვლავებს მიღმა. მილიონ-ნახევარი, იცით, რამდენია? კი იცით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: ამდენი ხმა 2012 წელსაც კი ვერ აიღეთ, ხელისუფლებაში რომ მოხვედით, ანუ თქვენ ხელისუფლებაში იმაზე ნაკლები ხმებით მოხვედით, ვიდრე ფაჩულიამ მიიღო. 2016 წელს ხომ, საერთოდ, მილიონამდეც ვერ ახვედით. და ამერიკამ, ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა, ჩვენმა მოძმემ, სულ ცალ ფეხზე დაიკიდა ქართველების აზრი, კანონი შეცვალა და... ტრამპი გვიჩვენა!**

**კეთილგანწყობით,**
**კომბლე**

ფაქტი

## ლევან ღვინჯილია ბინიდან გამოასახლეს

**ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია საცხოვრებელი სახლიდან გამოასახლეს. ამის შესახებ ღვინჯილია „ფეისბუქის“ გვერდზე წერს.**

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ...

ამ ბინაში გავატარეთ მე და ჩემმა ოჯახმა ბოლო 19 წელი. წუხანდელი ღამეც აქ გავათენეთ, მაგრამ ამჯერად უკვე — სხვის ბინაში. დიახ! გუშინდლიდან შევჩენკოს 12-ში მდებარე ეს ხუთოთახიანი ბინა ჩვენი აღარაა: იგი ჩემი ოჯახის საბანკო და სხვა ვალების ერთმა ნაწილმა მშვიდად და უხმაუროდ შეიწირა. აი, ასე „წვერდამშვენებული“ ვაცილებ ჩემს 65-ე ზამთარს და 165.000 დოლარის პროცენტიანი ვალით ვეგებები 66-ეს! მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „ულრმესი მადლობა“ მოვახსენო ჩემდამი გამოჩენილი „გულისხმიერებისათვის“ „პროკრედიტბანკსა“ და „ქართუს“ ყოფილ პრეზიდენტს, ბატონ ნოდარ ჯავახიშვილს, რომლის „პრინციპულობის“ წყალობით იძულებული გავხდი, სხვა ბანკიდან ამეღო კაბალური (წლიური 36%-იანი) სესხი და... ცხადია, დეტალებს აქ აღარ ჩავუღრმავდები. იმედია, აწი მაინც არ მკითხავთ, რით ვარსებობდით ბოლო 11 წლის განმავლობაში, როცა ოჯახის არც ერთი წევრი არ იყო დასაქმებული.... კარგად მესმის, რომ სამშობლოზე გაბრაზება ყოვლად დაუშვებელია, მაგრამ არც იმის შეგრძნებაა ადვილად ასატანი, რომ შენს ქვეყანას არაფერში არ სჭირდები. ხელისუფლებაზე ხომ ლაპარაკიც კი არ ღირს: „მე ვიყო კარგად და შენ, თუ გინდა, კისერი გიტეხია“, —- აი მისი პრინციპი. ნუგეშად კი ჯერჯერობით მხოლოდ ის მრჩება, რომ, ახალი მეპატრონის კეთილი ნებით, შეგვიძლია, აქ დავრჩეთ გაზაფხულამდე.

მერე? მერე რა იქნება? — ეს ჯერ არ ვიცით!!!

„საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არი?“ — წერს ღვინჯილია სოციალურ ქსელში.

ფაჩულიას აკადემია გაიხსნა, მაგრამ პრაქტიკულად ყველა ამბობს, რომ იქ ბავშვის მიყვანა და მომზადება სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. არადა, ზუსტად ვიცით, რომ ზაზა უფასოდ აპირებდა ამ აკადემიის გაკეთებას, უცხოელი მწვრთნელებისთვის ხელფასი ფედერაციას უნდა ეხადა და სანაცვლოდ კალათბურთელები უნდა მიეღო. დღეს კი ბავშვები ფულს იხდიან და, როგორც კი რომელიმეს შეეტყობა, კალათბურთის ნიჭი აქვს, მაშინვე უცხოური კლუბების სამიზნეში ხვდებიან, საქართველოდან მიდიან და კარიერის აწყობას საზღვარგარეთ ცდილობენ.

სპორტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართული კალათბურთი პერსპექტივის გარეშე

**ფეხბურთის არ იყოს, თავის დროზე საქართველოში კალათბურთიც ყვაოდა. ყვაოდა კი არა, თბილისის „დინამოს" ჩემპიონთა თასი აქვს მოგებული, უმაღლესი საკლუბო ჯილდო, რაც კი შეიძლებოდა საკლუბო დონეზე გუნდს მოეგო. დღეს კი...**



ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ქართული სოციალური ქსელი NBA-ში მოთამაშე ერთადერთი ქართველის — **ზაზა ფაჩულიას** მხარდაჭერით იყო დაკავებული. „გოლდენ სტეიტის" ქართველ ლეგიონერს ყველა ვარსკვლავის მატჩში მონაწილეობის შანსი ჰქონდა, საამისოდ კი ხმების ის რაოდენობა სჭირდებოდა, რომელიც მის პოზიციაზე, სულ ცოტა, სამეულში მოსახვედრად იქნებოდა საჭირო. როცა შუალედური შედეგები გამოქვეყნდა და გაირკვა, რომ ზაზა მეორე ადგილზე იყო და, დიდი ალბათობით, ამ ადგილს არ დაკარგავდა, ამერიკელებმა კანონი შეცვალეს, შედეგად კი ფაჩულიას მხოლოდ გულშემატკივრის ხმები აღარ ჰყოფნიდა და... მიუხედავად იმისა, რომ ზაზამ მეორე ადგილი დაიკავა, ყველა ვარსკვლავის მატჩში მაინც ვერ მოხვდა, რადგან მას მხარი ჟურნალისტებმა და კალათბურთელებმა არ დაუჭირეს.

**ეს არაფერი. 14 წელია, ჩვენი ნაკრების კაპიტანი ამერიკაში თამაშობს, სახელიც აქვს, თავისი ოფლით ნაშოვნი ფულიც და ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს, მაგრამ...**

**ქართული კალათბურთი დღეს, უბრალოდ, არ არსებობს. ვიღაც იტყვის, როგორ არ არსებობს, აგერ უკვე მერამდენედ, ჩვენი ბიჭები ევროპის ჩემპიონატზე გავიდნენო, მაგრამ, ნურას უკაცრავად, გავიდა ნაკრები, რომელშიც ლეგიონერები თამაშობენ, ეროვნული ჩემპიონატი კი რეანიმაციაშიც აღარ არის, უბრალოდ, გარდაიცვალა და აღიარება არავის უნდა, რადგან ამას სახელმწიფოსგან დაფინანსების შეწყვეტა მოჰყვება.**

როგორც წესი, სეზონის დაწყების წინ კალათბურთის ვერც ერთი სპეციალისტი ვერ გეტყვით, რამდენი გუნდი ითამაშებს იმ წელს ეროვნულ სუპერლიგაში. მიზეზი მარტივია — გუნდებს მუდამ აქვთ ფინანსური პრობლემა და, თუ ფული არ არის — ვერც თამაშობ. ასე იცვლება კლუბების რაოდენობა წლიდან წლამდე და გამარჯვებული გუნდი... არც არაფერი, გამარჯვებული გუნდი არსად თამაშობს. უფრო სწორად, ვერ თამაშობს, რადგან ფული არ აქვს. არადა, იყო შემთხვევა, გუნდებმა ფული იშოვეს და მერე რა, რომ ჩემპიონები არ იყვნენ, „ჩელენჯის თასზე" მოსინჯეს ძალები... სამწუხაროდ, ევროპაში ყველა გასვლა მთავრდება იმით, რომ ევროპული, თუნდაც საშუალოზე დაბალი დონის გუნდები სარკეში გვახედებენ და გვაგრძნობინებენ, რომ ჩვენთან კალათბურთის მიმართულებით უდიდესი პრობლემაა.

ისიც გვახსოვს, **2015 წელს თბილისის „ვითას" ახალმა ხელმძღვანელებმა სერიოზული ნაბიჯი რომ გადადგეს და გუნდი „ვი თი ბი" ლიგაში ათამაშეს. ეს ლიგა რუსებმა გააკეთეს, მასში ათი რუსული კლუბი მონაწილეობს, ექვსი კი სხვადასხვა ქვეყნიდანაა. ქართველების თხოვნის შემდეგ, რუსებმა ლიგიდან „კრილია სოვეტოვი" ბოდიშის მოხდით ამოაგდეს, ქართული „ვითა" ჩასვეს და ასე შედგა ცხრა რუსული კლუბით, პლუს საქართველოს, ესტონეთის, ყაზახეთის, ლიტვის, ბელარუსის, ჩეხეთისა და ფინეთის კლუბებით 16-გუნდიანი ლიგა. ანუ, რუსებმა იმის ხათრით, რომ ქართველებს ეთამაშათ (ალბათ, ჩვენი ძველი დიდება ახსოვდათ), საკუთარი კლუბი გაწირეს.**

გვახსოვს, მაშინ რა ამბავი ატყდა, — ნახეთ, ქართული კალათბურთის გარდაცვალება მითია, ჩვენი გუნდი, სულ ცოტა, პლეი-ოფში გავაო (პლეი-ოფში საუკეთესო რვა გუნდი გადიოდა) და „ვითამ" სასწაული მართლა მოახდინა — ყველა შეხვედრა დიდი ანგარიშით წააგო და ნული მოგებით ბოლო ადგილზე გავიდა.

**ხელის გაშვერას არავისკენ ვაპირებთ, არც იმას ვამბობთ, რომ ბევრი რამ გვეუცნაურება (თუნდაც ის, რომ კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატებმა: ვლადიმერ ბოისამ და კახა შენგელიამ კანდიდატურები მოხსნეს, შემდეგ კი ფედერაციის ვიცეპრეზიდენტები გახდნენ), მაგრამ ის კი ფაქტია, რომ რაღაცამ თუ ვიღაცამ იმავე ზაზა ფაჩულიას ხელი შეუშალა.**

**ქართული კალათბურთი დღეს, უბრალოდ, არ არსებობს. ვიღაც იტყვის, როგორ არ არსებობს, აგერ უკვე მერამდენედ, ჩვენი ბიჭები ევროპის ჩემპიონატზე გავიდნენო, მაგრამ, ნურას უკაცრავად, გავიდა ნაკრები, რომელშიც ლეგიონერები თამაშობენ, ეროვნული ჩემპიონატი კი რეანიმაციაშიც აღარ არის, უბრალოდ, გარდაიცვალა და აღიარება არავის უნდა, რადგან ამას სახელმწიფოსგან დაფინანსების შეწყვეტა მოჰყვება**


ზაზა ფაჩულია

როცა ეროვნული ნაკრების კაპიტანმა გადაწყვიტა, რომ თბილისში საკუთარი აკადემია დაეარსებინა, მაშინვე ითქვა, რომ ეს აკადემია ბევრ ბავშვს გაზრდიდა და სპორტის მკვდარ სახეობას მეორე სუნთქვას შთაბერავდა, მაგრამ ისე არ გამოვიდა, როგორც ჩაფიქრებული იყო. **ფაჩულიას აკადემია გაიხსნა, მაგრამ პრაქტიკულად ყველა ამბობს, რომ იქ ბავშვის მიყვანა და მომზადება სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. არადა, ზუსტად ვიცით, რომ ზაზა უფასოდ აპირებდა ამ აკადემიის გაკეთებას, უცხოელი მწვრთნელებისთვის ხელფასი ფედერაციას უნდა ეხადა და სანაცვლოდ კალათბურთელები უნდა მიეღო. დღეს კი ბავშვები ფულს იხდიან და, როგორც კი რომელიმეს შეეტყობა, კალათბურთის ნიჭი აქვს, მაშინვე უცხოური კლუბების სამიზნეში ხვდებიან, საქართველოდან მიდიან და კარიერის აწყობას საზღვარგარეთ ცდილობენ.** სწორედ ამიტომ ბევრ ევროპულ ასაკობრივ ლიგაში ჩვენებურები თამაშობენ, ეროვნულ ჩემპიონატს კი ზრდა არ ეტყობა. წელან ფედერაციის პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტები ვახსენეთ. შარშანდელის მსგავსად, საქართველოში Junior NBA-GBF ლიგა წელსაც გაიმართება, რომელიც, სავარაუდოდ, ისევ სრულიად საქართველოს მოიცავს და ბევრი ბავშვი მოინდომებს იქ თამაშს, მაგრამ იმავე ფედერაციას ვეკითხებით: **წინა ტურნირიდან, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ დასახელდა, რამდენი ბავშვი წავიდა ქართული კლუბების ასაკობრივ გუნდებში? პასუხი მარტივია — არც ერთი და ეს იმიტომ, რომ პიროვნები პრაქტიკულად არსად არ არის და ქართულ კლუბებს, ასაკობრივი გუნდების კი არა, მთავარი გუნდის შენახვის პრობლემა უდგათ.**

მწარე რეალობა ასეთია — **საქართველოს საკალათბურთო სამყაროს ჰყავს ეროვნული ნაკრები, მაგრამ პრაქტიკულად არ აქვს ეროვნული ჩემპიონატი. კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა არის ის, რომ ეროვნულ ჩემპიონატში არაერთი ლეგიონერი თამაშობს და მათ მცირე ჰონორარს არ უხდიან, მაშინ, როცა ქართველი კალათბურთელები შანსს ელოდებიან და ვერ იღებენ.** სწორედ ამიტომ ცდილობენ მშობლები, ბავშვი უცხოეთში წაიყვანონ, რათა იქ აღზარდონ. სანამ ეს ტენდენცია არ დასრულდება, ეროვნულ ჩემპიონატს არაფერი ეშველება. ითამაშებენ კლუბები ასე, თავისთვის, საქართველოს ჩემპიონი არც ერთ ევროპულ ტურნირში არ მიიღებს მონაწილეობას, გამოჩნდება მეპატრონე, რომელიც რომელიმე კლუბს დააფინანსებს „ვითას" დარად და მალე მიხვდება, რომ ფული წაგებებში, ანტირეკორდებში გადაიხადა.

ჰო, ვინც არ იცის — **ყველა ვარსკვლავის მატჩი საქართველოშიც უნდა გაიმართოს, კალათბურთელთა შერჩევა უკვე დაწყებულია, ანუ ზუსტად ისე, როგორც ზაზა ფაჩულიას ვაძლევდით ხმას, უნდა მივცეთ ხმა საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე იმ კალათბურთელებს, რომლებიც ქართულ „ოლ სტარში" ითამაშებენ. სხვა პრიზებთან ერთად, სპეციალური პრიზებია დაწესებული იმათთვის, ვინც ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე 24 კალათბურთელს დაასახელებს. სწორედ ამდენი რამაა საჭირო, „ოლ სტარი" რომ გაიმართოს.**

**ნიკოლოზ იაშვილი**

მსოფლიო

## ლე პენი: ევროკავშირი მკვდარია, მაგრამ ჯერ არ იცის ამის შესახებ

**საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ერთმანეთს ორი პრორუსულად განწყობილი კანდიდატი — ფრანსუა ფიიონი და მარინ ლე პენი უპირისპირდება. საფრანგეთის ექსპრემიერმინისტრი და რესპუბლიკელი კანდიდატი ფრანსუა ფიიონი, ლე პენისგან განსხვავებით, არ მიიჩნევს, რომ ევროკავშირი ყოვლად უსარგებლო ორგანიზაციაა.**

საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის" ლიდერის — მარინ ლე პენის განცხადებით, ევროკავშირი სიცოცხლისუუნარო ორგანიზაციაა. „ევროკავშირი მკვდარია, თუმცა ჯერ არ იცის ამის შესახებ. ის ჩაფლავდა ყველა მიმართულებით, იქნება ეს ეკონომიკური (ძალიან მცირე და ნელი ტემპით ზრდა), სოციალური (იზრდება უმუშევრობა, სიღარიბის დონე), უსაფრთხოება (ევროკავშირს არ შესწევს უნარი, დაიცვას თავისი საზღვრებიც კი). ეს ექსპერიმენტი ჩაფლავდა და ის უნდა საერთოდ შეწყდეს", — განაცხადა ლე პენმა გერმანულ გამოცემასთან ინტერვიუში.

**„ევროკავშირი უკვე სიცოცხლისუნარიანი აღარაა.. ის ემსგავსება ერთგვარ სექტას, რომელიც დიქტატით, ტვინის გამორეცხვითა და შანტაჟით არის დაკავებული",** — განაცხადა მარინ ლე პენმა. იგი თვლის, რომ ევროკავშირი სულ მალე ჩამოიშლება. **„მიზეზი მარტივია: ორივე საყრდენი, რომლებზეც ის დგას — ევრო და შენგენი, უკვე ინგრევა. ევრო წვრილ ნაწილებად იმსხვრევა და ისინი დროს წელავენ, რომ ეს სტრუქტურა შეინარჩუნონ, რაც მილიარდები ჯდება; ევროკავშირი ჰგავს მკვდარი ვარსკვლავის სხივს",** — განაცხადა ლე პენმა.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს არსებობენ მამაკაცები და ქალები, ჰომოსექსუალები და ტრანსსექსუალები; შემდეგ იქნებიან ტრანსადამიანები და პოსტადამიანები; იქნებიან ადამიანი-რობოტები, როგორიც ტერმინატორია; იქნებიან კიბორგები, იქნებიან არსებები, არა როგორც 100%-იანი ადამიანები, არამედ შედეგი სინთეტიკური ბიოლოგიისა, რადგან დღეს ადამიანის შექმნა ლაბორატორიაშიც შეიძლება.**

# «სოდომი» — შემაძრწუნებელი ფილმი, რომელიც განგაშის ზარებს არისხებს




**ბიბლიაში ნათქვამია, რომ საუკუნეების წინათ იქ, სადაც ახლა მკვდარი ზღვაა, მდებარეობდა ორი ქალაქი — სოდომი და გომორა. ამ ქალაქებში მდიდარი, პატივმოყვარე, ხარბი, ცოდვილი ადამიანები ცხოვრობდნენ. ისინი უცერემონიოდ ეპყრობოდნენ მოსულებს — სცემდნენ და ართმევდნენ ქონებას, ეწეოდნენ გარყვნილებას: მამაკაცს მამაკაცთან ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა, ქალს — ქალთან, ზოგიერთს კი — ბავშვებთან. დღეს ასეთებს პედოფილებს უწოდებენ... ხომ არაფერი გეცნობათ? სწორედ ასეთია ამჟამად მსოფლიო. რა დაემართათ ადამიანებს? რატომ სცოდავენ ასე ხშირად? რით არის დაკავებული ადამიანური ურთიერთობების ტავისტოკის ინსტიტუტი დიდ ბრიტანეთში? რისთვის სჭირდებათ გეებს შვილები? როგორია ე.წ. ფერადი რევოლუციის თანამდევი უარყოფითი ეფექტები? — სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცადა რუსი ტელეჟურნალისტი და ტელეწამყვანი არკადი მამონტოვი დოკუმენტურ ფილმში „სოდომი“.**

რეალობა, რომელიც ნაჩვენებია ფილმში, შეგაძრწუნებთ, შეგაძრწუნებთ იმიტომ, რომ რეალობაა. ფილმის შემქმნელებს არაფერი შეუთხზავთ: დაუფარავად ლაპარაკობენ ე.წ. ბოიფრენდები, რომლებმაც ბიჭუნა იშვილეს; დირექტორი კლინიკისა, რომელშიც აწარმოებენ ბავშვებს „შეკვეთით“; ფილმში ნაჩვენებია კონტეინერი-მაცივარი ემბრიონებით. ლუთერანი ჰომოსექსუალი პასტორი კი ამბობს, რომ მოციქული პავლე შეცდა, როდესაც ჰომოსექსუალიზმს ცოდვა უწოდა.

მაგრამ იქვე ისმის სხვა მოსაზრებებიც. მრავალშვილიანი ოჯახები გვიზიარებენ ოჯახური ცხოვრებით გამოწვეულ სიხარულს. პროფესიონალი ფლორისტი ამბობს, რომ უარი თქვა, მომსახურებოდა ერთნაირსქესიანებს ქორწილში, რადგან ეს მის სინდისსა და მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება. თავის ისტორიას ჰყვება ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ჰომოსექსუალური ვნებისგან ქრისტეს რწმენამ განკურნა.

ფილმი „სოდომი“, რომელიც რამდენიმე ენაზე ითარგმნა და მსოფლიოში გავრცელდა, არის შოკი, ეს არის ჩხვლეტა, რომელიც საზოგადოებას გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს. ფილმში ნაჩვენებია, როგორ უწევენ პროპაგანდასა და პოპულარიზაციას სოდომიას...

ფილმი ბევრ ადამიანზე იმოქმედებს დამთრგუნველად, რადგან მასში მართლაც საშინელებებზეა ლაპარაკი:

ადამიანის ხელოვნურ სელექციასა და ამ სფეროში მეცნიერების „მიღწევებზე“, სუროგატულ „დედობაზე“, ინფანტოფილიაზე (ახალშობილების მიმართ ძალადობაზე), ბავშვებით ვაჭრობასა და დედის შეცვლაზე „ბიოლოგიური კონტეინერით“; იმაზეც, როგორ აუპატიურებდნენ რეზინის ხელკეტებით სამხედრო ტყვეებსა და პატიმრებს აშშ-ის საპყრობილეებსა და ამ ე.წ. მსოფლიოს ჰეგემონის (უკვე ყოფილის) კონტროლს დაქვემდებარებულ სახელმწიფოებში, მათ შორის, საქართველოში, უკრაინაში, ერაყში, და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ გაეტეხათ ადამიანების ფსიქიკა; იმაზეც, რომ სოდომის სენი გეომეტრიული პროგრესიით ვრცელდებოდა მსოფლიოში.

ეს ფილმი განგაშის ზარების დარისხებაა. და არა იმიტომ, რომ პანიკა დათესოს, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებმა იცოდნენ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ასეთი რაღაცებიც ხდება. აქ სულშიჩამწვდომად ისმის პავლე მოციქულის სიტყვები: „**ნუ შეეცდებით, ღმერთს ვერ შეურაცხყოფთ, რადგან, ვინც რას დათესავს, მასვე მოიმკის**“ *(გალატ. 6;7).*

გთავაზობთ ფილმ „სოდომის“ ტექსტურ ვერსიას:

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2 (378)

## ტავისტოკის ინსტიტუტი

**ადამიანური ურთიერთობების ტავისტოკის ინსტიტუტი ლონდონში მდებარეობს. ომის წლებში ამ ინსტიტუტის კედლებში ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა შექმნეს ფსიქოლოგიური ომის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც მიმართული იყო არა მხოლოდ ფაშისტური გერმანიის, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც. ამ ინსტიტუტისთვის ფოტოს გადაღება კატეგორიულად აკრძალულია. სპეციალისტებს უფლება არ აქვთ, ილაპარაკონ, რით არიან დაკავებული ამ დაწესებულების თანამშრომლები. მიუხედავად ამისა, „სოდომის“ გადამღებმა ჯგუფმა მოძებნა ადამიანი, რომელმაც ბევრი რამ იცის ამ ინსტიტუტზე.**

**დანიელ ესტულინი, ავტორი წიგნისა „ტავისტოკის ინსტიტუტი“:**

„ტავისტოკი, როგორც კლინიკა, 1921 წელს ჩამოყალიბდა, ინსტიტუტად კი გადაკეთდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ურთიერთგაგების მემორანდუმს ხელი მოაწერეს **როკფელერების ოჯახმა, ტავისტოკის ხელმძღვანელმა და გენერალმა ჯონ როლინგმა, ინსტიტუტის დამაარსებელმა.**

ტავისტოკის შეთქმულების იდეა არის ის, სრულიად შეიცვალოს თანამედროვე საზოგადოების პარადიგმა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის მცდელობა, შეიცვალოს ყველაფერი, რასაც წარმოვიდგენთ, და შეიცვალოს წარმოდგენა საზოგადოებაზე.

აქ მოიფიქრეს და შემდეგ ევროპელი ახალგაზრდების ცნობიერებაში ჩანერგეს ახალი კულტუროლოგიური აქცენტები, ისეთები, როგორიც არის „თავისუფალი სიყვარული“, „სვინგი“, „სამოქალაქო ქორწინება“.

**ტავისტოკის ინსტიტუტში, აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ერთად, ადამიანების გონებაზე მანიპულაციებისთვის შეიქმნა პროგრამა MKULTRA.**

გამორიცხული არ არის, რომ, სახელდობრ, აქ ჩამოყალიბდა ე.წ. უკრაინის რევოლუციის ფსიქოლოგიური შემადგენელი — სიტყვით გამოსვლები, ქცევის მოდელი, ლოზუნგები.

როდესაც ლაპარაკია ტავისტოკში შექმნილ პროექტებზე, საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებსაც გეგმები გათვლილი აქვთ 50, ზოგიერთ შემთხვევაში კი 100 წელზე. მათი გეგმების სარეალიზაციო პროცესი გადადის ერთი საუკუნიდან მეორეში. იმის შესაქმნელად, რასაც დღეს ვხედავთ, მოქმედება დაიწყო დიდი ხნის წინათ. პროექტების დიდი ნაწილი, რომელთა რეალიზებაც დღეს ხდება, მაგალითად, ჰომოსექსუალიზმის, ჩაფიქრებული იყო არა 5 ან 10 წლის წინათ, არამედ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე. **დღეს არსებობენ მამაკაცები და ქალები, ჰომოსექსუალები და ტრანსსექსუალები; შემდეგ იქნებიან ტრანსადამიანები და პოსტადამიანები; იქნებიან ადამიანი-რობოტები, როგორიც ტერმინატორია; იქნებიან კიბორგები, იქნებიან არსებები, არა როგორც 100%-იანი ადამიანები, არამედ შედეგი სინთეტიკური ბიოლოგიისა, რადგან დღეს ადამიანის შექმნა ლაბორატორიაშიც შეიძლება.** მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობის



ლესბოსელთა წყვილი — დედა და დედა

აუცილებლობა უკვე აღარ არის. საქმე იქამდეც კი მივა, რომ იქნება გენები არა მხოლოდ ქალისა და მამაკაცისა, არამედ ადამიანის მსგავსი სამი სხვადასხვა არსებისა, რომლებსაც შეეძლებათ ადამიანის შექმნა, და სამომავლოდ გენეტიკური მანიპულაციების მეშვეობით გაანადგურებენ ადამიანის მეხსიერებას“, — ამბობს დანიელ ესტულინი.

## „შობადობის ინსტიტუტი“: წყვილებს ვეხმარებით, იქცნენ ოჯახად

კლინიკა „შობადობის ინსტიტუტი“ ლოს-ანჯელესშია. ეს არის პირველი საავადმყოფო, რომელმაც სოდომისტებს სუროგატული დედობა შესთავაზა.

**ჯეფრი სტაინბერგი, სუროგატული დედობის კლინიკის ექიმი:**

„ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ, რომელი სქესის იქნება ბავშვი — ბიჭი თუ გოგონა.

ცისფერი — ეს ბიჭები არიან (სტაინბერგი ფილმის ავტორებს თაროებზე ჩამწკრივებულ ფაილებს აჩვენებს), ვარდისფერი — გოგონები; მწვანე კი — გენეტიკური დეფექტების მქონე — დაუნის სინდრომით. მათ გენეტიკური პრობლემები აქვთ. ესენი, ძირითადად, ბიჭები და გოგონები არიან. ჰომოსექსუალური წყვილებიდან გეებს შვილად ბიჭი სურთ, ლესბოსელებს — გოგონა.

**ამ კონტეინერებში კი (სტაინბერგი მიდის კონტეინერებთან — ნ.კ.) გაყინული ემბრიონებია. კონტეინერები სავსეა. ჩვენ გვაქვს გაყინული სპერმა მამაკაცებისგან, გაყინული კვერცხუჯრედები — ქალებისგან, და როდესაც მათ ვაერთებთ, ვიღებთ ემბრიონებს. ყველა ეს ემბრიონი გაყინულია და სხვადასხვა კატეგორიისაა. გაყინული ემბრიონი, როდესაც მას კონტეინერებიდან ვიღებთ, ცოცხლდება, შემდეგ ვაძლევთ დედას. ემბრიონის შენახვის ვადა დაახლოებით 100 წელიწადია. აქ ვიღებთ სპერმას, კვერცხუჯრედებს, შემდეგ ვაერთებთ ემბრიონის შესაქმნელად. ემბრიონის გამოყვანას 5 დღე სჭირდება, შემდეგ ვაკეთებთ ანალიზებს, რათა დავადგინოთ, ბიჭია თუ გოგო, აქვს თუ არა გენეტიკური გადახრა და გადავცემთ დედას.**

ამას სუფთა ოთახს ვეძახით. აქ ჩვენ ისეთი კოსტიუმი უნდა გვეცვას, როგორითაც კოსმონავტები არიან შემოსილი კოსმოსში გასვლისას“.

ფილმის ავტორის კითხვაზე — გეების ოჯახში ბავშვი დედას ვერასოდეს ნახავს, ეს საშიში არ არის? სტეინბერგი უპასუხებს: ამაში საშიში არაფერია.

## გეიაღლუმი სან-ფრანცისკოში

**2014 წელი, აშშ, სან-ფრანცისკო. ათიათასობით სოდომისტი შეიკრიბა თავიანთი ცხოვრების სადემონსტრაციოდ. ნორმალური ადამიანები მათ ინტერესით უმზერენ.** ▶



დანიელ ესტულინი



ჯეფრი სტაინბერგი

**მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობის აუცილებლობა უკვე აღარ არის. საქმე იქამდეც კი მივა, რომ იქნება გენები არა მხოლოდ ქალისა და მამაკაცისა, არამედ ადამიანის მსგავსი სამი სხვადასხვა არსებისა, რომლებსაც შეეძლებათ ადამიანის შექმნა, და სამომავლოდ გენეტიკური მანიპულაციების მეშვეობით გაანადგურებენ ადამიანის მეხსიერებას.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით


გეების შვილი

— არ გეშინიათ, რომ თქვენს შვილს მოუნდება იყოს ისეთი, როგორიც ისინი არიან? — ეკითხება ფილმის ავტორი ერთ-ერთ მოქალაქეს, რომელიც სოდომისტების მსვლელობას შვილთან ერთად უცქერის:

— არა, პირიქით, ჩვენ გვინდა, წავახალისოთ ის, რომ ნახოს ყველაფერი, რასაც სამყარო გვთავაზობს.

ადგილობრივმა ტელევიზიამ შოუს წამყვანად სპეციალურად შეარჩია ტრანსვესტიტი — ის მათთან არის, მათიანია.

აი ეს ორი ქალი კი, რომლებიც, ალბათ, ლესბოსელები არიან, ახალი სახეობის ტომს მიეკუთვნება, ახალი მსოფლიოს ახალი ოჯახია.

ფილმის ავტორი ეკითხება მათ:

**— რამდენი წლის ხართ?**

— 38-ის.

— 52-ის.

**— შვილები გყავთ?**

— ერთი.

**— საერთო?**

— დიახ.

**— როგორ ცხოვრობთ უმამაკაცოდ?**

— შესანიშნავად! ეს შესანიშნავია, ეს არის ის, რაც მინდა.

**— თუ იცით, რამდენი არატრადიციული ორიენტაციის ადამიანია ამერიკაში?**

— ამბობენ, მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტიო, მაგრამ სინამდვილეში გაცილებით მეტია.

**— როგორ გააჩინეთ ბავშვი უმამაკაცოდ?**

— ისევე, როგორც სხვებმა. ჩვენ მას სიყვარულით ვზრდით, უზრუნველვყოფთ, ყველაფერი რიგზეა...

**— მე მხედველობაში მქონდა ის, რომ ბავშვის გასაჩენად აუცილებელია მამაკაცი.**

— აა, თქვენ ბიოლოგიურ მამას გულისხმობდით? მე მყავს ნაცნობი, რომელმაც ცოტაოდენი სპერმა მომცა ჭიქით... ასე გვეყოლა ბავშვი.

**— უკაცრავად, თქვენგან რომელია დედა და რომელი — მამა?**

— აბა, გამოიცანით?

**— თქვენ ხართ.**

— დიახ.

**— ის მამაა?**

— არა, ის მამა არ არის, მაგრამ მე დედა ვარ.

**— როგორ მოგმართავთ შვილი — დედა და დედა თუ მამა და მამა?**

— დედა და დედა.

— მე ის იუ-იუს მეძახის.

**— როგორ ფიქრობთ, ბავშვს, როცა ის გაიზრდება, არ ეწყინება, რომ ნამდვილი მამა არ ჰყავდა?**

— მას ისედაც ბევრი ადამიანი ჰყავს ცხოვრებაში, ბევრს ჰყავს ორი დედა, მას კი ჰყავს ბევრი შესანიშნავი ბიძა, ორი ბაბუა.

**— თქვენი შვილი გოგონაა?**

— დიახ.

სოდომისტებს ქვეცნობიერში მაინც აქვთ, რომ ეს არასწორია, თუმცა გარეგნულად ყველა გულმოდგინედ გამოხატავს სიხარულს.

ჰომოსექსუალთა ოჯახების ბავშვები ბედნიერად არ გამოიყურებიან. ბავშვი გრძნობს, რომ ის, რაც მის გარშემო ხდება, ბუნებას ეწინააღმდეგება.

ფილმის ავტორი კითხვას უსვამს ავტობუსის მძღოლს, რომელმაც ლგბტ-პირები ამ აქციაზე მოიყვანა.

**— რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— ძალიან საინტერესოა.

**— საინტერესო?**

— კი.

**— თქვენი აზრით, რას ფიქრობს ღმერთი, როცა ამ ყველაფერს უყურებს?**

— უკაცრავად, ღმერთი — ეს ვინ არის, რა არის, არ ვიცი...

ეს კი გაზეთების გამყიდველია, — ამბობს ფილმის ავტორი, — მას თავისი თვალსაზრისი აქვს:

— მათი რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს. 20 წლის წინათ ასეთ ღონისძიებაში ცოტა ადამიანი მონაწილეობდა, მაგრამ მათი რაოდენობა წლიდან წლამდე იმატებს. აქ მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოდიან, ჩინეთიდანაც კი. ბიბლიაში წერია, რომ **ღმერთმა შექმნა ადამი და ევა და არა ადამი და სტივი...**

**ნიკა კორინთელი**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**


გაყინული ემბრიონების კონტეინერები




## ევროინტეგრაციისკენ სწრაფვის ნაყოფი — ჰომოსექსუალიზმის რეკლამა კიევის მეტროპოლიტენში

**უკრაინის დედაქალაქის მეტროპოლიტენში გამოჩნდა პლაკატები პედერასტების გამოსახულებით — ერთმანეთის მომღიმარი ორი მამაკაცი და წარწერა: „ახალი გატაცება?“, აგრეთვე, ადამიანის იმუნოდეფიციტის ტესტის რეკლამა.**

„დარწმუნებული ვართ, რომ ეს არის გარყვნილი და სახიფათო ცხოვრების პირდაპირი პროპაგანდა. რეკლამას ნეგატიური გავლენა აქვს უამრავ ადამიანზე, რომლებიც კი მეტროპოლიტენით სარგებლობენ. ის განსაკუთრებით ზემოქმედებს ინფორმაციისადმი მგრძნობიარე ბავშვებისა და მოზარდების ცნობიერებაზე“, — განაცხადა წარმომადგენელმა ორგანიზაციისა „სიყვარული ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ“.

მისი აზრით, **კიევის მეტროპოლიტენში გამოფენილი პლაკატები კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობას.**

ერთნაირსქესიანთა შორის ურთიერთობის პროპაგანდა — ეს უკრაინის მიერ ევროინტეგრაციისკენ აღებული კურსით არის გამოწვეული. 2016 წლის ივნისში კიევის ცენტრში გაიმართა ლგბტ-საზოგადოების მარში, რომელშიც 1000 კაცი მონაწილეობდა და რომელსაც უკრაინის პარლამენტის დეპუტატებიც შეუერთდნენ — ბლოკ „პეტრე პოროშენკოს“ წარმომადგენლები.



## შარლიზ ტერონი თავისი ვაჟის გოგონად გარდაქმნას ცდილობს?





**პოპულარული მსახიობი შარლიზ ტერონი ნაშვილებ ვაჟს „მილიტრის“ სტილის კოსტიუმებს აცმევდა ხოლმე, ბოლო პერიოდში კი ბევრი ფიქრობს, რომ მსახიობი ზრდის... გოგონას, — წერს ჟურნალი Hello.**

ფოტოებზე გამოსახულია შარლიზ ტერონი და მისი ბიჭი, რომელსაც ყვავილებიანი შარვალი და ვარდისფერი მაისური აცვია და, რაც მთავარია, აქვს კიკინები.

რაც შეეხება თვითონ შარლიზს, მას საზოგადოებრივი აზრი არ აღელვებს. „მე გამოხატვის თავისუფლების მომხრე ვარ“, — ამბობს პოპულარული მსახიობი და სულაც არ აინტერესებს, სურს თუ არა ბავშვს, საზოგადოებაში გოგოს სამოსით ჩნდებოდეს, თანაც — კიკინებით.

## ქმრიან მასწავლებელს სამ მოსწავლესთან ჰქონდა სექსი

**45 წლის ნიკოლ ეიმონდი, ლუიზიანიას შტატის ქალაქ პორტ-ბარის ერთ-ერთი სკოლის კალათბურთის მასწავლებელი, პოლიციელებმა დააკავეს სამი მოსწავლის გარყვნის ბრალდებით.**

ცნობილი შეიქნა, რომ გათხოვილი ქალი თავის მოსწავლეებს „შიშველ“ სელფებს უგზავნიდა და მათთან ინტიმური კავშირი ჰქონდა.

გათხოვილი ქალბატონის სექსუალური ლტოლვის სამივე ობიექტი 17 წელზე მეტის იყვნენ — ამ წლოვანების ადამიანთან სექსუალური ურთიერთობა ამერიკაში ოფიციალურად დასაშვებია. მიუხედავად ამისა, ქალაქის პოლიციის შეფის — **დეონ ბორდოს** განცხადებით, ქალმა დაარღვია შტატის კანონი, რომლის მიხედვითაც პედაგოგებს ეკრძალებათ სექსუალური ურთიერთობა 21 წელზე უმცროს მოსწავლეებთან. ნიკოლ ეიმონდი დააკავეს მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი მოსწავლის მამამ მომხდარის შესახებ შეიტყო და პოლიციას აცნობა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2015 წელს საინფორმაციო საშუალებებმა სოროსი „წლის თაღლითად“ გამოაცხადეს. აშშ-ის საგადასახადო სამსახურმა განაცხადა, რომ სოროსის გადაუხდელი გადასახადების დავალიანება 7 მილიარდი დოლარს შეადგენდა. სოროსი არ იხდიდა სამომხმარებლო გადასახადს, ახდენდა რა მათ რეინვესტირებას საკუთარ ფონდში და ამგვარად თანხები ერიცხებოდა საგადასახადო სამსახურის გვერდის ავლით, დაუბეგრავად. ამას ის რამდენიმე წლის განმავლობაში ახერხებდა „ხვრელების“ წყალობით, მაგრამ 2008 წელს აშშ-ის კონგრესმა კანონში შესაბამისი ცვლილება შეიტანა და ყველა დაავალდებულა, ვინც ამ „ხვრელებს“ იყენებდა, ანგარიში გაესწორებინა 2017 წლამდე.**

# Bloomberg: ამერიკის თავზე მაიდნის აჩრდილია

## სოროსმა ტრამპს ომი გამოუცხადა

**დავოსის ფორუმის მუშაობის მესამე დღის სენსაციურ მოვლენად ჯორჯ სოროსის განცხადება იქცა, რომელიც მან საინფორმაციო სააგენტო Bloomberg-თან ინტერვიუში გააკეთა. სოროსი შვეიცარიის საკურორტო ქალაქ დავოსში გამართულ საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმების მუდმივი მონაწილეა და ამ ფინანსური სპეკულანტის ნებისმიერ გამონათქვამს იქაური „გლობალური ელიტა“ ყოველთვის ისე იღებს, როგორც პროგნოზს, მეტიც: როგორც მომავალი წლის პროგრამას.**

### რა ელის ფინანსურ ბაზრებს

სოროსს ფინანსური ბაზრის ლამის მსოფლიოს მთავარი ექსპერტის რეპუტაცია აქვს. ის არის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ფონდისა Soros Fund Management და ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი მსოფლიოში. „ფორბსმა“ მისი ქონება 25 მილიარდ დოლარად შეაფასა.

**ტრამპის არჩევამდე ფინანსურ გადაწყვეტილებებს ის იმის მიხედვით იღებდა, რომ დარწმუნებული იყო ჰილარი კლინტონის გამარჯვებაში, რომელიც დიდი ხნით ჩამოანგრევდა ფინანსურ ბაზარს. და ეს მას ხელს აძლევდა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ტრამპის გამარჯვების გამოცხადების მეორე დღესვე შეთავაზებები ამერიკული ბაზრის ბირჟაზე მკვეთრად დაეცა, მაგრამ შემდეგ დაიწყო მათი ზრდა და შეთავაზებების დონემ წინასაარჩევნო მაჩვენებელს 10%-ით გადააჭარბა. შედეგად სოროსმა დაახლოებით 1 მილიარდი დოლარი დაკარგა.**

**მაგრამ ის კვლავ ამტკიცებს, რომ საბირჟო შემოთავაზებების ზრდა დროებითი მოვლენაა. სწორედ ეს განაცხადა მან დავოსში. „გაურკვევლობა, განსაკუთრებით როცა ის პიკს აღწევს, გრძელვადიანი ინვესტიციების მტერია... არ ვფიქრობ, რომ საფონდო ბაზრებზე სიტუაცია ძალიან სასიამოვნო იქნება. მოცემულ ეტაპზე ინვესტორები ჯერაც ზეიმობენ ტრამპის გამარჯვებას, მაგრამ რეალიზმი, როდესაც ის დაბრუნდება, იზეიმებს“.**

### მუქარა ბრიტანეთის პრემიერის მიმართ

ფორუმის ერთ-ერთი სკანდალური ფიგურა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **ტერეზა მეი** გახლდათ, რომელმაც წარმოადგინა ერთიანი ევროპული ბაზრიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის გეგმა. მეის განცხადებები ეწინააღმდეგებოდა დავოსის სულისკვეთებას თავისი გლობალიზაციის იდეოლოგიით. პასუხად სოროსმა თავის ინტერვიუში იწინასწარმეტყველა, რომ დიდი ბრიტანეთის გადამწყვეტი და უკომპრომისო გასვლა ევროკავშირიდან შეამცირებს პრემიერმინისტრის სავარძელში მეის ჯდომის ვადას. ცინიკოსი მილიარდერის ბაგეთაგან ეს ისე გაისმა, როგორც მუქარა და ომის გამოცხადება ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგე ბრიტანელებისადმი.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ლონდონის ორი უმსხვილესი ბანკის მიერ 18 იანვარს გაკეთებული განცხადება სოროსის მუქარას შეესაბამება.

შვეიცარიულმა ბანკმა **UBS**-მა და ბრიტანულმა ბანკმა **HSBC**-მა ლამის სინქრონულად განაცხადეს, რომ დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის განშორების პირობებში ლონდონის შტაბ-ბინებიდან კონტინენტური ევროპის ქალაქების ოფისებში აპირებენ ათასამდე სამუშაო ადგილის გადატანას. საუბარია ბანკების ბიზნესინტერესებზე, რომლებსაც როტშილდი აკონტროლებს.

### ტრამპი, სოროსი და ფინანსური მაქინაციები

თავის ინტერვიუში სოროსი ტრამპსაც გადასწვდა. წინასაარჩევნო პერიოდში ეს ფინანსური სპეკულანტი აგიტაციას ჰილარი კლინტონის სასარგებლოდ ეწეოდა, რომელსაც სოლიდური ფინანსური დახმარებაც ერთვოდა (ზოგიერთი ექსპერტის მონაცემით, ეს თანხა 25 მილიარდ დოლარს შეადგენს). მაგრამ დავოსში სოროსს ტრამპისადმი თავისი ანტიპათიის გამოხატვისას მეტისმეტი მოუვიდა. **„მე მას (ტრამპს — რედ.) დავახასიათებდი, როგორც მატყუარას, თაღლითსა და პოტენციურ დიქტატორს“,** — განაცხადა მან. მათთვის, ვისთვისაც სიტუაცია ცნობილი იყო, ყველაზე სახალისოდ იქცა სიტყვა „თაღლითი“. რადგან ამერიკული პროცედურები, რომლებიც პირის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას განსაზღვრავს, ითვალისწინებს კანდიდატების საკმაოდ ძირფესვიან შემოწმებას, განსაკუთრებით ბიზნესში მათ მიერ კანონის დაცვას. მიუხედავად ამისა, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ოპონენტებმა ამ მხრივ ტრამპის გამამტყუნებელი ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარმოადგინეს. აი სოროსთან კი ყველაფერი ნათელია.

**2015 წელს საინფორმაციო საშუალებებმა სოროსი „წლის თაღლითად“ გამოაცხადეს. აშშ-ის საგადასახადო სამსახურმა განაცხადა, რომ სოროსის გადაუხდელი გადასახადების დავალიანება 7 მილიარდ დოლარს შეადგენდა. სოროსი არ იხდიდა სამომხმარებლო გადასახადს, ახდენდა რა მათ რეინვესტირებას საკუთარ ფონდში და ამგვარად თანხები ერიცხებოდა საგადასახადო სამსახურის გვერდის ავლით, დაუბეგრავად. ამას ის რამდენიმე წლის განმავლობაში ახერხებდა „ხვრელების“ წყალობით, მაგრამ 2008 წელს აშშ-ის კონგრესმა კანონში შესაბამისი ცვლილება შეიტანა და ყველა დაავალდებულა, ვინც ამ „ხვრელებს“ იყენებდა, ანგარიში გაესწორებინა 2017 წლამდე.**



**მნიშვნელოვან როლს ტრამპის წინააღმდეგ მოწყობილ არეულობებსა და აგიტაციაში ასრულებს სტრუქტურა სახელწოდებით «დონორების კლუბი», რომელიც შექმნილია აშშ-ის დემოკრატიულ პარტიაში და ფინანსდება სოროსისა და მისი თანამოაზრეების მიერ**

**BLOOMBERG-ის შეფასებით, ამ მაქინაციებით სოროსმა 13, 3 მილიარდი დოლარის მოგება ნახა.** ერთ-ერთმა ექსპერტმა, რომელმაც გააანალიზა რა საგადასახადო მექანიზმები, რომლებიც ამ შემთხვევაში იქნება გამოყენებული, მილიარდერის მომავალი ვალდებულებები დაახლოებით 6,7 მილიარდ დოლარად შეაფასა. ღირს განრისხებად, არა?

Bloomberg-ი აღნიშნავს, რომ სოროსმა ამერიკის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე ცოტა ხნით ადრე თავისი აქტივები ირლანდიაში გადაიტანა, ქვეყანაში, რომელიც ერთგვარი საგადასახადო თავშესაფარია. თუმცა საგადასახადო იურისტები განმარტავენ, რომ არ იციან, როგორ მოახერხებს სოროსი 2017 წელს საგადასახადო დარიცხვების თავიდან აცილებას.

### პირდაპირი მუქარა ამერიკის ახალი პრეზიდენტისადმი

„ის (ტრამპი — რედ.) მხოლოდ პოტენციური დიქტატორია. დარწმუნებული ვარ, რომ აშშ-ის კონსტიტუცია და პოლიტიკური ინსტიტუტები საკმარისად ძლიერია... თორემ ის ნამდვილად გახდებოდა დიქტატორი, თუკი წყლიდან მშრალი ამოვიდოდა, მაგრამ მას ეს არ შეუძლია“. მსგავსი გამონათქვამის ანალოგის პოვნა აშშ-ის ისტორიაში რთულია. აშშ-ის ნებისმიერ ახალ პრეზიდენტს ჰყავდა მოწინააღმდეგეები, მაგრამ ისინი ფარულად მოქმედებდნენ. ამერიკული ისტებლიშმენტის რიგებიდან არავინ არასდროს რისკავდა მსგავსი შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთებას კანონიერად არჩეული სახელმწიფო მეთაურის მისამართით.

და თუ ასეთი სიტყვები ითქვა, მაშასადამე, **სოროსი დარწმუნებულია, რომ დაამარცხებს ტრამპს. უფრო სწორად, ის კი არ არის დარწმუნებული, არამედ მისი უფროსები, რომლებმაც ფინანსურ სპეკულანტს დაავალეს, ტრამპისთვის ომი გამოეცხადებინა, სულ ცოტა, პოლიტიკურად გამანადგურებელი ომი.**

ისევ აშშ-ის ისტორია მოვიშველიოთ, რომელშიც ძნელად მოიძებნება პრეზიდენტი, რომელსაც თავს არ დასხმიან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ყველაფერი სახელმწიფოს პირველი პირის სასიკეთოდ დამთავრებულა. ბოლო საუკუნე-ნახევრის განმავლობაში მოკლეს პრეზიდენტები: **აბრაამ ლინკოლნი (14 აპრილი, 1865 წელი), ჯეიმს გარფილდი (ჭრილობისგან გარდაიცვალა 1881 წლის 19 სექტემბერს), უილიამ მაკკინლი (14 სექტემბერი, 1901 წელი), ჯონ კენედი (22 ნოემბერი, 1963 წელი).**

კენედის მკვლელობის შემდეგ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამერიკაში სიმშვიდე იყო. თავდასხმა ბევრი განხორციელდა, მაგრამ არც ერთი პრეზიდენტი არ მომკვდარა. თეთრი სახლის უსაფრთხოების სამსახურები უფრო პროფესიონალები, ხოლო პრეზიდენტები უფრო მართულნი გახდნენ, მათ მიერ მართულნი, ვისაც დიდი ფული აქვს. ეს ადამიანები, რომლებიც აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემას აკონტროლებენ, ასევე, ამერიკის რეალური პატრონებიც არიან.

### ამერიკული მაიდნის ორგანიზების გეგმა

ყურადღება მივაქციოთ სოროსის ფრაზას: „შეერთებული ტატების კონსტიტუცია და პოლიტიკური ინსტიტუტები საკმარისად ძლიერია...“

ეს ფრაზა ნათელი ნიმუშია იმისა, რომ სპეკულანტს შეუძლია სიტყვებით მანიპულირება და თეთრის შავად წარმოჩენა ან პირიქით. ეს ფრაზა ხომ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ „აშშ-ის კონსტიტუცია, როგორც არასდროს, სუსტია“; ხოლო ძლიერი, „აშშ-ის პოლიტიკური ინსტიტუტები“ კი არა, ფულის პატრონები არიან, რომლებიც წყვეტენ ამერიკის ბედს.

**ჯორჯ სოროსი ცნობილია იმით, რომ იცის, როგორ შეარყიოს კონსტიტუცია და პოლიტიკური ინსტიტუტები მსოფლიოში, ორგანიზებას უკეთებს რა „ნარინჯისფერ“ და სხვა „ფერად“ რევოლუციებს და აფინანსებს რა „რევოლუციონერებს“ თავისი „საქველმოქმედო“ ფონდიდან.**

ამ ქაოსის ფონზე ამერიკა აქამდე „სტაბილურობისა და უსაფრთხოების კუნძულად“ რჩებოდა, „დემოკრატიისა და თავისუფლების დასაყრდენად“, „ინვესტიციების ურისკო ობიექტად“.

და აი, როგორც ჩანს, ამერიკის სტაბილურობის ეპოქა დასასრულს უახლოვდება.

ახალი სამყარო შეიძლება ჩვენ თვალწინ ახალი უპრეცედენტო „ფერადი“ რევოლუციების არენად იქცეს, რომლის კოორდინატორობაზე განაცხადი ჯორჯ სოროსმა გააკეთა.

**საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის გამარჯვებისთანავე ქვეყანაში დაიწყო არეულობა, რომელშიც ჩათრეული იქნა უამრავი ადამიანი, შესაძლოა, მილიონობით ამერიკელი. ჟურნალისტურმა გამოძიებებმა აჩვენა, რომ ამ არეულობებში სოროსის ხელი ურევია. ჟურნალისტებმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ სოროსი სამი წლის წინათ აქტიურად მონაწილეობდა უკრაინაში მაიდნის ორგანიზებაში.**

ქაოსისა და უწესრიგობის მომწყობი ძალების გამოძიებით დაკავებულია აშშ-ის ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც იბრძვიან ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად, მათ შორის — საზოგადოება Donald Trump for President.

აი რა წერია ამ საზოგადოების „ფეისბუქ“-გვერდზე: „ჩვენ უფლებას არ მივცემთ სოროსსა და კომპანიას: 1. დაიპყროს საინფორმაციო საშუალებები; 2. გამოიწვიოს უწესრიგობა; 3. მოიცილოს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება, როგორც ეს გააკეთა უკრაინაში“.

**სოროსი თანხას ურიცხავს ორგანიზაცია MOVE-ON.ORG-ს, რომელიც ამერიკის სხვადასხვა ქალაქში, ადგილებზე უნაწილებს ფულს მაიდნის აქტივისტებს.**

**მნიშვნელოვან როლს ტრამპის წინააღმდეგ მოწყობილ არეულობებსა და აგიტაციაში ასრულებს სტრუქტურა სახელწოდებით „დონორების კლუბი“, რომელიც შექმნილია აშშ-ის დემოკრატიულ პარტიაში და ფინანსდება სოროსისა და მისი თანამოაზრეების მიერ.** გასული წლის ნოემბერში სოროსმა და „დემოკრატიული ალიანსის“ სხვა წამყვანმა ფიგურებმა ვაშინგტონში მოაწყვეს დახურული შეხვედრა, რათა გადაეწყვიტათ, როგორ განეგრძოთ ბრძოლა დონალდ ტრამპის წინააღმდეგ.

შეხვედრაზე, რომელიც მდიდრულ ოტელ „მანდარინ ორიენტალში“ გაიმართა, სიტყვით გამოვიდნენ წამყვანი პროფკავშირებისა და ლიბერალური ლობის ლიდერები, ასევე გავლენიანი დემოკრატი-პოლიტიკოსები. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ტრამპის პროგრამის „პირველი 100 დღე“ დისკრედიტებისა და ბოიკოტის გეგმა.

„ტრამპის იდეა რუსეთთან ორმხრივად ხელსაყრელ გარიგებაზე მთლიანად მისაღებია ამომრჩევლისთვის, ისევე, როგორც მკაცრი საპასუხო ღონისძიებების კონცეფცია. რესპუბლიკელებს შორის ეს იდეა უდიდესი პოპულარობით სარგებლობს“

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

The Independent:

# თუკი ევროკავშირს სურს, «ბრექსიტის» შემდეგაც იარსებოს, მან რუსეთთან გაცილებით ახლო ურთიერთობა უნდა დაამყაროს

**„როგორ შეიძლება „ბრექსიტი“ სასარგებლო იქნეს ევროპისთვის?“ — სვამს კითხვას The Independent-ის ეკონომიკური კომენტატორი ჰემიშ მაკ-რაი.**

„საუკეთესო არგუმენტი, რომელიც კი ვიცი, ჯერ კიდევ აგვისტოში ბრიუსელში, BREUGEL-ის უნივერსიტეტის მოხსენებაში იყო მოყვანილი, უნივერსიტეტის, რომელიც კონტინენტზე ერთ-ერთი წამყვანია საკვლევი ჯგუფების მხრივ“, — წერს ექსპერტი.

მოხსენებაში, რომელიც შეადგინა 5 ავტორმა ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, ნათქვამია: „ჩვენ გთავაზობთ თანამშრომლობის ახალ ფორმას — კონტინენტურ პარტნიორობას. თუ დიდ ბრიტანეთს მოუნდება კადრების მოძრაობაზე გარკვეული კონტროლის ხელში აღება, მაშინ გამოემშვიდობება ევროკავშირის სუპრანაციონალურ გადაწყვეტილებს. შემოთავაზებული კონტინენტური პარტნიორობა გაითვალისწინებს მონაწილეობას საქონლის გადაადგილებაში, მომსახურებაში, კაპიტალის მოძრაობაში და გარკვეული დროით — კადრების მოძრაობაშიც; ამას გარდა, გაითვალისწინებს მთავრობათაშორის გადაწყვეტილებების მიღებასა და საერთო წესების შესრულების უზრუნველყოფას ახალ სისტემაში ამ ღრმად ინტეგრირებული ბაზრის ერთგვაროვნების დასაცავად.

დიდ ბრიტანეთს ექნება ხმის უფლება ევროკავშირის პოლიტიკის სფეროში, ოღონდ უპირატესი ოფიციალური ავტორიტეტი ევროკავშირს შეუნარჩუნდება. შედეგად, ერთი მხრივ, ჩამოყალიბდება ევროპა შიდა წრით (ევროკავშირი), ღრმა და პოლიტიკური ინტეგრაციით განსხვავებული, და გარე წრით, რომელსაც ინტეგრაციის ნაკლები დონე ექნება“.

მაკ-რაი აღიარებს, რომ მოცემულმა სქემამ, შესაძლოა, არ იმუშაოს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ევროპის ამჟამინდელი მოდელი აუცილებლად შეიცვლება.

„ევროპისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია კითხვა: როგორ ჩაწეროს რუსეთი ამ სისტემაში და არ დატოვოს ის გაბრაზებულ მეზობლად, რომელიც იქცევა დამანგრევლად და ევროკავშირის აღმოსავლეთ ფლანგებს ემუქრება. შიდა წრის იდეა, შესაძლოა, იქცეს ურთიერთმოქმედების მოდელად არა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის მიმართ, არამედ რუსეთისაც, რამდენადაც ნაკლებრეალური არ უნდა ჩანდეს ეს არსებული ხელისუფლების პირობებში. ევროკავშირის პოლიტიკის სფეროში რუსეთისთვის სიტყვის მიცემა, შესაძლოა, წარმოუდგენელი ჩანდეს, მაგრამ ერთი წლის წინათ ადამიანთა უმრავლესობისათვის ასევე წარმოუდგენელი იყო ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეტის გასვლა“, — ნათქვამია სტატიაში. „BREUGEL-ის მოხსენებაში, — წერს ავტორი, — ასე შორს მიმავალი დასკვნები არ არის, მხოლოდ წინადადებებია, მაგრამ წარმოიდგინეთ პრიზი: რუსეთი, რომელთანაც ევროპას შეუძლია თანამშრომლობა, იმ რუსეთის ნაცვლად, რომელიც იღრინება ევროპის საზღვართან“.

TACC:

# სერგეი ლავროვი: ნარკოტიკების წარმოებითა და ვაჭრობით «ისლამურ სახელმწიფოს» აფინანსებენ



**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა საერთაშორისო ანტინარკოტიკულ ფორუმზე განაცხადა, რომ რუსეთში აკრძალული ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ ნარკოტიკების წარმოებისა და ვაჭრობის შედეგად მიღებული მოგებით ფინანსდება. ამის თაობაზე TACC-ი იტყობინება.**

ლავროვის თქმით, „ისლამური სახელმწიფო“ სირიაში, ერაყსა და სხვა სახელმწიფოებში ნავთობის კონტრაბანდისა და ნარკოტიკების წარმოების ხარჯზე არსებობს.

„სწორედ ნარკობიზნესი, ნარკოინდუსტრია აფინანსებს დანახარჯების ლომის წილს, რომელთა ხარჯზეც არსებობს ტერორისტული ორგანიზაცია და დანაშაული“, — ხაზს უსვამს ლავროვი. ასევე აღნიშნავს, რომ ნარკოტიკები პირდაპირ უკავშირდება რუსეთის მიმართ არსებულ საერთაშორისო საფრთხეს. მინისტრმა აღნიშნა, რომ „ჩვენ გარშემო ავღანეთია“, სადაც ტერიტორიებზე, რომლებსაც აკონტროლებენ თალიბანი და სხვა ოპოზიციური დაჯგუფებები, გამუდმებით იზრდება ნარკოტიკების წარმოება.

# სოციალურ ქსელებში ვაშინგტონში «პრორუსულ» სალუტზე ხუმრობენ




**სოციალური ქსელების მომხმარებლები ვაშინგტონში აშშ-ის არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის აღსანიშნავ სალუტში „კრემლის მონაწილეობაზე“ ალაპარაკდნენ. კერძოდ, „ტვიტერის“ მომხმარებლებმა ყურადღება მიაქციეს ასოებს USR, ფეიერვერკის გაშვების შედეგად რომ გამოისახა ცაზე, და ის ასე გაშიფრეს: United States of Russia (რუსეთის შეერთებული შტატები).** ერთ-ერთმა მომხმარებელმა აღნიშნა, რომ გამოისახა ასო R და არა ასო A, როგორც ეს ჩაფიქრებული იყო. „სსრკ დაბრუნდა თუ რა ხდება? ეს არის რშშ — რუსეთის შეერთებული შტატები“, — დაწერა სოცქსელის მომხმარებელმა.




BloombergView:

# პუტინი ინყებს ამერიკელების გონების დაპყრობას, შესაძლოა, გულისაც

**Pew Research-ის მონაცემებით, 90% ამერიკელებისა „რუსეთის ძალასა და გავლენას“ აფასებს, როგორც მუქარას, ხოლო 72% დარწმუნებულია, რომ რუსეთმა ჰაკერული შეტევა განახორციელა დემოკრატიული პარტიის ეროვნულ კომიტეტსა და ჰილარი კლინტონის საარჩევნო შტაბზე“, — წერს BloombergView-ის მიმომხილველი ლეონიდ ბერშიდსკი. „მოკლედ, ამერიკა დაარწმუნეს, რომ ნაკლებად უნდა ენდოს თავის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სხვა ინსტიტუტებს“, — შენიშნავს ავტორი.**

მაგრამ სხვა გამოკითხვების შედეგები ადასტურებს, რომ „ობამას მიერ რუსეთის მიმართ გატარებულმა სანქციებმა, როგორც რუსეთის დემონიზების მცდელობამ, საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათი რაოდენობა, ვინც პუტინის მიმართ კეთილგანწყობილია, ცოტათი გაიზარდა ორი წლისწინანდელთან შედარებით. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რესპუბლიკელებმა პუტინს კარგი თვალით შეხედეს. „ეს სიყვარული არ არის, ეს პატივისცემაა“, — ნათქვამია სტატიაში.

**Washington Post/ABC News-ის გამოკითხვებით, რესპონდენტების 43% ამტკიცებს, რომ ტრამპი რუსეთის მიმართ მეტისმეტად კეთილგანწყობილია, ხოლო 40% მიიჩნევს, რომ მისი მიდგომა სწორია. რესპუბლიკელთა 75% და თეთრკანიან ამომრჩეველთა 52% მთლიანად იწონებს ტრამპის მიდგომას.**

ბერშიდსკი ასკვნის: „ტრამპის ელექტორატმა ირწმუნა ყველაფერი, რაც საერთაშორისო არენაზე უკავშირდება რუსეთის მზარდ სიძლიერესა და მის გაბედულ სურვილს — თამაში აწარმოოს ამერიკის ტერიტორიაზე, მაგრამ არ მიიღო რეკომენდაციები, რომლებიც ერთვოდა“. ლიბერალებისა და ტრადიციონალისტი რესპუბლიკელების მოწოდებები ღონისძიებების გამკაცრების თაობაზე რუსეთის ასალაგმავად, ძირითადად, იგნორირებულია ხოლმე.

„ტრამპის იდეა რუსეთთან ორმხრივად ხელსაყრელ გარიგებაზე მთლიანად მისაღებია ამომრჩევლისთვის, ისევე, როგორც მკაცრი საპასუხო ღონისძიებების კონცეფცია. რესპუბლიკელებს შორის ეს იდეა უდიდესი პოპულარობით სარგებლობს“, — წერს ავტორი.

ბერშიდსკის აზრით, პუტინის სურვილი გარკვეულწილად შესრულდა, რომელსაც, აშშ-ისგან სიყვარული კი არა, „საერთო ინტერესებსა და ურთიერთვალდებულებებზე დამყარებული არაიდეოლოგიზებული დიალოგი სურდა“.

რესპუბლიკელმა ამომრჩევლებმა, როგორც ჩანს, ტრამპს უფლებამოსილება მიანიჭეს აღნიშნულ კურსზე. „ისინი აცნობიერებენ, რომ რუსეთი არის არამეგობრული ძალა, მაგრამ მოლაპარაკებებისკენ უფრო იხრებიან, ვიდრე სერიოზული დაპირისპირებისკენ“, — წერს ავტორი.

ბერშიდსკი რამდენიმე განმარტებას აკეთებს: XX საუკუნის ომებისა და გასული 15 წლის შემდეგ ძნელია ხალხის პროვოცირება ომზე, რადგან ან აშკარაა რუსეთისადმი, როგორც ბირთვული სახელმწიფოსადმი, პატივისცემა, ან რუსეთში რეჟიმის შეცვლა აუხდენელი ოცნებაა; ან დემოკრატებმა და საინფორმაციო საშუალებებმა, ამერიკელების დარწმუნებით, რომ რუსეთი ჩაერია აშშ-ის არჩევნებში, განამტკიცეს რუსეთის ყოვლისშემძლეობის რწმენა.

„თუკი ბოლო წინადადება სწორია, მაშინ აშშ განაგრძობს პუტინის ძალაუფლების გაძლიერებას“, — მიაჩნია ბერშიდსკის.

„შესაძლოა, ეს კარგის მომასწავებელი იყოს: გრძელვადიან პერსპექტივაში პუტინისთვის, შესაძლოა, დასავლეთთან კონსტრუქციული ურთიერთობების გადატანა უფრო რთული აღმოჩნდეს, ვიდრე მტრულის“, — დასძინა მან.

РИА Новости:

# ლე პენმა ტრამპის არჩევას «ბებერ ევროპაზე მეორე დარტყმა» უწოდა



**საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა, პარტია „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევა „ბრექსიტის“ შემდეგ ბებერ ევროპაზე მეორე დარტყმად“ მიიჩნია, — იტყობინება РИА Новости.**

„2016 წელს ანგლოსაქსონურმა სამყარომ გამოიღვიძა. დარწმუნებული ვარ, 2017 წელს კონტინენტური ევროპის მცხოვრებნიც გამოფხიზლდებიან“, — თქვა ლე პენმა. ასევე, მან ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოსვლა „დომინოს ეფექტს“ შეადარა.

„მეორე დარტყმამ დიდხანს არ გვალოდინა: ბატონი ტრამპი აშშ-ის პრეზიდენტად აირჩიეს. ევროპის მიმართ მისი პოზიცია ნათელია: ის მხარს არ უჭერს ხალხთა ჩაგვრას“, — დააზუსტა პოლიტიკოსმა.

ადრე კი ლე პენმა განაცხადა, რომ „წერტილი უნდა დასმოდა ბრიუსელის განუსაზღვრელ ძალაუფლებას“ და ურჩია კიდეც საფრანგეთს საზღვრების გაკონტროლება.

გვერდები მოამზადა დარეჯან ანდრიაძემ

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც სტალინმა ახალი კონსტიტუციის პროექტში ჩაწერა, რომ უნდა შეიცვალოს არჩევნების წესი, იმ „ძველი გვარდიის" წარმომადგენლებმა, რომლებმაც იგრძნეს პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი სიო, გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს არა მხოლოდ სტალინს, არამედ კომუნისტური პარტიის წევრთა უმრავლესობას, რათა მათი, მოძველებულ პარტიული ნომენკლატურის, სავარძლები არ შესუსტებულიყო და ადგილი ახალგაზრდა მზარდ პარტიულ კადრებს არ დაეკავებინათ მრავალმანდატიან საარჩევნო სისტემაში.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-2 (377-378)

# რატომ იყო სტალინი ხალხის ბელადი

**საბჭოთა კავშირში 1937 წელს გამართულ სასამართლო პროცესებს, როგორც მოგახსენეთ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მედიის წარმომადგენლები და გამოჩენილი ადამიანები ესწრებოდნენ. სასამართლო პროცესი ორ ეტაპად მიმდინარეობდა: პირველ ეტაპზე ჩატარდა გრიგორი ზინოვიევისა და ლევ კამენევის პროცესი, მეორეზე — გიორგი პიატაკოვის, კარლ რადეკისა და მათი მხარდამჭერების.**



ლიონ ფოიხტვანგერი და სტალინი

**კომუნისტური პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობაზე, რომელიც 1934 წლის 26 იანვრიდან 10 თებერვლამდე მიმდინარეობდა, სტალინმა კვლავ გაუსვა ხაზი პარტიის ძირითად ნაკლოვანებებს, რომლებიც კადრების დეფიციტით იყო გამოწვეული. მან ყრილობის მონაწილეებს საკადრო პოლიტიკაში მკაცრი ზომების გატარების მოთხოვნით მიმართა**

ზინოვიევისა და კამენევის პროცესს არ ესწრებოდა ცნობილი გერმანელი მწერალი **ლიონ ფოიხტვანგერი,** მაგრამ მეორე სასამართლო პროცესზე მან მოსკოვის სასამართლო დარბაზში თითქმის ათი კვირა გაატარა.

ლიონ ფოიხტვანგერი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი მწერალია, რომელმაც დაწერა საქვეყნოდ აღიარებული რომანები და ნარკვევები, როგორიცაა: „ებრაელი ზიუსი", „ცრუ ნერონი", „ძმები ლაუტენზაკები", „მელიები ვენახში", „გოია" და სხვ. მოსკოვში მიღებული შთაბეჭდილებით დაწერა წიგნი „მოსკოვი 1937", რომელიც მიუნხენში გამოიცა გერმანულ ენაზე. ამ წიგნის დეტალურმა გაცნობამ გადამაწყვეტინა, დამეწყო მასალების მოგროვება სწორედ იმ საკითხებზე, რომლებზეც გერმანელი მწერალი ამახვილებდა ყურადღებას. მასალების შეჯერების შემდეგ უამრავი მსგავსება და, ამასთანავე, უცნაური განსხვავებები აღმოვაჩინე 1937 წლის მოვლენებისა და თანამედროვე ნაციონალური მოძრაობების ქმედებებისა და ამ ქმედებების შედეგების შეფასებისას. ამიტომ მკითხველს ვთხოვ, გამომყვეს და გულდასმით წაიკითხოს ჩემ მიერ დანახული ზოგიერთი მოვლენა, რომლებიც გერმანელი მწერლის ხედვის პარალელურად მიმდინარეობს. ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელზეც აქცენტის გაკეთება მომიწევს, ბიძინა ივანიშვილიცაა. მკითხველმა იცის ჩემი დამოკიდებულება, როგორც „ქართული ოცნების", ასევე მისი ფარული მმართველის მიმართ, მაგრამ ამ მომენტში რეალობას ვერ გავექცევი და ამის გამო შეიძლება მკითხველის დაუმსახურებელი საყვედურიც დავიმსახურო. ეს არ არის ჩემი აზრის შეცვლის პროდუქტი, ეს მოვლენების ჩემეული, სწორად დანახვისა და მისი პირუთვნელად გამოთქმის სურვილია, რომელსაც მოთმინებით უნდა შეხვდეს მკითხველიც.

1937 წლის გახმაურებული „ტერორიც" და ჩატარებული სასამართლოები იყო პოლიტიკური პროცესები, რომლებიც სწორი სამართლებრივი გზის მისაცემად სასამართლო პროცესებად იყო გამოყენებული, მაგრამ მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს სასამართლო პროცესები არ იყო სახალხო სასამართლოს მიერ ჩატარებული, საქმეებს განიხილავდა საბჭოთა კავშირის სამხედრო ტრიბუნალის პრეზიდიუმი. როდესაც ამ პროცესების შეფასებაზე გადავალთ, დავინახავთ, რომ ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით სასამართლო პროცესები უნაკლოდ მიმდინარეობდა და ამაზე თვალს ვერც უცხოელი დამკვირვებლები ხუჭავდნენ.

მაშ ასე, ვიწყებთ 1937 წლის სასამართლო პროცესების განხილვას, რომლებიც არ იყო ცალკეული პიროვნებების დასჯის ან გამართლებისკენ მიმართული, არამედ, ეს იყო საბჭოთა კავშირში მოქმედი „მსოფლიოში პერმანენტული რევოლუციების" მხარდამჭერი მიმდინარეობის წარმომადგენელთა — ტროცკისტების — სასამართლო პროცესი, რომელიც ასე განმარტა გერმანელმა მწერალმა ლიონ ფოიხტვანგერმა:

**„სტალინმა, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, ხელახლა გაესამართლებინა თავისი მოწინააღმდეგე ტროცკისტები, ბრალი დასდო მათ სახელმწიფო ღალატში, ჯაშუშობაში, მავნებლობასა და სხვა ძირგამომთხრელ საქმიანობაში, აგრეთვე, ტერორისტული აქტების მომზადებაში. პროცესებზე, რომლებმაც თავიანთი „სისასტიკითა და თვითნებობით" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სრულიად მსოფლიო აამხედრეს, ტროცკისტები საბოლოოდ განადგურდნენ. მათ ბრალდება დაუმტკიცეს და დახვრიტეს".**

საინტერესოა, რა სამუშაო გასწია **სტალინმა**, რომ საქმე აქამდე არ მისულიყო და ნაკლები სისხლი დაღვრილიყო.

1930 წლის 2 ივლისს XVI ყრილობაზე სტალინი ყრილობის დელეგატებს მიმართავდა:

„რას მოითხოვს ყრილობა მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერებისგან? იქნებ, მონანიებას, თვითგამათრახებას? რა თქმა უნდა, არა! ჩვენი პარტია, ჩვენი პარტიის ყრილობა არასოდეს დაუშვებს, რომ პარტიის წევრისგან ისეთი რამ მოითხოვოს, რასაც მათი დამცირება შეუძლია. ყრილობა მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერებისგან მოითხოვს სამ რამეს:

**პირველი** — მათ უნდა შეიგნონ, რომ პარტიის ხაზსა და იმ ხაზს შორის, რომელსაც ისინი იცავდნენ, უფსკრულია; რომ იმ ხაზს, რომელსაც ისინი იცავდნენ, ობიექტურად მივყავართ არა სოციალიზმის, არამედ კაპიტალიზმის გამარჯვებისკენ;

**მეორე** — დაგმონ ეს ხაზი, როგორც ანტილენინური, და აშკარად და პატიოსნად გაემიჯნონ მას;

**მესამე** — მხარში ამოგვიდგნენ და ჩვენთან ერთად გააჩაღონ გადამწყვეტი ბრძოლა ყველა მემარჯვენე უკლონისტის წინააღმდეგ.

აი, რას მოითხოვს ყრილობა მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერებისგან.

არის თუ არა ამ მოთხოვნებში რამე დამამცირებელი მათთვის, როგორც ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ, ბოლშევიკებად დარჩნენ?

ცხადია, აქ არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე დამამცირებელი" (ი. სტალინი. თხზულებანი. ტ. 13, გვ. 8).

ამავე ყრილობაზე სტალინი მიუთითებს (ი. სტალინი. თხზულებანი. ტ. 13, გვ. 8):

„დავიცადოთ გაზაფხულამდე, იქნებ პარტიას მარცხი მოუვიდეს თესვის საქმეში, — და მაშინ დავცხოთ, როგორც საჭიროაო. მაგრამ გაზაფხული მათ არავითარ პლუსს არ აძლევდათ, რადგან თესვა ხელსაყრელად მიმდინარეობდა. და კვლავ იწყებდნენ ვარაუდს: დავიცადოთ შემოდგომამდე, იქნებ პარტიას მარცხი მოუვიდეს პურის დამზადების საქმეში, — და მაშინ დავცხოთ ცენტრალურ კომიტეტს. მაგრამ შემოდგომაც ატყუებდა და ხახამშრალს ტოვებდა. და, რადგან გაზაფხული და შემოდგომა ყოველ წელიწადს მეორდება, მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერებიც ლოდინს განაგრძობდნენ და იმედს ხან გაზაფხულზე ამყარებდნენ, ხან — შემოდგომაზე".

**კომუნისტური პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობაზე, რომელიც 1934 წლის 26 იანვრიდან 10 თებერვლამდე მიმდინარეობდა, სტალინმა კვლავ გაუსვა ხაზი პარტიის ძირითად ნაკლოვანებებს, რომლებიც კადრების დეფიციტით იყო გამოწვეული. მან ყრილობის მონაწილეებს საკადრო პოლიტიკაში მკაცრი ზომების გატარების მოთხოვნით მიმართა:**

„მუშაკთა ერთი ტიპი — ეს არის წარსულში განსაზღვრული დამსახურების მქონე ადამიანები, რომლებიც დიდკაცებად იქცნენ. ისინი ფიქრობენ, რომ პარტიული და საბჭოთა კანონები დაწერილია არა მათთვის, არამედ ბრიყვებისთვის. ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებსაც თავის მოვალეობად არ მიაჩნიათ, შეასრულონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები და, რომლებიც ასე ანგრევენ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის საფუძვლებს. რისი იმედი აქვთ მათ, როდესაც პარტიულ და საბჭოთა კანონებს არღვევენ? — იმისი, რომ საბჭოთა ხელისუფლება ძველი დამსახურების გამო ვერ გაბედავს მათთვის ხელის ხლებას. ეს გაამპარტავნებული დიდკაცები ფიქრობენ, რომ ისინი გამორჩეული არიან და ამიტომ შეუძლიათ, დაუსჯელად დაარღვიონ ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები. როგორ უნდა მოვექცეთ ამ ადამიანებს? ისინი უყოყმანოდ უნდა მოვხსნათ ხელმძღვანელი პოსტებიდან, მიუხედავად მათი დამსახურებისა წარსულში. ისინი უნდა გადავაყენოთ თანამდებობიდან, დავაქვეითოთ და ეს პრესაში გამოვაქვეყნოთ ხოლმე. ეს აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ ამ დიდკაც-ბიუროკრატებს რიხი შევუმციროთ და კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ. ეს აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ განვამტკიცოთ პარტიული და საბჭოთა დისციპლინა ჩვენს მუშაობაში".

**როდესაც სტალინმა ახალი კონსტიტუციის პროექტში ჩაწერა, რომ უნდა შეიცვალოს არჩევნების წესი, იმ „ძველი გვარდიის" წარმომადგენლებმა, რომლებმაც იგრძნეს პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი სიო, გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს არა მხოლოდ სტალინს, არამედ კომუნისტური პარტიის წევრთა უმრავლესობას, რათა მათი, მოძველებული პარტიული ნომენკლატურის სავარძლები, არ შესუსტებულიყო და ადგილი ახალგაზრდა მზარდ პარტიულ კადრებს არ დაეკავებინათ მრავალმანდატიან საარჩევნო სისტემაში.** სწორედ ამიტომ „ძველმა გვარდიამ" საზოგადოებიდან ტროცკისტების ნარჩენების, როგორც ხალხის მტრების, „გამოჩხრეკა" დაიწყო. დგებოდა იმ ადამიანთა სიები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ახალგაზრდა სოციალისტურ ქვეყანას, რასაც „ძველი გვარდია" არაფრით დაუშვებდა. „ძველი გვარდიის" მიერ ძირითადად თავის სასარგებლოდ ჩატარებულმა წმენდამ ნაყოფი გამოიღო. სამშობლოს მტერი და მოღალატე იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე სტალინს ეგონა. 1937 წელმა სწრაფად დაიწყო ქვეყნის გათავისუფლება საეჭვო ელემენტებისგან.

სტალინმა ერთ-ერთი ძველი ბოლშევიკის გვარი ორჯერ ამოშალა წარდგენილი სიიდან, მაგრამ ხალხის ფარული მტრები არ ნებდებოდნენ. პარტიას ხშირად აცლიდნენ ხელიდან საინტერესო, სანდო და პატიოსან ადამიანებს, მათ ადგილზე კი ყოფილი ტროცკისტები ინიშნებოდნენ. მეორე თაობის ტროცკისტები, **ხრუშჩოვის** მეთაურობით, არ თმობდა ძველ (ტროცკისტულ) პოზიციებს და რეპრესირებულთა სიებს ახალ-ახალი სახელები ემატებოდა. **1937 წლის რეპრესიების უმთავრესი ორგანიზატორი, პროვოკატორი და აღმოსავლეთში ტროცკის იდეების გამტარებელი, ციმბირის სამხარეო პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი რობერტ ეიხე, ტროცკის დავალებით, რუს კომუნისტებს მხოლოდ მსოფლიოში რევოლუციის კოცონის დასანთებ ფიჩხად იყენებდა.**

**1937 წლის პროცესებმა ფარდა აჰხადა ფარულ და ხილულ მტრებს. 1937 წელმა საბჭოთა კავშირში საბოლოოდ დაასამარა არა მხოლოდ ტროცკიზმი, არამედ ყოველგვარი მცდელობა მძლავრი „მეხუთე კოლონის" შექმნისა. ამაზე დღეს დაუფარავად საუბრობენ უცხოელი მკვლევარები, რომლებიც გაეცნენ 1937 წელს მოსკოვში გამართული სასამართლო პროცესების საარქივო მასალებს.**

**ლიონ ფოიხტვანგერი:** „ზინოვიევ-რადეკის სასამართლო პროცესის ახსნა შურისძიებისა და სტალინის ერთპიროვნულად გაბატონების საფუძველზე უაზრობა იქნებოდა. მსოფლიოს წინააღმდეგობის მიუხედავად, სტალინი მაინც ახერხებდა ისეთი გრანდიოზული ამოცანების განხორციელებას, როგორიცაა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის მშენებლობა. სტალინი, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, გიმნაზისტთა სასკოლო მოთხრობის რომელიმე გმირივით არ დააზარალებდა თავის მოღვაწეობას, მით უმეტეს, ისეთ სერიოზულ უბანზე, როგორიცაა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა.

ზინოვიევისა და კამენევის პროცესს პრესითა და თვითმხილველთა მონაყოლით გავეცანი, პიატაკოვისა და რადეკის პროცესებს კი პირადად ვესწრებოდი. პირველი პროცესის მიმდინარეობისას დასავლეთევროპულ ატმოსფეროში ვგრძნობდი თავს, მეორე პროცესისას კი — მოსკოვურ ატმოსფეროში. პირველ შემთხვევაში ჩემზე მოქმედებდა ევროპის ჰაერი, მეორე პროცესის დროს კი — მოსკოვის. და ამან შესაძლებლობა მომცა, განსაკუთრებით მკვეთრად შემეგრძნო ის ▶

## 1937 წლის პროცესებმა ფარდა აჰხადა ფარულ და ხილულ მტრებს. 1937 წელმა საბჭოთა კავშირში საბოლოოდ დაასამარა არა მხოლოდ ტროცკიზმი, არამედ ყოველგვარი მცდელობა მძლავრი „მეხუთე კოლონის“ შექმნისა. ამაზე დღეს დაუფარავად საუბრობენ უცხოელი მკვლევარები, რომლებიც გაეცნენ 1937 წელს მოსკოვში გამართული სასამართლო პროცესების საარქივო მასალებს.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


კარლ რადეკი


გიორგი პიატაკოვი

**1937 წლის რეპრესიების უმთავრესი ორგანიზატორი, პროვოკატორი და აღმოსავლეთში ტროცკის იდეების გამტარებელი, ციმბირის სამხარეო პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი რობერტ ეიხე, ტროცკის დავალებით, რუს კომუნისტებს მხოლოდ მსოფლიოში რევოლუციის კოცონის დასანთებ ფიჩხად იყენებდა**


სასამართლო პროცესი

◀ გრანდიოზული განსხვავება, რომელიც საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის არსებობს.

**ევროპაში ყოფნისას ზინოვიევისთვის წაყენებულ ბრალდებებს არ ვენდობოდი. მეგონა, რომ ბრალდებულთა ისტერიკული აღიარება რაღაც იდუმალი საშუალებებით მოიპოვეს. პროცესი წარმოდგენილი მქონდა დიდი ოსტატობით დადგმულ უზომოდ შემაძრწუნებელ თეატრალურ სანახაობად, მაგრამ მოსკოვში მეორე პროცესზე დასწრებისას, როდესაც ვნახე და მოვუსმინე პიატაკოვს, რადეკს, მათ მეგობრებს, ბრალდებულთა უშუალო ლაპარაკით შექმნილმა შთაბეჭდილებებმა ჩემი ეჭვები გაფანტა. თუ ყველაფერი ეს გამოიგონეს და მოაწყვეს, მაშინ არ ვიცი, სიმართლე რაღაა.**

პირადად ვნახე სასამართლო პროცესის ოქმები, გავიხსენე ყველაფერი, რაც საკუთარი თვალით ვიხილე, რაც მოვისმინე, ბრალდების უტყუარობის დამამტკიცებელი და გამაბათილებელი ყველა გარემოება კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონე.

გულმოდგინე შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ დანაშაულად მიჩნეული ტროცკის მოქმედება არათუ შეუძლებელი, არამედ მისი ერთადერთი შესაძლებელი მოქმედებაა, რომელიც მის შინაგან მდგომარეობას სრულიად შეესაბამებოდა.

ნამდვილად არ შემქმნია ისეთი შთაბეჭდილება, რომ სასამართლოს წინაშე მყოფი ხალხისთვის გვეწოდებინა წამებული, ჯალათის წინაშე წარმდგარი სასოწარკვეთილი არსებები. არც სასამართლო ატარებდა ხელოვნურ, პათეტიკურ ხასიათს.

შენობა, რომელშიც პროცესი მიმდინარეობდა, დიდი არ არის, იგი დაახლოებით 350 კაცს იტევს. მოსამართლეები, პროკურორი, ბრალდებულები, დამცველები, ექსპერტები მომცრო ესტრადაზე ისხდნენ, საითაც საფეხურები მიუყვებოდა. სასამართლოს დარბაზში არ იყო ისეთი რამ, რაც ბრალდებულთა სკამებს მოგაგონებდათ. ბარიერი, რომელიც ბრალდებულებს ჰყოფდა, ხის მოაჯირი იყო. ბრალდებულები მოვლილი, კარგად ჩაცმული მამაკაცები იყვნენ, მშვიდი, ძალდაუტანებელი მანერებით. სვამდნენ ჩაის, ჯიბეში მოუჩანდათ გაზეთები და ხშირად ათვალიერებდნენ დამსწრე საზოგადოებას. ეს, ერთი შეხედვით, დისკუსიას უფრო ჰგავდა, ვიდრე სისხლის სამართლის პროცესს; დისკუსიას განათლებული ადამიანებისა, რომლებიც ცდილობენ, გაარკვიონ სიმართლე, სახელდობრ, რა მოხდა და რატომ მოხდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ბრალდებულები, პროკურორები და მოსამართლეები ერთნაირი (ლამის ვთქვი სპორტული) ინტერესით იყვნენ გატაცებულნი, რათა ყველაფერი მაქსიმალური სიზუსტით გაერკვიათ. **ეს სასამართლო პროცესი დასადგმელად რეჟისორისთვის რომ მიენდოთ, მას ცოტა წლები და რეპეტიციები როდი დასჭირდებოდა ბრალდებულთაგან ასეთი შეხმატკბილებულობის მისაღწევად: მათ არ ეპარებოდათ ერთმანეთის მცირეოდენი უზუსტობაც კი და აღელვებას მხოლოდ და მხოლოდ თავისებურ თავშეკავებულობაში ავლენდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ბრალდებულების მომმზადებელი ჰიპნოზიორები, მომწამვლელები და სასამართლოს ჩინოსნები, თავიანთ ყველა სხვა განსაცვიფრებელ თვისებებთან ერთად, თვალსაჩინო რეჟისორები და ფსიქოლოგებიც უნდა ყოფილიყვნენ.**

დაუჯერებელი, შემაძრწუნებელი იყო ის გულმოდგინება, რომლითაც ეს ადამიანები თითქმის გარდაუვალი სიკვდილის წინ ლაპარაკობდნენ თავიანთ ნამოქმედარზე და განმარტავდნენ დანაშაულს. სამწუხაროა, რომ საბჭოთა კავშირის სასამართლო დარბაზებში აკრძალულია სურათების გადაღება და გრამაფონზე ჩაწერა. თუ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს წარუდგენენ არა მხოლოდ იმას, რასაც ბრალდებულები ამბობდნენ, არამედ იმასაც, როგორ ყვებოდნენ ისინი ყოველივე ამას, მათ ინტონაციებს, მათ სახეებს, მაშინ ურწმუნონი გაცილებით ნაკლები იქნებოდნენ.

თითოეული მათგანი თავისებური მანერით აღიარებდა დანაშაულს: ერთი — ცინიკური ინტონაციით, მეორე — მარჯვედ, როგორც ჯარისკაცი, მესამე — ეშმაკობის მოშველიებით, მეოთხე — როგორც მომნანიებელი მოსწავლე, მეხუთე — დამრიგებლურად, მაგრამ ტონი, სახის გამომეტყველება, ჟესტები ყველას ალალ-მართალი ჰქონდა.

**არასოდეს დამავიწყდება, როგორ იდგა ოდნავ შემელოტებული, წითური, ძველმოდური, მოცახცახე წვერის მქონე საშუალო სიმაღლის შუახნის მამაკაცი გიორგი პიატაკოვი მიკროფონის წინ და როგორ ლაპარაკობდა — თითქოს ლექციას კითხულობსო. წყნარად და გულმოდგინედ ყვებოდა იმის შესახებ, როგორ ვნებდა მისთვის მინდობილ მრეწველობას. გაშლილი საჩვენებელი თითით პიატაკოვი მოგვაგონებდა უმაღლესი სკოლის მასწავლებელს, პროფესიით ისტორიკოსს, რომელიც დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ადამიანის, გვარად პიატაკოვის, ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოდიოდა და ცდილობდა, ყველა გარემოება უმცირეს წვრილმანებამდე განემარტა. იგი თითქოს აღსავსე იყო ერთი სურვილით, რომ მსმენელებსა და სტუდენტებს — ყველას სწორად გაეგო და შეეფასებინა მისი ნათქვამი.**

არ დამავიწყდება მწერალი **კარლ რადეკი.** არ დავივიწყებ არც იმას, როგორ იჯდა იგი იქ თავისი ყავისფერი პიჯაკით, არც მის უშნო, ძველმოდურწვერიან გამხდარ სახეს. არც იმას, როგორ ათვალიერებდა დამსწრე საზოგადოებას, რომლის დიდ ნაწილს კარგად იცნობდა, ან სხვა ბრალდებულებს. იგი ხშირად ილიმოდა გულგრილად, ზოგჯერ — ირონიულად. არც ის დამავიწყდება, რადეკი დარბაზში შემოსვლისას ამა თუ იმ ბრალდებულს იდაყვით ნაზად როგორ ეყრდნობოდა მხარზე, არც იმას, როგორ იცინოდა სხვა ბრალდებულებზე, ავლენდა თავის მსახიობურ უპირატესობებს: მედიდურობას, სკეპტიკურობას, მოხერხებულობას, ლიტერატურულ განათლებას. მან მიკროფონთან მდგარ პიატაკოვს უეცრად უბიძგა და მის ადგილზე დადგა. ბარიერს ხან გაზეთს ურტყამდა, ხან ხელში ჩაის ჭიქას იღებდა, აგდებდა ლიმონის ნაჭერს, ურევდა კოვზით, პატარა ყლუპებით სვამდა ჩაის და თან შემზარავ რაღაცებს ყვებოდა. რადეკმა ყოველგვარი მხატვრულობის გარეშე წარმოთქვა საბოლოო სიტყვა, რომელშიც განმარტა, რატომ აღიარებდა დანაშაულს. ძალდაუტანლობისა და შესანიშნავი ფორმულირების მიუხედავად, რადეკის ეს განცხადება იმ ადამიანის ამაღლვებელი გულახდილობის მსგავსად გაისმა, რომელიც დიდ სატანჯველს უძლებდა. ყველაზე საშინელი და ძნელად გასაგები იყო ჟესტი, რომლითაც ბოლო სხდომის დამთავრებისას რადეკმა დატოვა სასამართლო დარბაზი. ეს იყო გამთენიისას, 4 საათზე. ყველა — მოსამართლეები, ბრალდებულები, მსმენელები ძალიან დაიღალნენ. 17 ბრალდებულიდან 13-ს სიკვდილი მიუსაჯეს. მათ შორის იყვნენ რადეკის ახლობლები; რადეკსა და სამ სხვას — მხოლოდ პატიმრობა. მოსამართლემ ჩაიკითხა განაჩენი. ყველამ, ფეხზე მდგომებმა, ბრალდებულებმა და მსმენელებმა გაუნძრევლად, დუმილით მოვისმინეთ იგი. განაჩენის წაკითხვის შემდეგ მოსამართლეები დაუყონებლივ გავიდნენ. გამოჩნდნენ ჯარისკაცები, რომლებიც ჯერ იმ ოთხ კაცთან მივიდნენ, პატიმრობა რომ მიუსაჯეს. ერთმა რადეკს მხარზე დაადო ხელი, როგორც ჩანს, ანიშნა, უკან გაჰყოლოდა. რადეკი გაჰყვა. იგი მობრუნდა, მისალმების ნიშნად ხელი ასწია, თითქმის შეუმჩნევლად აიწურა მხრები, თავი დაუკრა დანარჩენ სიკვდილმისჯილებს, თავის მეგობრებს და გაუღიმა. დიახ, მან გაიღიმა.

ასევე, ძნელია, დაივიწყო ინჟინერი **ვასილი სტროილოვის** გულისამაჩუყებელი დაწვრილებითი მონათხრობი, როგორ აღმოჩნდა ის ტროცკისტულ ორგანიზაციაში, როგორ ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. ტროცკისტები კი წარსულში მის მიერ ჩადენილი დანაშაულით სარგებლობდნენ და მტკიცედ ეჭირათ იგი ხელში. ასევე დაუვიწყარია რაბინი, წვერიანი ებრაელი მეწაღე **იან დრობნისი,** რომელმაც თავი სამოქალაქო ომში გამოიჩინა. მან მეფისდროინდელ ციხეებში 6 წელი გაატარა. თეთრგვარდიელებმა სამჯერ მიუსაჯეს სიკვდილი, მაგრამ დახვრეტას სასწაულით გადაურჩა. ახლა კი აქ, სასამართლოს წინაშე მდგომი იბნეოდა და სიტყვა უწყდებოდა, ცდილობდა, სიტუაციიდან როგორმე გამომძვრალიყო. აღიარებდა, რომ მის მიერ მოწყობილმა აფეთქებებმა არა მხოლოდ მატერიალური ზარალი გამოიწვია საწარმოში, არამედ მუშებიც შეიწირა. შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება დატოვა, აგრეთვე, ინჟინერმა **ნორკინმა**, რომელმაც თავის ბოლო სიტყვაში დაწყევლა ტროცკი, ამოანთხია მისადმი „უსაზღვრო ზიზღი და სიძულვილი“. მღელვარებისგან გაფითრებულმა დატოვა დარბაზი, ვინაიდან ცუდად შეიქნა. მთელი პროცესის განმავლობაში ეს პირველი და ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ვილაცამ დაიყვირა; ყველანი — მოსამართლეები, პროკურორი, ბრალდებულები — ყოველთვის ლაპარაკობდნენ მშვიდად, პათოსის გარეშე, ხმის აუწევლად“.

**(გაგრძელება იქნება)**

**დაუჯერებელი, შემაძრწუნებელი იყო ის გულმოდგინება, რომლითაც ეს ადამიანები თითქმის გარდაუვალი სიკვდილის წინ ლაპარაკობდნენ თავიანთ ნამოქმედარზე და განმარტავდნენ დანაშაულს**




**ყურადღება!**

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს სამეფო კარის საგარეო-პოლიტიკური კურსი აშკარად მიუთითებდა, რომ საქართველო პრეტენზიას აცხადებდა, დასუსტებული და დაშლილი ბიზანტიის ადგილი დაეკავებინა, მაგრამ ეს პროგრესული პროცესები თამარის სიკვდილმა შეაჩერა. სამწუხაროდ, მისი მემკვიდრე ლაშა-გიორგი არ აღმოჩნდა ის ხელისუფალი, რომელიც დავით აღმაშენებლის დაწყებულ საქმეს დაასრულებდა.**

## ისტორიული პერსონები



### წმინდა ნინო

**27 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მოციქულთა სწორის, საქართველოს განმანათლებლის, წმინდა ნინოს ხსენების დღეს აღნიშნავს.**

ნინო წარჩინებული მშობლების ერთადერთი ასული იყო. მამამისი, ზაბულონი, სახელოვანი მხედართმთავარი იყო, დედა — სოსანა კი იერუსალიმის პატრიარქის – იუბენალის და. მართლმორწმუნე ქრისტიანის ოჯახში გაზრდილი წმინდა ნინო ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ღვთისადმი სიყვარულით. 12 წლისა მშობლებთან ერთად წმინდა ქალაქ იერუსალიმში ჩავიდა, სადაც მამამისი ღვთისადმი დიდი სიყვარულის გამო ბერად შედგა, დედა კი პატრიარქმა გლახაკი და ავადმყოფი ქალების მომვლელად დაადგინა. ნინო ერთ ღვთისმოშიშ და სარწმუნოებაში განსწავლულ ქალს მიაბარეს, რომელიც მაცხოვრის ტაძარს ემსახურებოდა. აღმზრდელი ბავშვს სარწმუნოებისა და კეთილმსახურების წესებით ზრდიდა. წმინდა ნინომ აღმზრდელისაგან შეიტყო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შესახებ, რომელშიც უფლის კვართი ინახებოდა. წმინდანს მაშინვე გაჩენია საქართველოში ჩამოსვლის სურვილი.

**წმინდა ნინოს საქართველოში ცხოვრება, უფლის ნებით განხორციელებულ მრავალ სასწაულთან არის დაკავშირებული. ამ სასწაულების შემდეგ უამრავმა ადამიანმა იწამა უფალი და გაქრისტიანდა. მათ შორის იყვნენ მირიან მეფე და ნანა დედოფალიც. მოციქულთა სწორს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში, მის სახელთან არის დაკავშირებული ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაც.**

კახეთში სარწმუნოების ქადაგების შემდეგ ნინო დასნეულდა და მცხეთისკენ გაემართა; როდესაც მიაღწია ბოდბეს, ველარ შეძლო გზის გაგრძელება. წმინდანი გარდაიცვალა 27 იანვარს, ქართლში შემოსვლიდან მეთხუთმეტე წელს, 31 წლისა. მირიან მეფემ განიზრახა, წმინდანი მცხეთაში გადმოესვენებინა, მაგრამ ორასმა კაცმაც კი ვერ დაძრა ის საკაცე, რომელზეც ნინო აღესრულა. მოციქულთა სწორი ბოდბეში დაკრძალეს.

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39 (2016 წ.) - №02 (2017 წ.)

## «თურქი იქ ვარგა, სადაც დანგრევაა საჭირო»



რუსუდან მეფე



შალვა ახალციხელი

მოახლოებულმა ზამთარმა ქართველთა ლაშქრობა შეწყვიტა, თანაც ნაალაფარის სიმძიმის გამო სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტეს. ჯარი უკან დაბრუნებისას ქალაქ მიანას მიადგა და სარდალმა თავისი ხუთასკაციანი გარნიზონი მოიკითხა. მიანის მელიქმა, რომელიც ძღვენით შეეგება ქართული ჯარის სარდლობას, უპასუხა: „თავრეჟს წარვიდნენ მუნ დატოვებულთა მცველთა თანა". ძალიან გაუკვირდათ ქართველებს, ბრძანების გარეშე გარნიზონის მიერ ქალაქის მიტოვება. ამ მომენტში გამოჩნდა ერთი ჯარისკაცი მიანაში დატოვებული ხუთასი მეომრიდან, რომელმაც აუწყა ქართველთ სარდლობას საშინელი სიმართლე: როდესაც ქართული არმია შუა ხორასანში იმყოფებოდა, ვიღაცას მიანას მელიქისთვის ამბავი მიუტანია „დიდი სულთნის" მიერ გილანელთა დახმარებით ქართველთა განადგურების შესახებ. ეს მელიქსა და მის დიდებულებს ძალიან გახარებიათ, მომენტით უსარგებლიათ — მოულოდნელად ვერაგულად თავს დასხმიან ქართულ გარნიზონს და დაუტყვევებიათ. მერე კი ყველა დაუხოცავთ, მათ შორის ბევრი — წამებით. ერთი მეომარი საქმეზე გასული ყოფილა და შემთხვევით გადარჩენილა და დამალულა. სწორედ ამ **გადარჩენილმა ქართველმა მეომარმა უამბო ზაქარია ამირსპასალარს, როგორ აწამებდნენ ქართველებს მიანელები — როგორ ხოცავდნენ, როგორ სვამდნენ ძელზე, როგორ გააძრეს ცოცხლად ტყავი ზოგიერთ დატყვევებულ ქართველს. ზაქარია მხარგრძელის ბრძანებით, მაშინვე შეიპყრეს მიანას მელიქი და ქალაქის თავკაცებთან და მკვლელთა ამალასთან ერთად იქვე დახოცეს, ქალაქი კი დაარბიეს და გაანადგურეს.**

უკან მობრუნებულმა ქართულმა არმიამ ხელახლა გაიარა ადარბადაგანზე. თავრიზის მცხოვრებნი დიდძალი ძღვენით შეხვდნენ, ხოლო როდესაც გადმოიარეს რახსი, ნახიჭევანი, მდიდარი ნადავლიდან წინასწარ უძვირფასესი აარჩიეს და თამარს გაუგზავნეს. თბილისი დიდი ზეიმით შეეგება ძლევამოსილ მხედრობას. გაეგება თამარიც. შეიყარა „დარბაზისერნიც". მეფეთმეფის ტახტის წინაშე ყველანი „დასხდეს წესისაებრ". გამარჯვებულებმა „მოიღეს არმაღანი ურიცხვი და დადეს მეფის წინაშე". ლაშქრობიდან მოტანილი ალაფის მეშვეობით აღმოსავლეთის საგანძურით შეივსო საქართველოს სამეფო ხაზინა და ქვეყანა უაღრესად გამდიდრდა. ქველმოქმედმა მეფემ ნადავლის ნაწილი ღარიბებსა და გლახაკებს დაურიგა, ნაწილი კი — მეომრებს. **საქართველოს სამეფო კარის საგარეო-პოლიტიკური კურსი აშკარად მიუთითებდა, რომ საქართველო პრეტენზიას აცხადებდა, დასუსტებული და დაშლილი ბიზანტიის ადგილი დაეკავებინა. მაგრამ ეს პროგრესული პროცესები თამარის სიკვდილმა შეაჩერა. სამწუხაროდ, მისი მემკვიდრე ლაშა-გიორგი არ აღმოჩნდა ის ხელისუფალი, რომელიც დავით აღმაშენებლის დაწყებულ საქმეს დაასრულებდა.**

თამარის გარდაცვალებისთანავე საქართველოს ყმადნაფიცები განუდგნენ. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც პირველი განძა აღმოჩნდა, რომელმაც ხარკის მოცემა შეგვიწყვიტა. ქართველთა პასუხმაც არ დააყოვნა და ქართული ჯარი განძასთან გაჩნდა, მისი მიმდებარე ტერიტორია ააოხრა, ქალაქს კი ალყა შემოარტყა. როგორც ჩანდა, ქართველთა სარდლობას ხანგრძლივი ალყით სურდა განძელთა წინააღმდეგობის გატეხვა, მაგრამ სხვა გეგმები ჰქონდა მეფეს — ძალიან ეჩქარებოდა განძის აღება, ვინაიდან განძის ათაბაგს სხვა ყმადნაფიცებმაც მიბაძეს და საქართველოს განუდგნენ. **ლაშა-გიორგიმ 4 ათასი მეომრით მიიტანა ქალაქზე იერიში. განძელებმა, იხილეს რა მეფე მცირე ამალით, გააღეს ალაყაფის კარი და ქართველთა მხედრობას ეკვეთნენ. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, სასტიკ ბრძოლაში განძელები დამარცხდნენ და ისევ ქალაქს შეაფარეს თავი. როდესაც მეფის დასახმარებლად ქართველთა ძირითადი ლაშქარი მოვიდა, ბრძოლა უკვე დასრულებული იყო.**

თუმცა ალყა კიდევ დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს მაინც გატყდა განძის ათაბაგი და მეფე გიორგის მორჩილება გამოუცხადა. განდგომილთა „ჭკუაზე მოსაყვანად" ქართველებმა ლაშქრობა განაგრძეს და ნახიჭევნამდე მოარბიეს ყველაფერი.

**მეორე წელს კიდევ ერთი დიდი ლაშქრობა მოეწყო განდგომილი ხლათისა და კარნუ-ქალაქის ისევ დასამორჩილებლად. 1219 წლისთვის ყველა განდგომილი ყმადნაფიცი მუსლიმანური ქვეყანა შემოიმტკიცეს და დაიმორჩილეს.** მაგრამ საქართველოს საფრთხეს რა გამოულევდა და იგი ამჯერად ჩრდილოეთიდან დაემუქრა. მონღოლთაგან შევიწროვებულმა ყივჩაღებმა დარუბანდის კარი გადმოლახეს და შირვანის მთაბარს მოედვნენ, პირველად ქალაქ ყაბალას მიაშურეს და ალყაში მოაქციეს. მისმა მმართველმა ყივჩაღთა მეთაურთან მოლაპარაკება გამართა და აღუთქვა: „მე ქართველთა მეფეს ვთხოვ, ძღვნად ძვირფასი ხალათები და ფული გამოგიგზავნოთო". ეს, რასაკვირველია, დროის მოსაგებად იყო მოგონილი, ყივჩაღები ძღვენს რომ დაელოდებოდენ, სინამდვილეში ყაბალის დასახსნელად მისულ ქართველებს გამორჩებოდენ, მაგრამ არც ყივჩაღთა ბელადი იყო მიამიტი და, მან ყაბალის მიდამოების ძარცვა-რბევა განაგრძო, მერე, რაკი ყაბალის აღება ვერ შეძლო, სამხრეთისკენ დაიძრა ახალი სოფლებისა და ქალაქების გასაძარცვავად. ამ რბევაში განძას მიადგნენ. მისი ამირა **ქუშხარა** სიხარულით შეეგება მძარცველებს, მან ყივჩაღები ქირქუნის მიდამოებში დაასახლა კიდეც, მათთან კავშირით, ალბათ, ქართველთა მბრძანებლობისგან თავის დაღწევას ფიქრობდა, თანაც მომთაბარე, მძარცველ ურდოს ერთ ადგილზე დიდხანს გაჩერება არ შეეძლო და ყივჩაღები საძარცვავად საქართველოსკენ გამოემართნენ. მტერს ამირსპასალარი და ათაბაგი **ივანე მხარგრძელი** დაუხვდა, მაგრამ დამარცხდა და უკუიქცა. ქართველთა მოულოდნელი მარცხით გათამამებულმა ყივჩაღებმა ქუშხარა განძელის გამაფრთხილებელ რჩევას არ დაუჯერეს და ხელმეორედ წამოვიდნენ საქართველოსკენ. ამჯერად ქართველები **შალვა ახალციხელის** ხელმძღვანელობით შეებნენ მტერს და გაიმარჯვეს.

ყივჩაყთა ბელადი სიკვდილს ძლივს გადაურჩა და ქირქუნის ბანაკში შეიხიზნა. მან ქუშხარა განძელს კაცი მიუგზავნა, შეხვედრა და ქართველთა წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გამოსვლა სთხოვა, მაგრამ განძელმა თავი შორს დაიჭირა, — ჩემი რჩევა არ დაიჯერეთ და, რაც დაგემართათ, თქვენს თავს დააბრალეთო. ისევ განაახლეს ყივჩაღებმა მუსლიმანი მოსახლეობის ძარცვა, მუსლიმებმაც იარაღი აიღეს ხელში, კვლავ გამოჩნდა შალვა ახალციხელი, ისევ დამარცხდენ ყივჩაღნი და უკუიქცნენ ჩრდილოეთისკენ. შალვამ მათ კვალში ჩაუყენა ქართველები და შირვანელები. აუარება ყივჩაღი გაწყვიტეს ან დაატყვევეს, შირვანისა და დარუბანდის ბაზრებზე ტყვე ყივჩაღი ჩალის ფასად იყიდებოდა.

**1222 წლის სექტემბერში ქართველთა ჯარი შალვა ახალციხელის წინამძღოლობით თავს დაესხა ქალაქ ბაილაყანს, რომელსაც საქართველოს ტახტისაგან განდგომა განეზრახა. იმ პერიოდში მუსლიმანები ქართველებს ყველაზე კეთილ და შემწყნარებელ მტრებად თვლიდნენ, რაკი გამარჯვების შემდეგ მოსახლეობისგან მხოლოდ ხარკს იღებდნენ და ძარცვარბევისგან თავს იკავებდნენ. ამას ბოროტად იყენებდნენ ჩვენი მეზობლები. ისინი ფიქრობდნენ, თუ გავიმარჯვეთ, თავს დავიხსნით „ურჯულო" ქართველებისგან, დამარცხების შემთხვევაში კი ფულით გამოვისყიდით ღალატსო.**

მაგრამ ქართველთა მოთმინებასაც ჰქონდა საზღვარი. ჩვენმა მეომრებმა ბაილაყანი კიდეც აიღეს, კიდეც გაძარცვეს და მოსახლეობაც სასტიკად ააწიოკეს, ქალაქში კი ძლიერი გარნიზონი ჩააყენეს.

1225 წელს რუსუდან მეფე ადრიან გაზაფხულზე ჯარს ამზადებდა ადარბადაგანის დასალაშქრავად და დასაპყრობად, მაგრამ მოულოდნელად სრულიად ახალმა და საშიშმა მეტოქემ დაასწრო. ეს იყო **ჯალალ ად-დინი**, ხორეზმის შაჰის — **მუჰამედის** ძე, მამაცი და თავზეხელაღებული თურქმანი. ხორეზმის შაჰი მუჰამედი დევნილი იყო, როცა გარდაიცვალა, ჯალალ ად-დინმა კი მცირე ხნით ინდოეთს შეაფარა თავი, ხოლო როცა მონღოლთა დიდი მბრძანებელი, **ჩინგის ყაენი**, მონღოლეთს გაბრუნდა, ჯალალ ად-დინი ირანში გამოჩნდა, აღმოსავლეთ ირანი სრულად დაიპყრო და კასპიისპირე- ▶

## იცით თუ არა, რომ:



მეთვრამეტე საუკუნეში გერმანიის ქალაქ ლიუბეკში დაიბადა უჩვეულო ნიჭის ბავშვი, რომელიც ოთხი წლისა ყვავილით გარდაიცვალა. მას ვუნდერკინდი ერქვა.



„ინკვიზიცია" ლათინური სიტყვაა და ცნობისმოყვარეს ნიშნავს.

გერმანიის ელიტურმა საზოგადოებამ კომპოზიტორ ბრამსის პატივსაცემად, დიდი საღამოს გამართვა მოინდომა. საღამოს ორგანიზატორებმა, იცოდნენ რა კომპოზიტორის ჭირვეული ხასიათი, წინასწარ გაუგზავნეს მიწვეულთა სია, რათა ის ადამიანები ამოეშალა, ვისი ხილვაც არ სურდა ამ საღამოზე. ბრამსმა ერთადერთი გვარი ამოშალა — თავისი.



მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 1225 წლის აგვისტოს მიწურულს სომხეთში, დვინის ჩრდილოეთით, ციხესიმაგრე გარნისთან პირისპირ დადგნენ 200 000 მუსლიმანი და 60 000 ქართველი. ქართველები მთაზე დაბანაკდნენ, ხოლო გაშლილი ველი ჯალალ ად-დინის მეომრებით გაივსო. მან საომრად გააწყო ჯარები. ცენტრში მძიმედ შეჭურვილი მხედრობა დააყენა, მარჯვენივ — მშვილდმოისარნი, ხოლო მარცხენაზე ფლანგზე ქვეითი ჯარი განათავსა, მისი ძმის — ღიას ად-დინის სარდლობით.

◀ თის გავლით ადარბადაგანისკენ გაემართა.

ასე რომ, ქართველთა „სტრატეგიული მოკავშირეობის“ მცდელობა შუა აზიელ სელჩუკებთან კრახით დასრულდა. ისტორიული კანონზომიერება მიგვითითებს, რომ **არც ერთ ეტაპზე არ ყოფილან ქართველები და თურქები სტრატეგიული მოკავშირეები. ამის კლასიკური მაგალითია ჯალალ ად-დინი. ნაცვლად იმისა, რომ შეექმნა ანტიმონღოლური კოალიცია და მონღოლებთან ბრძოლაში გვერდით დაეყენებინა ქართველები, სარწმუნოებრივი ფანატიზმით დაბრმავებულმა, მონღოლებთან ბრძოლას თავი მიანება და საქართველო ამოიღო მიზანში. რატომ?! სულხან-საბას არაკის — „კუ და მორიელისა“ არ იყოს, თურქი ჯალალ ად-დინიც იმ გვარის გახლდათ, მტერსაც და მოყვარესაც ერთნაირად რომ კბენს. ტყულიად როდი წერდნენ იმ ეპოქის სპარსელები: „თურქი იქ ვარგა, სადაც დანგრევაა საჭირო“.**

ხორეზმის შაჰის მოწოდებას — „ქართველთა წინააღმდეგ საღვთო ომს ვიწყებ და მუსლიმებმა იარაღი აიღეთო“, აქტიურად გამოეხმაურნენ მუსლიმანური სამყაროს ამირები და სულთნები. ჯალალ ად-დინს მიემხრნენ დასავლეთ ირანის ქალაქები. მას გამოჩენისთანავე ეყმო ქართველთაგან ზარდაცემული ადარბადაგანის ათაბაგი **უზბეგიც**. ჯალალ ად-დინმა იკონიის, რუმისა და შამის სულთნებთანაც აფრინა ელჩები და შეუთვალა: მთელი ირანი და ადარბადაგანი ქართველების ბრჭყალებს გამოვგლიჯე, ახლა საქართველოსკენ მივეშურები და სისხლსა და ხანძარში უნდა ჩავახშო ეს მუსლიმანთა დამანგრეველი ქვეყანა, ხოლო თქვენგან ოდენ კავშირი და მეგობრობა მწადიაო.

თბილისშიც მოვიდა თურქის მოციქული ომის ქადილით, რუსუდან მეფის კარმაც ასეთი პასუხი გაატანა იმ ელჩს თავის მეფესთან: „მამაშენი მუჰამედი შენზე ძლიერიც იყო, შენზე მამაციც, მაგრამ მოგეხსენება, რა დღე დამართეს მას თათარ-მონღოლთა. ახლა ისიც გეცოდინება, იგივე თათრები ჩვენც რომ მოგვადგნენ, მაგრამ სულ კუდით ქვა ვასროლინეთ“.

**სანამ რუსუდანი ბაქი-ბუქობდა, ხორეზმშაჰმა 200 000 მუსლიმით მდინარე არაქსის ხეობაში გადმოლახა საქართველოს საზღვარი და სომხეთში შეიჭრა. სასტიკი მტერი დვინის მისადგომებს შეესია და სისხლის მდინარეები დააყენა: „ესრეთ უწყალოდ მოსვრიდეს, რომელ არს თუ დედათა და ჩვილთა ყრმათა რიდებდეს“.**

შეიყარა ქართველთა ჯარიც. რუსუდანმა სეფე-დროშა გადასცა სიბერემორეულ სარდალ ივანე მხარგრძელს. ივანე ფარულად მონაზვნობასაც შესდგომოდა, მეომრული იღბალიც აღარ მოსდევდა ძველებურად. თანაც, რაც ხანში შევიდა, ეჭვიანი და შურიანი გახდა, განსაკუთრებით ძმები ახალციხელების წარმატებები აცოფებდა. ჯარშიც სარდალზე უფრო დიდ პატივს ახალციხელებს სცემდნენ, ამიტომ ამ ნიუანსების გათვალისწინებით, მხარგრძელის მთავარსარდლობა დიდი შეცდომა იყო.

**1225 წლის აგვისტოს მიწურულს სომხეთში, დვინის ჩრდილოეთით, ციხესიმაგრე გარნისთან პირისპირ დადგნენ 200 000 მუსლიმანი და 60 000 ქართველი. ქართველები მთაზე დაბანაკდნენ, ხოლო გაშლილი ველი ჯალალ ად-დინის მეომრებით გაივსო. მან საომრად გააწყო ჯარები. ცენტრში მძიმედ შეჭურვილი მხედრობა დააყენა, მარჯვენივ — მშვილდმოისარნი, ხოლო მარცხენაზე ფლანგზე ქვეითი ჯარი განათავსა, მისი ძმის — ღიას ად-დინის სარდლობით.**

ორი დღე ასე პირისპირ გაატარეს მტრებმა, ორთავე მხარემ იცოდა თავისი საომარი სადგომის უპირატესობა და ორივე ამიტომაც ერიდებოდა პირველ გამოსვლასა და შეტევას. მუსლიმანებს რიცხობრივი და ცხენოსან ძალთა უპირატესობის გამოყენება სწორედ იმ გაშლილ ველზე შეეძლოთ და არა იმ მაღალ მთაზე, რომელზეც ქართველები დაბანაკებულიყვნენ. ქართველ სარდლობას კი სახიფათოდ მიაჩნდა მთის დატოვება და ფართო ველზე ჩასვლა, რომელზეც მას ურიცხვ მტერთაგან გარშემორტყმა და განადგურება ელოდა. ბოლოს ჯალალს უმტყუნა მოთმინებამ და თავისი კარავი მთის ძირამდის გადააწევინა, თანაშემწე სარანგებს, ხანებსა და ემირებს უხმო და დიდი ბჭობა გამართა. რადგან ქართველებს მთაზე დარჩენა ჰქონდათ გადაწყვეტილი, ხორეზმშაჰმა მთელი ძალებით შეტევაზე გადასვლა ბრძანა, ისიც გაითვალისწინა, — გამთენიისას თუ მხარგრძელი დაასწრებდა შეტევაზე გადასვლას, მაშინ, სანამ საომრად დაეწყობოდნენ, ქართველები ისრების მერეხით უნდა შეეკავებინათ.

**ჭკვიანი სარდალი მიუვალ მთებში გაუმართავდა მტერს ბრძოლას, ვინაიდან მტერთან შედარებით მცირერიცხოვანი ქართველებისთვის გაშლილ ველზე ჩასვლა და ბრძოლა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. სამწუხაროდ, მხარგრძელის ბანაკში ერთიანობა არ იყო და ქართველებმა შეცდომა დაუშვეს. როგორც კი ჯალალ ად-დინის მარცხენა ფლანგი იერიშზე გადავიდა, ივანე მხარგრძელმაც უბრძანა მეწინავე ჯარს, თორ-ჯავახელებს ჩაგებებოდნენ მტერს.** შალვა და ივანე ახალციხელების სარდლობით თორელებიც სწრაფად დაეშვნენ. როცა მოიერიშე მტერს მიეჭრნენ, შალვამ მაშინვე ამირსპასალართან შიკრიკი აფრინა და შეუთვალა: „მტერი უთვალავად და ულევად მოედინება და ჩვენ კი შეუდარებლად ვართ მცირენი მხოლოდ, ამიტომ იჩქარეთ და ჩამოგვეშველეთ მთავარი ძალებით“. პასუხისთვის დაცდა არც უფიქრიათ ახალციხელებს, ისე ჩაებნენ ომში. როდესაც მხარგრძელისგან გამოგზავნილი მაშველი ჯარი არ გამოჩნდა და პასუხმაც დაიგვიანა, შალვამ ისევ გაგზავნა შიკრიკი და კვლავ შეუტია მტერს. გაჭიანურდა ომი, ზემოდან თავგანწირული დაწოლით ძლივს აკავებდა ერთი მუჭა ჯარი უწყვეტად მომდინარე ხორეზმელთა ლაშქარს. ისევ არ ჩანდა მაშველი ჯარი. მესამედ აფრინა შიკრიკი შალვამ, შეთხელდა თორელთა რიგები. ცხენები დაეხოცათ შალვას და ივანეს, ქვეითად განაგრძეს ბრძოლა.

ბრძოლა შენივთდა და უსულოდ დაეცნენ სისხლისაგან დაცლილი უკანასკნელი თორელნი, ჯავახელნი, სამცხელნი. ვინც გადაურჩა, მახლობელ კლდისკენ დაიხიეს თავშესაფარად. ივანე ახალციხელმა ველარ გაუძლო და ისიც უკუიქცა გაქცეულთა კვალდაკვალ, მაგრამ უეცრად უზარმაზარი ქვა მოსწყდა, დაეშვა კლდიდან, დაეტაკა და გაიტანა ივანე. შალვამ კი ბოლომდე იბრძოლა, თუმცა ბოლოს მხოლოდ ხმლის ვადა შერჩა ხელში: „მითვე ვადითა მკერდი შეუნგრია უახლოეს თურქმანს, მერე ვადა შორს გატყორცნა და უმალვე დაცემულ მტერს სისხლამონახეთქ მკერდზე დააფრინდა, პეშვით სისხლი აართვა და სახეზე შეიქცია, ასე ინება გმირმა, რათა სახე მისი გაფითრებული არ ეხილა მტერს“. მტრის სიმრავლემ თავისი გაიტანა და შეიპყრეს შალვა ახალციხელი, „რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი მეომარი“.

**გარნისის ომს 4000 ქართველი შეეწირა. ოთხჯერ უფრო მეტი დანაკარგი მტერს ჰქონდა, მაგრამ ხორეზმელთა ურიცხვ ჯარს ამით არაფერი დატყობია.**

დატყვევებული შალვა ახალციხელი წარუდგინეს გამარჯვებით აღტაცებულ ჯალალს. იქ მდგარმა ყოველმა ადარბადაგანელმა და ნახჭევნელმა მუსლიმანმა იცნო წინა აზიაში სიმამაცით განთქმული ქართველი გმირი. დაწვრილებით აუწყეს ხორეზმშაჰს მისი ვინაობა, თუმცა იმდღევანდელი გმირობაც კმაროდა შალვას გასაცნობად. აღტაცებული მდუმარებით დიდხანს ათვალიერებდა ჯალალი უმშვენიერეს ვაჟკაცს. გაახსენდა ხორეზმშაჰს შალვა ახალციხელის დანაქადნები: „ნეტავ, ჩემს დროს ყოფილიყო და სადმე შემომყროდა ისლამისტთა ყველაზე მამაცი ხალიფა **ალი იბნ აბუ თალიბი** და ვაჩვენებდი ჩემი მკლავის ძალასო, მის სახელგანთქმულ **ზულყაფარსაც** ხერხემლის მკვეთელი ჩემი ფოლადის ხმლით ჩალასავით მივულეწავდი და მის მონა-სპასაც ჩემს ცეცხლისმფრქვეველ შუბზე ავაგებდიო“. ბოლოს ჰკითხა:

„მაშ, შენ ხარ შალვა ახალციხელი?! სად არის შენი ვაჟკაცობა, შალვა ახალციხელო?! სად არის შენი ხმალი, რომლითაც უნდა დაგემსხვრია ხალიფა ალის ზულყაფარი?!“

მძიმედ მიუგო ახალციხელმა: „ყველაფერი შენმა ბედნიერმა ვარსკვლავმა გადაწყვიტა“.

არ ისურვა გარნისის გმირის დასჯა სასტიკმა მბრძანებელმა. პირიქით — განკარგულება გასცა: „პატივი მიეგოს შალვა ახალციხელს და სამმართველოდ მიენიჭოს ქალაქნი ადარბადაგანისანი: მარანდი, სალმასი, ურმია და უშნუ“.

დღეს ძალიან ბევრი აკრიტიკებს, ივანე მხარგრძელს, რომ ის არ დაეხმარა ახალციხელებს. არადა, საკმარისი იყო ძირითადი ჯარი მიშველებოდა მოწინავე მესხებს, რომ მასაც იგივე ბედი ეწეოდა, რაც ახალციხელებს, ვინაიდან გაშლილ ველზე ქართული ჯარის გასვლა მის დამარცხებას დააჩქარებდა. ერთადერთი გამოსავალი იყო ის, რომ მხარგრძელს ფეხი არ უნდა მოეცვალა ადგილიდან, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში ქართველთა სარდალი აშკარად დაიბნა. მან უკანდახევა ბრძანა. მისი სტრატეგიით, ჯარი უნდა გაფანტულიყო, რათა გაემაგრებინათ ქალაქები და ციხე-გალავნები და ასე განეგრძოთ მტერთან ბრძოლა. მხარგრძელს ეგონა, რომ ცალკეული ციხე-გალავნისთვის გამართული უშეღავათო ბრძოლით დაასუსტებდა ჯალალის ლაშქარს, მაგრამ უკან დახევა არაორგანიზებულად მოხდა და ქართველებმა დიდი დანაკარგი განიცადეს.

გარდა მხარგრძელის შეცდომებისა, გარნისის ომში მარცხი ქართველთა უდისციპლინობის ბრალიც იყო. რადგან, არც მტერი აწუხებდა ქართველებს და, თავის მხრივ, ქართველებიც ცოცხალი თავით არ გადიოდნენ გაშლილ ველზე საომრად, „უსაქმურობისაგან მოწყენილი“ მეომრები ღვინოს მიეძალნენ და გამოთვრნენ. სარაუდოდ, ჯალალ ედ-დინის მსახურების მოსყიდულმა მოღალატე ვაჭრებმა (ვაჭრები ქართველები რომ არ იქნებოდნენ, ალბათ, ადვილი მისახვედრია) ქართველთა ბანაკში ბანგგარეული ღვინო შეიტანეს. გამთენიისას ქართველ მეომრებს ფეხზე დგომაც არ შეეძლოთ. მხოლოდ მოწინავე მესხები არ გაკარებიან ღვინოს და მათ შეძლეს ბრძოლის უნარის შენარჩუნება, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ურიცხვი მტრის შესაკავებლად და დროის მოსაგებად.

გარნისის ბრძოლიდან მეორე დღეს ჯალალი დვინისკენ დაიძრა. იქაურ ყადს უბრძანა, მუსლიმანები ცალკე გამოეყო, თვითონ კი ქრისტიანებს მისდგა და მუსრი გაავლო. შემდეგ თბილისისკენ აპირებდა გალაშქრებას, მაგრამ თავრიზიდან ამირა **შერეფ ელ მულქმა** შემოუთვალა: „შენ წინააღმდეგ შეთქმულება ეწყობაო“ და ჯალალიც მაშინვე თავრიზში გაბრუნდა, ეჭვმიტანილნი ამოწყვიტა, ადარბადაგანი და ნახიჭევანი ააოხრა. სანამ ხორეზმის შაჰი თავრიზელებთან ასწორებდა ანგარიშს, მისმა სარდალმა ორხანმა საქართველოს განძაც წაართვა.

**(გაგრძელება იქნება)**

**ვანო სულორი**

**არც ერთ ეტაპზე არ ყოფილან ქართველები და თურქები სტრატეგიული მოკავშირეები. ამის კლასიკური მაგალითია ჯალალ ად-დინი. ნაცვლად იმისა, რომ შეექმნა ანტიმონღოლური კოალიცია და მონღოლებთან ბრძოლაში გვერდით დაეყენებინა ქართველები, სარწმუნოებრივი ფანატიზმით დაბრმავებულმა, მონღოლებთან ბრძოლას თავი მიანება და საქართველო ამოიღო მიზანში. რატომ?! სულხან-საბას არაკის— «კუ და მორიელისა» არ იყოს, თურქი ჯალალ ად-დინიც იმ გვარის გახლდათ, მტერსაც და მოყვარესაც ერთნაირად რომ კბენს**



**ფრენსის ბეკონი (1561–1626),**

**ინგლისელი ფილოსოფოსი და მოაზროვნე**

სილამაზე ძვირფას ქვას ჰგავს: რაც უფრო სადაა, მით ძვირფასია.

* * *

**სწორი გზით მიმავალი კოჭლი გაუსწრებს გზასამცდარ მორბენალს.**

* * *

ცოლქმრული სიყვარული ასულდგმულებს კაცთა მოდგმას, მეგობრობა მას აკეთილშობილებს, ავხორცობა შხამავს და ამდაბლებს.

* * *

**ადამიანები, რომლებსაც ბევრი ხინჯი აქვთ, უწინარეს ყოვლისა, მათ სხვებში ამჩნევენ.**

* * *

რჩევის თხოვნა უდიდესი ნდობაა, რაც შეიძლება კაცმა კაცის მიმართ გამოიჩინოს.

* * *

**სიკვდილის მოახლოება სულით ძლიერთ ნაკლებად აშინებს, რადგან მუდამ რჩებიან იმად, რაც არიან.**

* * *

ცოდნას უნდა დაეწაფო არა პაექრობის, არა სხვათა დამცირების, არა მოგების, დიდების, ძალაუფლების ან სხვა რამ მიზნისთვის, არამედ იმისთვის, რომ ცხოვრებაში ხალხს სარგებლობა მოუტანო.

* * *

**ფიქრებს, როგორც ადამიანებს, აქვს სიჭაბუკის ხანა.**

* * *

პატივმოყვარე ადამიანები იმსახურებენ ბრძენთა სიძულვილს, ბრიყვთა აღტაცებას, არიან კერპნი მუქთახორებისა და მონები საკუთარ წადილთა.

* * *

**შიშზე საშინელი არაფერია.**

* * *

ხარბია კაცთა გონება — არც შეჩერება შეუძლია, არც სიმშვიდე, სულ წინ ისწრაფვის.

* * *

**ყოველ ადამიანში ბუნება შედის ან მარცვლეულის, ან სარეველას სახით. დროზე უნდა მოირწყას პირველი და ამოიძირკვოს მეორე.**

* * *

ბუნების ადვილად დამორჩილება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მისდამი მორჩილებით.

* * *

**თუ ადამიანი მსჯელობას დაიწყებს უტყუარი ფაქტებით, მაშინ ის ეჭვებით დაამთავრებს; მაგრამ, თუ ის საწყის ეტაპზე ეჭვებით დაიწყებს, საბოლოოდ მიაღწევს უტყუარ ფაქტებამდე.**

## იცით თუ არა, რომ:



1949 წელს მოეწყო ავტოგარბენი თბილისი — გორი — თბილისის მარშრუტით. ერთ-ერთი ავტომობილის საჭესთან ლეგენდარული მსახიობი ნატო ვაჩნაძე იჯდა.




**რუკების პირველი კრებულის გარეკანზე გამოსახული იყო მითიური ატლანტი, რის გამოც შემდგომში გამოსულ კრებულებს ატლასი დაერქვა.**



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინ არის ფედჰულა გიულენი? — ჰუმანისტი, რომელმაც ცივილიზაციების დაპირისპირების თეორიის საწინააღმდეგოდ წამოაყენა მათი დიალოგისა და ურთიერთშეღწევის იდეა; მოაზროვნე, რომლის ხედვას ისლამის არსზე მიიჩნევენ რეფორმაციად, ხოლო თვით ავტორს — მარტინ ლუთერად? თუ ეს ადამიანი არის დასავლეთის საიდუმლო აგენტი, რომელიც მსოფლიოში აშშ-ის დომინირების იდეის მქადაგებელი და ერთგული მსახურია?**

# გიულენი — დასავლეთის საიდუმლო აგენტი

**„მუსლიმური მასონობა“ — ასეა დასათაურებული ჟურნალისტ გლებ პროსტაკოვის მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომი, რომელიც ღრმად აანალიზებს ყოფილი იმამის — ფეთჰულა გიულენის მოძღვრებას, მსოფლიოს ქვეყნებში მისეული პრინციპებით მოქმედი იდეოლოგიზებული საგანმანათლებლო ქსელის თავისებურებებს, რომელშიც საქართველოც ჩაითრიეს მსოფლიო ჰეგემონობის პრეტენზიის მქონე უცხოურმა და ყოფილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი ლიდერისა და მისი ქვეშევრდომების ანტიეროვნულმა ძალებმა. ჩვენი პუბლიკაცია ამ წიგნის ავტორისა და სხვა სპეციალისტების კვლევითი შედეგების საგაზეთო მიმოხილვის სახელდახელო მცდელობაა.**





გიულენი და გიული — ეს თურქული გვარი და სახელი უცნაური გაუგებრობით არის ერთმანეთთან დაკავშირებული საქართველოს უახლეს ისტორიაში: **ფეთჰულა გიულენი** და **გიული ალასანია** — პირველის მიერ შექმნილი განათლების ქსელით მსოფლიო ორბიტაზე ჩვენი ქვეყნის ერთობლივად (პრეზიდენტი შვილის ხელშეწყობით) გაყვანის მცდელობით.

ქართული პრესა ამაზე თითქოს წერდა კიდეც, მაგრამ მალევე დაეკარგა ინტერესი.

ფეთჰულა გიულენი ჩვენს მედიაში 2016 წლის ივლისში თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობამდე პრაქტიკულად არავის უხსენებია. არც ვიცოდით, არც დავინტერესებულვართ: უიმისოდაც საკმაოდ არიან ყურადღების ღირსი მოღვაწენი, მათ შორის, იმამებიც.

თურქეთიდან აშშ-ში მისი დევნილობაც ვერ იქნებოდა ამ პიროვნებისადმი მასობრივი ცნობისმოყვარეობის გაჩენის საბაბი.

ჩვენ რა, თურქეთში ყველას პირზე ეკერაო მისი სახელი, — ვერავინ იტყვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც პენსილვანიის შტატის პატარა ქალაქ სეილორსბურგში 1999 წლიდან თავშეფარებული ღვთისმეტყველი თურქეთში გაცუდებული პუტჩის ორგანიზატორად და სულისჩამდგმელად გამოაცხადეს, მისი სახელი და გვარი არ ჩამოსულა მსოფლიო პრესის ფურცლებიდან.

რატომ?

**ვინ არის ფედჰულა გიულენი? — ჰუმანისტი, რომელმაც ცივილიზაციების დაპირისპირების თეორიის საწინააღმდეგოდ წამოაყენა მათი დიალოგისა და ურთიერთშეღწევის იდეა; მოაზროვნე, რომლის ხედვას ისლამის არსზე მიიჩნევენ რეფორმაციად, ხოლო თვით ავტორს — მარტინ ლუთერად? თუ ეს ადამიანი არის დასავლეთის საიდუმლო აგენტი, რომელიც მსოფლიოში აშშ-ის დომინირების იდეის მქადაგებელი და ერთგული მსახურია?**

ამ შეკითხვებზე ეძებენ დასაბუთებულ პასუხს ანალიტიკოსები, რომლებიც აქტიურად დაინტერესდნენ ამ პიროვნებითა და მისი მოძღვრებით.

ურიგო არ იქნება, რომ ჩვენც, შეძლებისდაგვარად, მივყვეთ განსჯა-განხილვის მათეულ კვალს. მით უფრო, რომ თურქეთის საკითხი რჩება მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში — თურქეთის პრეზიდენტის **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** მიერ ორგანიზებული მასობრივი და საყოველთაო წმენდის მიუხედავად, ტერორისტული აქტივობა ამ ქვეყანაში არ ცხრება. 2017 წლის ათვლა ახალი წლის პირველივე ღამეს ბოსფორის სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთ კლუბში სისხლიანი ტერაქტით დაიწყო — საახალწლო ზეიმის დროს „კალაშნიკოვებით“ შეიარაღებულმა ტერორისტებმა, რომლებიც არაბულად ლაპარაკობდნენ, 39 ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმეს, 69 ჰოსპიტალიზებულია, 4 — კრიტიკულ მდგომარეობაში.

19 დეკემბერს კი თურქეთში რუსეთის ელჩი მოკლეს...

აქ, ჩვენს ყურისძირში, გრძელდება ტერორიზმი, გრძელდება რეპრესიებიც და, მაშასადამე, დესტაბილიზაციის გამომწვევი მიზეზების ანალიზიც პრიორიტეტულ საკითხების რიგში პირველ ადგილზე რჩება.

**თურქეთი გარკვეულწილად კურსს იცვლის და ეს მომენტი ჩვენთვის მეორეხარისხოვანი არ უნდა იყოს. თურქეთის პარლამენტში შეიტანეს ახალი კონსტიტუციის პროექტი და წლეულსვე მოაწყობენ საკონსტიტუციო რეფერენდუმს. შედეგად თურქეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბდება. ეს კი ნიშნავს, — ერთხმად აღნიშნავენ ექსპერტები, — რომ რეჯეფ თაიფ ერდოღანი, რომელიც ხელისუფლების სათავეში უმეტესად ისლამისტების მხარდაჭერით მივიდა, ბოლოს მოუღებს სამოქალაქო თურქეთის თითქმის საუკუნოვან ისტორიას, რომელსაც საფუძველი მუსტაფა ქემალ ათათურქმა ჩაუყარა...**

**გლებ პროსტაკოვი,** ავტორი ნაშრომის „მუსლიმური მასონობა“, მიიჩნევს, რომ გიულენის მოძღვრებამ „შეიძლება დამალოს მსოფლიო, ან თავიდან ააწყოს იგი“, ხოლო თურქეთისა და საერთაშორისო პოლიტიკის „ტექტონიკური ძვრების მაპროვოცირებელი არის ერთადერთი კაცი“ — ფეთჰულა გიულენი, თურქეთის 2016 წლის 16 ივლისის ამბოხის ბელადი, რუხი კარდინალი, რომელსაც ლამის მთელ მუსლიმურ სამყაროზე აქვს გავლენა.

ამას თითქმის ყველა აღიარებს, მაგრამ **დღემდე ვერ გაურკვევიათ, ვისი ინტერესების განსახორციელებლად იღვწის ეს მოქალაქე — ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსი, მსოფლიო ისლამისა თუ საკუთარი.**

სამაგიეროდ, ნათელია, რომ შეუმდგარმა პუტჩმა ერდოღანს მისცა კარტბლანში ოპოზიციის წინააღმდეგ რეპრესიული ღონისძიებების დასაწყებად.

**პუტჩისტებზე გამარჯვებით ერდოღანმა „კოლოსალური მორალური უპირატესობა მოიპოვა თავის მოწინააღმდეგეებზე შინ თუ გარეთ. მან დემონსტრაციულად შეწყვიტა ევროინტეგრაციის პროცესი და უარი თქვა თავისი ქვეყნის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის მინიჭების მოთხოვნაზე, სათანამშრომლოდ ხელი გაუწოდა შანხაის ორგანიზაციას, რომლის წევრები არიან რუსეთი და ჩინეთი. შეურიგდა რუსეთს და ჩაერთო „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სირიაში მიმდინარე საომარ კამპანიაში“.**

თურქეთის წინააღმდეგ მიმართული ტაქტიკა, როგორც ექსპერტები წერენ, „მაქსიმალურად პერსონიფიცირებულია და მისი სახელია ფეთჰულა გიულენი. ერდოღანმა საჯაროდ და ოფიციალურად მოსთხოვა ვაშინგტონს გიულენის თურქეთისთვის გადაცემა. **ბარაკ ობამას** ადმინისტრაცია ფეხს ითრევს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას დადებული აქვს ხელშეკრულება ექსტრადიციის შესახებ. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი პოზიციას **დონალდ ტრამპის** ინაუგურაციის შემდეგ შეიცვლის, თუმცა ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდია.

აქ ერთი მომენტის ხაზგასმაა, მგონი, აუცილებელი: **ერდოღანმა ისიც კი განაცხადა, რომ გიულენის სტრუქტურები ჰილარი კლინტონის საარჩევნო კამპანიას აფინანსებდნენო.**

ესეც ერთ რამედ ღირს!..

თურქეთში გადატრიალების მონაწილეების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიული ღონისძიებები ერთ შემთხვევაში განსაკუთრებულ სპეციფიკურ ვითარებას აწყდება. ერდოღანი იურიდიულად ვერ ახერხებს გიულენის მიერ დაარსებული მოძრაობის — „ჰიზმეთის“ („მსახურების“) აკრძალვას. საქმე ის არის, რომ ამ მოძრაობას არ აქვს ფორმალური სტრუქტურა, უჯრედები, დაწერილი კოდექსი და მავანის მიკუთვნება ამ ორგანიზაციისთვის პრაქტიკულად გამოკვეთილი არ არის. „იგი (ეს მოძრაობა) შექმნილია განათლების, სამეცნიერო და რელიგიური დოქტრინის შეპირაპირებაზე“. მისი წევრებისა და აგენტების შემაკავშირებელი ქვეყანაში თუ მის საზღვრებს მიღმა არის ადამიანური ერთგულება და მადლიერების განცდა.

გიულენის მიერ შექმნილი ქსელი სახელმწიფო ქსოვილში არის ჩაწნული, ამასთანავე, ისეთი დახვეწილი და მტკიცეა, რომ მისი ერთი დარტყმით მოშლა შეუძლებელია.

გიულენი **საიდ ნურსის** მიმდევარია — ათათურქის თანამედროვისა და მისი მთავარი ოპონენტის. როგორც ცნობილია, მუსტაფა ქემალ ათათურქმა თურქეთის განათლებისა და სახელმწიფო მმართველობის სისტემები გაწმინდა „ისლამის მონობისგან“, რითაც უამრავი მომხრე შეიძინა, მაგრამ — არც ნაკლები მოწინააღმდეგე, რომლებიც ნურსის გარშემო გაერთიანდნენ.

ისლამის მოდერნისტული მიმდინარეობა — ასე შეიძლება დავახასიათოთ ნურსის მიერ შექმნილი მოძრაობა, რომელიც სალაფიტების კონსერვატიზმს, ალავიტებსა და ვაჰაბიტებს უპირისპირდება. ნურსიზმი გულისხმობს განათლებულობას, მისთვის უცხო არ არის პროგრესი და რელიგიური შემწყნარებლობა.

**გიულენმა, — გვეუბნებიან ექსპერტები, — საიდ ნურსის მოძღვრება თავისი მსოფლმხედველობის ჭრილში გაატარა, გაათანამედროვა და უფრო მოქნილი და გამოყენებითი გახადა.**

ასე შეიქმნა გიულენიზმი.

ყოფილი იმამი გიულენი 2016 წლის 16 ივლისის გადატრიალების არც წინ, არც პუტჩის დროს არსად გამოჩენილა, მაგრამ ყველამ, ვინც კი ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ მოვლენას, მოისმინა, რომ მაინცდამაინც იგი დაასახელა თურქეთის პრეზიდენტმა პუტჩის ორგანიზატორად. არმია კი მხოლოდ იარაღი აღმოჩნდა გიულენისტების ხელში, რომლებმაც მოახერხეს ამ მაქსიმალურად დაცულ სტრუქტურაში შეღწევა.

თურქეთის საზოგადოებრივი აზროვნების თავისებურებაში გარკვეული მეცნიერების დაკვირვებით, სამხედროები არიან ქვეყნის საერო მოწყობის დამცველები, მაგრამ, მათივე მტკიცებით, ბოლო პერიოდში „საეროობის იდეა, ისევე, როგორც ათათურქის ხატება, თანდათან იცრიცება და ამ რეალობას სამხედროებიც კი შეურიგდნენ“ (**ილგარ ველიზადე**, აზერბაიჯანელი მეცნიერი).

ერდოღანის საშინაო პოლიტიკა სწორედ ამ მიზნისკენ იყო მიმართული და მას (ერდოღანს) ხელი გიულენმა შეუწყო: „იმამ გიულენის მიერ ტელეეკრანებიდან ერთხელ წარმოთქმულმა სიტყვამ, იმამისა, რომელსაც ხელეწიფებოდა შეუერთებლის შეერთება, შეძლო ერთდროულად საერო ხელისუფალთა და ისლამისტთა მხარდაჭერის მოპოვება“.

პუტჩის წინა ხაზზე არმია გამოვიდა, მაგრამ, როგორც ვთქვით, ამბოხის ორგანიზატორად დასახელდა გიულენი და არა შეიარაღებული ძალების სარდლობა.

რატომ?

ამ შეკითხვას ექსპერტები ასე უპასუხებენ: არმიას შეუძლია ძალაუფლების ხელში აღება, მაგრამ ქვეყნის მენეჯერული მართვის რესურსი არ აქვს, ამიტომ სავარაუდოა, რომ ერდოღანის დამხობის შემდეგ სამხედროებთან შეთანხმებულ გიულენისტებს უნდა მიეტაცებინათ ძალაუფლება და ამ თვალსაზრისით 15-16 ივლისის მოვლენები თურქეთის ისტორიაში საბოლოო გადატრიალებად უნდა ასახულიყო.

**„გიულენის დემონიზაცია ერდოღანის კიდევ ერთი გათვლილი ტაქტიკური სვლაა: გენერლებს რომ აპატიმრებს, იგი არმიის წინააღმდეგ კი არ გამოდის, რომელიც ჯერ კიდევ გავლენიან და საშიშ ძალად რჩება, არამედ ებრძვის გიულენისტებს არმიის რიგებში. მასწავლებლებისა და უნივერსიტეტის ლექტორების დაპატიმრებით იგი განსხვავებულად მოაზროვნეებს კი არ უპირისპირდება, არამედ გიულენიზმის კიბოს, რომელიც თურქეთს მეტასტაზებად მოედო“.**

რატომ მიიჩნევს თურქეთის პრეზიდენტი ქვეყნის უპირველეს მტრად მაინცდამაინც ერთ, ცალკე აღებულ მქადაგებელს და არა არმიას, რომელმაც გადატრიალების მოწყობა სცადა?

მიმომხილველები ამის მიზეზს გიულენის პიროვნულ თავისებურებაში ხედავენ. **ღვთისმეტყველმა, რომელიც თავის დროზე სტამბოლის ქუჩებში უამრავ მსმენელს აგროვებდა, სახელი გაითქვა, როგორც შესანიშნავმა ორატორმა. მისი ემოციური გამოსვლები ქადაგებისა და არაჩვეულებრივი მსახიობური ნიჭის შერწყმით გამოირჩეოდა, ატყვევებდა უზარმაზარ აუდიტორიას. თურქეთში იგი სიბრძნის განსახიერებად, ხატად ჰყავდათ წარმოდგენილი.**

„ერთხელ იგი თავისი მომხრეების წინაშე გამოდიოდა და ფორთოხალს მიირთმევდა, — წერს აზერბაიჯანის ანალიტიკური ცენტრის — „ატლასის“ ხელმძღვანელი **ელხან შაჰინოღლუ,** — ლაპარაკობდა და ფორთოხლის კანს ხალხში ისროდა. ადამიანები აგროვებდნენ მათ, შინ მიჰქონდათ და ინახავდნენ“, როგორც სიწმინდეს.

ყვებიან, რომ ამგვარი ამბები იშვიათი არ იყო.

მიმოხილვა მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

**ლიმონის ხეების სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პირობებზე — კლიმატზე, საძირეზე, აგროტექნიკასა და სხვა ფაქტორებზე, მაგრამ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ნორმალური აგროტექნიკური მოვლის პირობებში, 80-100 წლამდეა უზრუნველყოფილი, ლიმონის მოსავლიანობა 45 წლამდე იმატებს, ხოლო შემდეგ იკლებს. ლიმონი უნდა მოიკრიფოს მაშინ, როდესაც ნაყოფი მიიღებს ღია მწვანე შეფერილობას, ოდნავ გაყვითლდება და მიაღწევს სტანდარტულ სიდიდეს ე. ი. 4-6 სმ-ის დიამეტრს.**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# ლიმონის კულტურა და მისი მოვლა



**ლიმონი (Citrus Limon) ყველგან ითვლება ძვირფასი სამკურნალო თვისებების ნაყოფად. სხვა ციტრუსოვნებთან შედარებით მდიდარია C ვიტამინით და ორგანული მჟავებით. მარადმწვანე საშუალო ზომის მცენარეა. ტროპიკული ჰავის პირობებში წარმოშობის გამო მას საზამთრო შესვენების პერიოდი არ აქვს. ხელსაყრელ გარემოში მთელი წლის განმავლობაში შეუძლია აქტიური ვეგეტაცია, ყვავილობა, ნაყოფის მომწიფება.**



ლიმონი ციტრუსოვნებს შორის ყველაზე ნაკლებად უძლებს ყინვას. ახალგაზრდა ყლორტები, ყვავილი და ნაყოფი მინუს 2-3 გრადუს ტემპერატურაზე, ხოლო ფოთლები და ერთწლიანი ტოტები მინუს 5-6-ზე ილუპება. კანი, ზომიერად სქელი ან თხელი, მომწიფებისას ყვითლდება, რბილობი ნაზი აქვს, უხვწვნიანი, გემო — სასიამოვნო, წილაკი — 9-12 ცალი, თესლი — მრავალი. რბილობის ქიმიური შედგენილობა: შაქარი — 1,7%, მჟავიანობა — 6-7%, წყალი — 87,5%.

ვეგეტაციურად ნამრავლი მცენარეები (დამყნილი და კალმით გამრავლებული) დათესლთან შედარებით ადრე იწყებს მსხმოიარობას. მყნობით მიღებული ნერგები პირველ ნაყოფს IV-V წელს იძლევა, ხოლო სრულ მსხმოიარობას ლიმონი მე-8 წელს იწყებს. თესლით ნამრავლი მცენარეები მსხმოიარობას მე-10 წელს იწყებს.

**ლიმონის ხეების სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პირობებზე — კლიმატზე, საძირეზე, აგროტექნიკასა და სხვა ფაქტორებზე, მაგრამ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ნორმალური აგროტექნიკური მოვლის პირობებში, 80-100 წლამდეა უზრუნველყოფილი, ლიმონის მოსავლიანობა 45 წლამდე იმატებს, ხოლო შემდეგ იკლებს.**

ლიმონი უნდა მოიკრიფოს მაშინ, როდესაც ნაყოფი მიიღებს ღია მწვანე შეფერილობას, ოდნავ გაყვითლდება და მიაღწევს სტანდარტულ სიდიდეს ე. ი. 4-6 სმ-ის დიამეტრს.

მომწიფებული ნაყოფი შეიძლება შერჩევით მოიკრიფოს ან მთლიანად. კრეფა წარმოებს სეკატორით და ნაყოფი უნდა ჩაიდოს სპეციალურ ყუთში. კრეფა უნდა აწარმოონ მშრალ ამინდში, ფრთხილად, კანის დაზიანების გარეშე. ახარისხებენ ზომების მიხედვით.

*** ყინვისგან დაცვის ღონისძიებებს ყოფენ ორ ჯგუფად: არაპირდაპირ და პირდაპირ ღონისძიებებად. არაპირდაპირს მიეკუთვნება ყველა ის ღონისძიება, რომლებიც მიმართულია მცენარეთა ყინვაგამძლეობის უნარის მომატებისკენ, მაგალითად, კულტურების სწორი დარაიონება და ადგილის მოძებნა, გართხმული ფორმის გამოყენება, შემჭიდროებული ნარგავები, ყინვაგამძლე საძირეზე მყნობა, საშემოდგომო სიდერატების თესვა, დამულჩვა, მორწყვა, ზრდის პროცესების რეგულირება, ნაზარდების წაჩქმეტა, მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ. ყინვისგან დაცვის პირდაპირ ღონისძიებებს წარმოადგენს საზამთროდ მიწის შემოყრა, ინდივიდუალური და ჯგუფური შეფუთვა და ღია გათბობა.**

ლიმონის კულტურაზე მიწის შემოყრა შეიძლება ფესვის ყელიდან 30-35 სმ სიმაღლეზე 10 წლამდე, რომლის მნიშვნელობა არის ის, რომ მკაცრი ყინვებისას შეიძლება დაილუპოს მიწის ზევით დარჩენილი მცენარის ნაწილი, ხოლო მიწით დაფარული ნაწილი დარჩეს დაუზიანებელი, რომლისგანაც შესაძლებელია მცენარის სწრაფი აღდგენა.

*** მიწის შემოყრა წარმოებს ნოემბრის მეორე ნახევარში, არაუგვიანეს 1 დეკემბრისა. ამისათვის მცენარეს უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია 3%-იანი ბორდოს ხსნარით. შემოსაყრელი მიწა უნდა იყოს სუფთა, ზომიერად ტენიანი. მიწის შემოცლა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 1 აპრილისა.**

## ლიმონი ოთახის პირობებში

ლიმონი მეტად სუსტი ყინვაგამძლე მცენარეა, მაგრამ, თუ ოთახის პირობებში მის მოვლა-მოყვანას შევისწავლით, კარგ მოსავალს მივიღებთ (20-35 ცალს ძირიდან) და, როგორც იაპონელმა მეცნიერ-ფსიქოლოგებმა დაადგინეს, ოთახში არა მხოლოდ სასიამოვნო სუნი დადგება, არამედ ის ხელს შეუწყობს ატმოსფეროს გაჯანსაღებას. ფიტონციდები კი მრავალი დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს მოსპობს.

ლიმონის საოთახე კულტურისათვის ზოგიერთი მკვლევარი ირჩევს თესლნერგს ან კალმების დაფესვიანებით მიღებულ ნერგებს. როგორც ცნობილია, თესლნერგი გვიან (10-12 წელი) ისხამს ნაყოფს, აგრეთვე, უმეტეს შემთხვევაში ვერ იძლევა ისეთ ნაყოფს, როგორიც გვსურს, ამიტომ საოთახო კულტურისათვის უმჯობესია ლიმონის ნერგების კალმების დაფესვიანებით გამოყვანა. შერჩეული ჯიშისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი კომპაქტური, კარგად შეფოთლილი ვარჯი, ზრდის შედარებით დაბალი ენერგია. კასრებში ლიმონის დასარგავად რეკომენდებულია 50% ბაღის მიწა, 25% ნეშომპალა (გადამწვარი ნაკელი) და 25% ქვიშის ნაზავი.

ნერგი უნდა ჩაირგას დაახლოებით 30 სმ სიმაღლისა და 30 სმ სიგანის ჭურჭელში, რომელსაც უკეთებენ 4-5 ერთეულ 5 მმ-იან ნახვრეტს. დარგვის შემდეგ უნდა დაისვას ჭიგო და აიკრას. ჭურჭლის ზომა და მოცულობა იცვლება მცენარის ხნოვანების მიხედვით, 6-8-წლიანი ნერგებისთვის საჭიროა 40X55 სმ ჭურჭელი, რომელიც შეიძლება იყოს თიხის, ხის, ლითონის, პლასტმასის. მცენარის ტენით უზრუნველსაყოფად აუცილებელია მორწყვა საჭიროების მიხედვით, ასევე ჰაერაცია, ამიტომ ოთახში აუცილებელია ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის ამაღლება.

დადგენილია, რომ ერთი ნაყოფის წარმოსაქმნელად 8-10 ფიზიოლოგიურად აქტიური ფოთოლია საჭირო. თუ ეს ასე არ არის, იმ წელს ლიმონი ნაყოფს არ იძლევა — საკვები ნივთიერებების უკმარისობის გამო ყვავილები და ნასკვები არ ვითარდება და ცვივა.

*** გადარგული მცენარე პირველ ხუთ დღეს უნდა დაიდგას ჩრდილში, შემდეგ მოირწყას. მორწყვა უნდა ჩატარდეს 2-3 დღეში ერთხელ, სასურველია დაწვიმებით, საღამოს ან ადრე დილით.**

*** ნერგების პირველი გასხვლა უნდა მოხდეს 20-25 სმ-ის სიმაღლეზე, რის შემდეგაც მცენარე გამოიღებს პირველი რიგის 3-5 ტოტს. მასზე ჩნდება მეორე რიგის ყლორტები და ა. შ. მეოთხე რიგის ყლორტებზე უკვე ნაყოფი წარმოიქმნება. პირველი, მეორე და მესამე რიგის ყლორტები ისხვლება 20-25 სმ სიგრძეზე და ამით, ძირითადად ვარჯის ფორმირება დამთავრებულია. გასხვლას აწარმოებენ ადრე გაზაფხულზე, ვეგეტაციის დაწყების წინ.**

*** ნიადაგის გასანოყიერებლად საჭიროა ორგანული სასუქები — გადამწვარი ნაკელი, ნეშომპალა. მინერალური სასუქები, სჯობს, შეტანილ იქნას ხსნარის სახით: ერთ მცენარეზე ერთი სუფრის კოვზი აზოტი, ერთი ჩაის კოვზი კალიუმის მარილი, ორი სუფრის კოვზი ფოსფორი.** სასუქების შეტანა უნდა მოხდეს გაზაფხულზე, გასხვლის შემდეგ, ვეგეტაციის დაწყებამდე და მეორე ვეგეტაციის დაწყების წინ (ივლისი). გასხვლისა და განოყიერების შემდეგ საჭიროა ნიადაგის ზედაპირის გაფხვიერება, რომელიც უნდა განმეორდეს გაზაფხულის პერიოდში რამდენიმეჯერ, ისე, რომ ნიადაგის ზედაპირს არ ჰქონდეს ქერქი.

* გაზაფხულზე, როცა ჰაერის ტემპერატურა პლუს 10 გრადუსზე ზევით აიწევს, მცენარე გარეთ უნდა გავიტანოთ, რამდენიმე დღეს უნდა მოვარიდოთ მზის პირდაპირ დასხივებას. მცენარეების ოთახის პირობებში შეტანა უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც ჰაერის ტემპერატურა პლუს 10 გრადუსია და იწევს დაბლა.



*** თუ მცენარეს გაუჩნდა მავნებლები, წამლობა უნდა ჩაუტარდეს. 10 გრამი საპონი უნდა გაიხსნას 1 ლიტრ წყალში და გაიწმინდოს მცენარე რბილი ნაჭრით. წამლობა ტარდება ყვავილობამდე და გამონასკვის შემდეგ. ნაყოფის გამონასკვის შემდეგ კარგ შედეგს იძლევა ბორდოს ხსნარით შეწამვლა.**

*** ოთახის პირობებში კარგ მოსავალს იძლევა ლიმონის შემდეგი ჯიშები: „ქართული“, „მეიერი“, „ვილაფრანკა“.**

ახალგაზრდა მცენარეების ზრდა-განვითარება, მსხმოიარობა, აგრეთვე, ყინვაგამძლეობა დიდად არის დამოკიდებული მწკრივთაშორისებში ნიადაგის მოვლის ხერხებზე.

* მწკრივთაშორისებში მრავალწლიანი ბალახების თესვა რეკომენდებულია მანამ, სანამ ნარგავები ხუთი წლისა გახდება.

წითელმიწა ნიადაგებზე ახალგაზრდა ნარგავების მოვლის ძირითადი ღონისძიებებია:

1. მწკრივთაშორისებში ნიადაგის მოვლის ხერხების დიფერენცირებულად გამოყენება პლანტაციის ადგილმდებარეობის, რელიეფისა და ნიადაგური პირობების გათვალისწინებით;

2. ნიადაგის დამულჩვა (ტორფი, მწვანე ორგანული მასა) შავი პოლიეთილენის აფსკით, ტოლით ან რეზინის საფარით;

3. ფერდობებზე გაშენებულ ახალგაზრდა ბაღებში ნიადაგის ეროზიასთან საბრძოლველად და ნაყოფიერების ასამაღლებლად მიზანშეწონილია მრავალწლიანი ბალახნარევების, მარცვლოვან-პარკოსანთა თესვა. ამასთანავე, მცენარეებზე ბალახების უარყოფითი გავლენის შესამცირებლად საჭიროა:

— ზედმეტად დასარევლიანებულ ბაღებში, მრავალწლიანი ბალახებისა და სიდერატების ჩაბარვა;

— დამულჩვისა და ბალახთესლიან სიდერატებზე ან ანეულზე გადასვლისას ნიადაგის დამუშავება მცენარეთა ფესვთა სისტემის განლაგების გათვალისწინებით.

## ლიმონის კულტურის ნიადაგის განოყიერება

ლიმონი უხვად მსხმოიარე მცენარეებს მიეკუთვნება. ის ერთსა და იმავე ნაკვეთზე დიდხანს იზრდება. ყოველწლიურად მოსავალთან ერთად ნიადაგიდან გამოაქვს საკმაო რაოდენობის საკვები ნივთიერებები და ალარიბებს მას.

განოყიერებაში ცალკეული საკვები ნივთიერებების როლის შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ელემენტის იმ რაოდენობის ცოდნას, რომელსაც გამოიტანს მცენარე ნიადაგიდან მოსავლის სახით. მაშასადამე, ნაყოფის მიერ ნიადაგის ასეთი გაღარიბება უნდა შეივსოს მათი განოყიერების საფუძველზე.

**აზოტიანი სასუქები.** ლიმონის კულტურისთვის აგროწესების მიხედვით საჭიროა ბაღში აზოტიანი სასუქების ყოველწლიური შეტანა – მისი წლოვანების, მოსავლის დონისა და ნიადაგის განოყიერების გათვალისწინებით. ნეშომპალა-კარბონატულ, ალუვიურ, გაეწრებულ, წითელმიწა, ყომრალ ნიადაგებზე გაშენებულ ბაღებში შეაქვთ:

**1-3 წლამდე – 30-40 გ/მცენარეზე; 4-5 წლამდე – 60-80 გ/მცენარეზე; 6-8 წლამდე – 100-150 გ/მცენარეზე; 9 წელზე მეტი – 200-250 გ/მცენარეზე.**

აზოტიანი სასუქების დასახელებული ნორმა ლიმონ „ქართულის“ ყველა წლოვანების ბაღში 20-25 პროცენტით უნდა გადიდდეს.

**ფოსფორიანი სასუქები.** ფოსფორზე მცენარის მოთხოვნა დამოკიდებულია მის ბიოლოგიურ თავისებურებებზე, აზოტით კვების წყაროსა და ნიადაგში მის შემცველობაზე, რომლის გარეშე არც ერთ ცოცხალ უჯრედს არსებობა არ შეუძლია. ფოსფორის დეფიციტის პირობებში მკვეთრად მცირდება ან საერთოდ ჩერდება რეპროდუქციული ორგანოების წარმოქმნა.

**კალიუმიანი სასუქები.** კალიუმი მნიშვნელოვანი რაოდენობით შედის ნაყოფში და ვეგეტატიურ ორგანოებში. ამ ელემენტის სიმცირის შემთხვევაში მცენარეებს უვითარდება წვრილი ფოთლები, რომლებზეც შეინიშნება კალიუმის სიმცირის სიმპტომი – „კიდეების სიდამწვრე“. ნაყოფები წვრილია, თხელი და სრიალა კანით, მუქი ფერის ლაქებით. კალიუმით შიმშილის დროს კიდევ უფრო ძლიერდება ეს სიმპტომები, რომელთა გამოც მინიმუმამდე ეცემა მათი მოსავალი და უარესდება ნაყოფის ხარისხი.

**ორგანული სასუქები.** ლიმონის კულტურის განოყიერების სისტემაში პირველი ადგილი უკავია ორგანულ სასუქებს. ნიადაგში ორგანული ნივთიერებების სიმცირისას ხდება ყვავილებისა და ნასკვების ინტენსიურ ჩამოცვენა. ორგანულ სასუქად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი ყველა ფორმა: ნაკელი, ბიოჰუმუსი, ტორფკომპოსტები, ტორფფეკალური კომპოსტები და სხვა, რომელთა ნორმები იცვლება მცენარის წლოვანებისა და ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით.

**რეზო ჯაბნიძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი**

ქეთევან შოშიაშვილი:

# ახალ სახელმძღვანელოებში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს ქართულ კულტურაზე, ახალგაზრდებს მასზე მწირი წარმოდგენა რომ არ ჰქონდეთ

**უკვე მერამდენე წელია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გვთავაზობს რეფორმებს, რომლებიც ცოდნის ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს, თუმცა ნათელია, რომ რეფორმებმა დიდად ვერ გაამართლა და იმაზე ცუდი მდგომარეობაა ქვეყანაში წიგნიერების თვალსაზრისით, ვიდრე უწინ იყო. საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოებში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ქეთევან შოშიაშვილი.**



**— ისტორიის საფუძვლიანად შესწავლის ერთ-ერთი წინაპირობა სასწავლო პროგრამებისთვის სწორად შერჩეული სახელმძღვანელოებია. არის ეს სტანდარტი დაცული?**

— ისტორიის შესწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში არასწორადაა წარმართული. ხშირად სახელმძღვანელოები გადატვირთულია თარიღებითა და ისტორიული წყაროებით, რაც არასწორია. VI-VII კლასელი ბავშვისთვის რთულია მხოლოდ წყაროზე დაყრდნობით რომელიმე ქვეყნის ისტორიის შესწავლა. ვფიქრობ, სწავლების ამ საფეხურზე მოზარდისთვის „სახალისო“ ისტორიის შეთავაზება საჭირო, რომელიც შედარებით მარტივად გასაგები იქნება. გარდა ამისა, სწავლების მულტიმედიური მეთოდების ჩართვა აუცილებელია. არსებობს უამრავი დოკუმენტური ფილმი, რომლებიც ისტორიის უკეთ აღქმასა და გაგებაში დაეხმარება ახალგაზრდას. საგაკვეთილო პროცესში ვიზუალიზაციითა და პედაგოგის ახსნით მოსწავლეს მეტი ინტერესი გაუჩნდება საგნისადმი და ისეთი კატასტროფული შედეგებიც არ გვექნება, როგორიც დღეს გვაქვს.

**— XI კლასის სასწავლო სახელმძღვანელოში, რომლითაც ერთად ისწავლება საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიები, საკმაოდ მწირი ინფორმაციაა საქართველოს ისტორიაზე. ამას ისიც ემატება, რომ ქრონოლოგია არ არის დაცული. როგორ ფიქრობთ, რა სტანდარტები უნდა იყოს გათვალისწინებული, ახალგაზრდებს ისტორიის შესწავლა რომ გაუადვილდეთ?**

— აჯობებს, მსოფლიო ისტორია ცალკე ისწავლებოდეს, თუმცა, საკითხები, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციასთან ასოცირდება, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ფართოდ უნდა იყოს განხილული. **XI კლასის სასწავლო სახელმძღვანელოში მასალები საკმაოდ დიდია, არ არის დაცული ქრონოლოგია და გადატვირთულია ისტორიული პერსონაჟების სახელებითა და თარიღებით, რაც მოსწავლეს სწავლის ინტერესს უკარგავს.** საქართველოს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და, როცა ამ მოცემულობას მსოფლიო ისტორია ემატება, მოსწავლე ცდილობს, თავი აარიდოს რთული საგნის სწავლას. სწორედ აქედან იწყება რიგი პრობლემებისა.

**ეროვნული თვითშეგნება და ქვეყნის სიყვარული ისტორიის ცოდნაზეა დამოკიდებული და მისი ამაღლება სასკოლო სახელმძღვანელოებით უნდა ხდებოდეს.** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მეტი დრო უნდა დაუთმოს სახელმძღვანელოების პრობლემების განხილვას. სასურველი შედეგის მოსაპოვებლად პერიოდულად უნდა გადაიხედოს სახელმძღვანელოები და გაუკეთდეს კორექტირება. აუცილებელია, ახალ სახელმძღვანელოებში ყურადღება გამახვილდეს ქართულ კულტურაზე, რადგან ახალგაზრდებს ხშირად მწირი წარმოდგენა აქვთ მშობლიურ კულტურასა და ყოფაზე. მინდა, **აღვნიშნო სისტემის საშინელი ხარვეზი, რომელიც მთელი რიგი სამეცნიერო დარგების გაერთიანებას გულისხმობდა. სწორედ ამ რეფორმამ დააზარალა უამრავი მოსწავლე და სხვადასხვა საგნის შესწავლის ინტერესი დაუკარგა, რაც უარყოფითად აისახა სწავლის ხარისხზეც.**

ესაუბრა **ეკა ზარნაძე**

Die Presse:

# ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი: მშვიდობა ჩვენს კონტინენტზე შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის მონაწილეობით

**ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი სებასტიან კურცი Die Presse-სთან ინტერვიუში ყველას მოუწოდებს, მშვიდად შეხვდნენ იმ ფაქტს, რომ დაიწყო დონალდ ტრამპის ერა. მისი სიტყვებით, აშშ-სა და რუსეთს შორის დაძაბულობის შენელებას, შესაძლოა, პოზიტიური ეფექტი მოჰყვეს ევროპისთვისაც.**



„აშშ-ის ყოველი პრეზიდენტი თავის აქცენტებს აკეთებდა. თავისთავად თეთრი სახლის დემოკრატი პატრონის შეცვლა რესპუბლიკელით ცვლილებებს გამოიწვევს — მით უფრო, რომ ეს რესპუბლიკელი დონალდ ტრამპია.

მეტიც, საჭირო არ არის თავის მტვრევა მის წინასაარჩევნო სენტენციებზე. პრეზიდენტ ტრამპზე მისი მოქმედებების მიხედვით უნდა ვისაუბროთ“, — დარწმუნებულია კურცი. მინისტრი ამას იქიდან გამომდინარე ასკვნის, რომ **„ტრამპი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ფსონს ჩამოდის ტერორიზმთან ინტენსიურ ბრძოლაზე. ამას გარდა, მაქვს საფუძველი, იმედი ვიქონიო, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის დაძაბულობის განმუხტვა პოზიტიურად იმოქმედებს ევროპაზე“.** „მშვიდობა ჩვენს კონტინენტზე, — ხაზს უსვამს ავსტრიის შიდაპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი, — შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის მონაწილეობით. მიმაჩნია, რომ ევროკავშირმა, აშშ-ისგან დამოუკიდებლად, უნდა გადადგას ნაბიჯი რუსეთისკენ“. ერთიანი ევროპული არმიის შექმნაზე სებასტიან კურცმა ეჭვი გამოთქვა: „შესაძლებელია კი საერთოევროპული არმიის შექმნა ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ?“

„სამხედროთა ევროპაში გაგზავნის გადაწყვეტილებას იღებენ თითოეული სახელმწიფოს პოლიტიკოსები ცალცალკე, — თქვა მან, — ამასთანავე, ბუნებრივია, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ სამხედრო თანამშრომლობა“. სირიაში რუსული ინტერვენციის შედეგების კომენტირებისას კურცმა მიანიშნა, რომ **„სირიაში სამხედრო ოპერაციების წყალობით რუსეთის წონა საერთაშორისო ასპარეზზე გაიზარდა და ის უფრო სერიოზული მოთამაშე გახდა მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან ძვირი დაუჯდა — გაუარესდა მისი ეკონომიკური მდგომარეობა**“. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ „ავსტრია, რომელიც ამჟამად ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას თავმჯდომარეობს, გეგმავს აქცენტის გაკეთებას ისეთ თემაზე, როგორიცაა რადიკალიზაცია. აი აქ აშშ-სა და რუსეთს შეთანხმებულად შეუძლიათ იმოქმედონ.

ამას გარდა, რუსეთი და დასავლეთი, რეგიონის სხვა მოთამაშეებთან ერთად, დასხდებიან რა მოლაპარაკების მაგიდასთან, შეძლებენ სირიის კონფლიქტის გადაწყვეტას. საკითხის სამხედრო გზით მოგვარებას კი, რომელშიც ნაწილობრივ რუსეთიც მონაწილეობს, ადამიანების ტრაგედიამდე, მშვიდობიანი მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ დანაკარგებამდე მივყავართ“.



# უძველესი პალმირის განადგურება გრძელდება

## ახლო აღმოსავლეთი დონალდ ტრამპის ახალი პოლიტიკის მოლოდინში

**სირიის სახელმწიფო ტელევიზია და მის კვალდაკვალ დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების მიერ იუნესკოს მიერ მემკვიდრეობის სიაში შეტანილ უძველეს ნაგებობათა კომპლექსის ხელყოფის შესახებ, რომელიც პალმირის ახლოს მდებარეობს. კერძოდ, მთლიანად დანგრეულია უძველესი თეატრის ფასადი.**

თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოების მიხედვით, იმ შენობების დანგრევა, სადაც 2026 წლის მაისში პალმირის გათავისუფლების აღსანიშნავად უკრავდა ორკესტრი, მოხდა 26 დეკემბრიდან 10 იანვრამდე პერიოდში. ინფორმაციას ისტორიული ძეგლების დანგრევის თაობაზე სირიის სიძველეებისა და მუზეუმების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მამუნ აბდულკარიმიც ადასტურებს.

იუნესკოს გენერალური დირექტორის — **ირინა ბოკოვის** თქმით, საუბარია „ახალ სამხედრო დანაშაულზე და უდიდეს დანაკარგებზე მთელი კაცობრიობისთვის“. მაგრამ ნგრევის საფრთხე ჯერაც არსებობს, რადგან სირიის არმია უძველეს ოაზისს ჯერ ვერ გაათავისუფლებს.

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ტერორისტული ორგანიზაციის დანაშაულში აშშ-ის მონაწილეობაზეც მიანიშნა. მას მიაჩნია, რომ პალმირაზე თავდასხმის პასუხისმგებლობა ვაშინგტონს ეკისრება. „უპირველესად, გულახდილად რომ ვთქვათ, „ისლამური სახელმწიფო“ აშშ-ის ზედამხედველობით გამოჩნდა. თავიდან ის მხოლოდ ერაყში მოქმედებდა, შემდეგ კონფლიქტი დაიწყო სირიაში და მას ეწოდა „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“, ანუ ერაყისა და სირიის“, — განაცხადა სირიის ლიდერმა, ახსენა თურქეთის როლიც (ტერორისტების ფინანსური მხარდაჭერა და სირიის ნავთობის უკანონო ვაჭრობაში ჩართვა).

ბაშარ ასადმა პროვინცია ჰომსის აღმოსავლეთში დეკემბრის მოვლენებზეც გაამახვილა ყურადღება: „ყველაზე ნათელი მაგალითი უახლოეს წარსულში არის პალმირის აღება “ბოევიკების” მიერ რამდენიმე კვირის წინათ. აშშ-ის შემრიგებლური დამოკიდებულებით, ამ რაიონში ამერიკული დრონების არსებობით მათ კვლავ მოახერხეს ქალაქის ხელში ჩაგდება, უდაბნოს გავლით მოახდინეს ქალაქის ოკუპირება. დღეს ჩვენ ვსაუბრობთ ტერორისტების შეტევებზე, ამერიკელები კი არაფერს აკეთებენ მათ შესაჩერებლად“.

ეს ყველაფერი აშშ-ის წინა ადმინისტრაციის პერიოდს უკავშირდება. 20 იანვრიდან, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისთანავე, თეთრი სახლის ოფიციალურ საიტზე გაჩნდა განყოფილება „ამერიკა უპირველეს ყოვლისა. საშინაო პოლიტიკა“. ამ განყოფილებაში პირველ ამოცანად მითითებულია: „ისლამური სახელმწიფოსა“ და სხვა რადიკალური ისლამური დაჯგუფებების მიერ მიყენებული ზიანი ჩვენი უმაღლესი პრიორიტეტი იქნება“. თუკი ახალი ადმინისტრაცია ამ დეკლარაციის შესაბამისად იმოქმედებს, პალმირის საბოლოო გათავისუფლებისთვის და საერთაშორისო ტერორისტული ძალების დამარცხებისთვის ლოდინი დიდხანს არ მოგვიწევს“.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894